

სოლომონ ცაიშვილი

# ვეტრე ქარაია

(მონოგრაფია)



საქსუმბ  
აფხაზეთის სახელგამი  
1953







## შესავალი

„...საზოგადოება მარტო იმას უნდა ეძახოდეს „ჩვენგანს“, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის სიტყვით, თუ საქმით და თუ ეს ღვაწლი გაბრწყინებულია, შექმესხმულია, აქ სულერთია, თქმა ეს ღვაწლი თუ ქმნაა, იმიტომ, რომ ზოგჯერ თქმა ქმნა არის“...

„რა თქმა უნდა, რომ ერთნაირის უხეობით არ არის ყველა ამ მადლით მიმადლებული. ამაშიაც არის დიდ-პატარაობა, მაგრამ დიდი თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ მადლის მექონია, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის საშარათლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: ეს კაცი ჩვენგანიაო“. (ილია ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 116).

დიდი ილიას ამ სიტყვების გავრცელება თამამად შეიძლება პეტრე ჭარაიასზე, როცა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გავეცნობით.

წარსული საუკუნის მიწურულსა და ამ საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში ვისაც ქართულ სკოლაში უსწავლია, ან უმუშავია, ან კიდევ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისადმი გულისხმიერება გამოუჩენია და ქართული პერიოდული პრესისათვის თვალყური უდევნებია, მისთვის, უეჭველად, ნაცნობი და მახლობელი იქნება პეტრე ჭარაიას სახელი.

პირველ ყოვლისა ის იყო ერთი საუკეთესო მოწინავე სახალხო მასწავლებელთაგანი, თავის დროისათვის საკმაოდ გამოჩენილი პედაგოგი, დაუცხრომელი მებრძოლი მშობლიური ენის უფლებისა და სიწმინდის დაცვისათვის, ეს რამდენადაც კი შესაძლებელი იქნებოდა ცარიზმის წამლექავ ატმოსფეროში. ამავე დროს, პეტრე ჭარაია იყო მწერალი-ჟურნალისტი, შესამჩნევი მკვლევარი ქართული ენისა, საქართველოს ისტორიისა, ეთნოგრაფიისა, ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი და საკმაოდ გავლენიანი საზოგადო მოღვაწე და მოქალაქე.

ამგვარად, თავისი საქმიანობის მრავალფეროვანებით პეტრე ჭარაია ნამდვილი მუშაკიდრე იყო თავისი წინაპრებისა — ქართველი მესამოციანელებისა. დრო ამას ითხოვდა და ისინიც დროის შვილები იყვნენ. პეტრე ჭარაია „შენობა იყო თავის დროისა“, რომელსაც მან თავისი პოტენციის მაქსიმუმი მისცა.

მისი შესაძლებლობის მთელი მაქსიმუმი ლამაზად არის ექსპონირებული იმდროინდელ ქართულსა და რუსულს პერიოდულ გა-

მოცემებში, როგორც იყო: ილია ჭავჭავაძის ყოველდღიური გაზეთი „ივერია“, გიორგი წერეთლის ჟურნალი „კვალი“, გაზეთი „Новое обозрение“, „ცნობის ფურცელი“, „Русская мысль“, „სახალხო გაზეთი“, ჟურნ. „განათლება“ და სხვ

როგორც ვხედავთ, მისი ნააზრევი საკმაო ასპარეზს მოიცავს. რა ვუყოთ, რომ ამ ფართო სარბიელზე არც თუ ისე მიჭრით მიწყობილია და მრავალრიცხოვანი მისგან ნათესი მარგალიტები. დიდი ილიაც ხომ ამასვე ამბობდა, დიდაა თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ მადლის მქონია, იგიც რჩეულიაო. განა დიდი რუსთაველი არ გვასწავლის, რომ „დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწევას ნაპერწკალიო“.

ჩვენი პეტრე ჭარაიას „ქმნისა და თქმის“ ამ „მცირე ნაპერწკლებს“ აკრეფასა და თავ-თავის ადგილას ჩასმასა ეცდილობთ. მით უმეტეს, რომ ისინი ჯერ არ მიმქრალან, ჯერაც არ გამხდარან უჩინარნი და შეუნიშნაენი და თავის დროზეც თავის მიზნისათვის მიულწევიათ. ამდენად მათი ავტორი ერთი პატარა „რჩეულთაგანია“, სამშობლოსა და ერის წინაშე ვალმოხდილი და ამაგდარი.

მართლაც და რა იქნებოდა ჩვენი კულტურა, ჩვენი სახალხო განათლება, ჩვენი სკოლა და მისი ისტორია, რომ მე-19 საუკუნეში არ გვეოლოდა ისეთი სახის ქართველი მოღვაწენი, როგორც იყვნენ: გერასიმე კალანდარიშვილი, ალ. ჭიჭინაძე, ნიკო მთვარელიშვილი, ან. ნატროშვილი, პ. უმიკაშვილი, ვ. თულაშვილი, კ. გვარამაძე, სამ. ყიფიანი, ილია ალხაიშვილი, ანთ. ჯუღელი, ივ. როსტომაშვილი, პ. მირიანაშვილი, ალ. მიქაბერიძე, ძმები შარაშიძეები, ნ. ჭანაშია, პეტრე ჭარაია, ივ. გომელაური და სხვა მრავალი, რომელთაც ცარიზმის პერიოდში საკუთარი ქედით უტარებიათ სახალხო განათლების მოღვაწის მძიმე ტვირთი და მშობლიურ ერისათვის, შესაძლებლობის მიხედვით, კალმითაც უმსახურიათ? ... უზარმაზარი ცარიელი ადგილი დაგვრჩებოდა, რომლის ამოვსებას ვერც ერთი სხვა საუკუნე და პერიოდი ვერ იკისრებდა, რადგან ყველა ხანას თავისი საზრუნავი აქვს.

იმ ხანასაც სწორედ ბევრი ვარამი და საზრუნავი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში და მზრუნველებიც მრავლად გამოუჩნდნენ. ამას ითხოვდა თვით დროთა ვითარების, კანონზომიერება. იმ მრავალთა შორის პეტრე ჭარაიაც მიიწვია დრომ და შეძლებისდაგვარად ამოქმედა. მის მიერ ნამოქმედარის ეს ჩვენი მოკლე აღწერას ხედავთ დაგვანახებს — მისი გზა არ იყო ვარდით მოფენილი და არც მისი მოქმედება იყო ისეთი უნაყოფო მოძრაობა, რომ ახალი ეპოქის თაობამ არ გაიციოს, არ შეაფასოს და არ შეიყვაროს იგი. ჭეშმარიტად, ამგვარ შემთხვევისათვის უთქვამს რუსთაველს:

ქარგი საქმე კაცსა ზედა  
აზომ თურმე არ წახდების.

I

**მშობლები. ოჯახი. გარემო. ბავშვობა. სწავლა.  
ასპარეზზე გამოსვლა**

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულში ზუგდიდის მახლობლად მდებარე სოფელ ქაქვიხჯიდან, — ერთი, ახლად შექმნილი, პატარა ოჯახი გასახლებულა.

ეს ოჯახი ახალ ნაკურთხ მღვდელ გიორგი ქარაიასა და მის მეუღლეს მართა ხუბუტიას ასულს ეკუთვნოდა. ისინი სამურზაყანოში, სოფელ ეშქეთში (ამჟამად ოჩამჩირის რაიონი) დასახლდნენ.

ამ გადასახლების ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ იმდროინდელ სამეგრელოში მღვდლები ბატონყმობიდან არ იყვნენ თავისუფალი. სამღვდლო პირნი ხომ უმთავრესად გლეხური წოდებიდან იყვნენ, და რადვანაც, ყოველი გლეხი თავადის ან აზნაურის ყმა იყო, ანაფორის ჩაცმა და ქრისტეს ჯვრის დაკიდება გლეხს მაინც არ შეელოდა. იგი იძულებული იყო ყმის ყოველგვარი მოვალეობა მოეხადა. ემუშავნა მებატონის ყანაში, ხლებოდა მას საჭიროების შემთხვევაში, ეხადა გარკვეული ბეგარა-გადასახადები და სხვ. (იხ. იონა მეუნარგია — „სამეგრელო დავით დადიანის დროს“ — გვ. 142).

მართალია, სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა, დავით დადიანმა (1813-1853), სამეგრელოს მმართველობის მიღებისთანავე (1841) გასცა „უქაზი“, რომ „სამღვდლონი, ვითარცა მსახურნი საკურთხევისანი, იყვნენ ჩემს სამფლობელოს შინა თავისუფალნი მონებისაგან მებატონეთასა“ (იქვე), მაგრამ დიდი ხნით განმტკიცებულ ავ-ჩვეულებასაც საკმაოდ დიდი ინერცია აღმოაჩნდა და მღვდლების მდგომარეობა მაინც დიდად არ შეცვლილა, ვიდრე 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყებამ არ იფეთქა.

ამ აჯანყებაში, ცნობილია, რომ გარდა უმაღლესი სამღვდლოებისა და სასულიერო იერარქიის მესაძეგებისა, დაბალი სამღვდლოება აჯანყებულთა მხარეზე იყო (იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტ. გვ. 32-41).

შესაძლებელია, ამგვარი მხარდაჭერაც იყო ერთგვარი მიზეზი ახალბელდასმული საბატონო ყმის, გიორგი ქარაიას სამურზაყანოში გადახვეწისა. მით უმეტეს, რომ მისი მეუღლე, იქაური, სოფელ საბერიოს მკვიდრი ყოფილა, რაც ნაწილობრივ კიდევ ზელს შეუწყობდა მათ ახალფენმოკიდებული ოჯახის ეკონომიურად გამაგრებასა და მოლონიერებასაც.

გადმოცემით, გიორგი ჭარაია \*) ყოფილა მეტისმეტად გულკეთილი, ჰუმანიური და გულისხმიერი ადამიანი, რომელიც თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად და უანგაროდ ასრულებდა. მის უმთავრეს მოვალეობას კი შეადგენდა, თურმე გამაჰმადიანებული აფხაზების ქრისტიანობაში მოქცევა, მაჰაჯირობის საწინააღმდეგო პროპაგანდა და რუსეთთან მეგობრობისა და ურთიერთობის უპირატესობის დანერგვა და განმტკიცება. ენაწყლიანი და საქმისმოყვარე გიორგი, საქმით ავტორიტეტით სარგებლობდა და მიზანსაც აღწევდა (სახ. განათლების მუზეუმი № 3899).

სოფელ ეშქეთში შექმნილ ამ პატარასა და ახალ ოჯახს ორი ვაჟი და ერთი ქალი შეეძინა. ვაჟები ნიკო და პეტრე — შემდეგში ცნობილი სახალხო მასწავლებლები და სახალხო განათლების ნაყოფიერი მოღვაწენი შეიქმნენ, ხოლო ქალი — ბაბაღი, სოფ. ფადგუში (გუფუს თემი) ა. ათუმავაზე გათხოვდა და ღირსეული ქართული ოჯახი შექმნა (იქვე, № 2598, არსენ ხვინგიას მოგონებიდან).

აქვე უნდა ვახსენოთ პეტრეს მეორე, გარედან შემოყვანილი, მაგრამ თითქმის ნამდვილი ძმა, ძიკი ინალიშვილი (ინალიფა), რომელიც გულკეთილ პეტრეს მამას, გიორგის, გაუზრდია. იგი, მშობლებით დაობლებული, სრულიად უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი, გიორგი ჭარაიას თავის სამ შვილისათვის მეოთხე შვილად მიუმატებია და, სამეგრელო-აფხაზეთის ძველი ჩვეულებისამებრ, თავისი გაზრდილი შვილებზე ნაკლებ არ ჰყვარებია. შემდეგში დაცოლშვილებული ძიკი ინალიფა პეტრეს ნამდვილ ძმასაგვით ამოუდგა პირსა და ლხინში, და ადრე გარდაცვილ ძიკის სამი შვილის გაზრდაც პეტრემ იკისრა, რაც პირნათლად შეასრულა.

გიორგი ჭარაიას სამ შვილთა შორის პეტრე ყველაზე უმცროსი ყოფილა. ის დაბადებულა 1861 წლის 12 (24) ივნისს. პეტრემ მთელი თავისი ბავშვობა მშობლიურ სოფელ ეშქეთში გაატარა, არც სკოლა, არც სამკითხველო, არავითარი სხვა კულტურული კერა მაშინ, იქ და არც ახლომახლო სოფლებში არ იყო, რომ ფხიზელი გონების მოზარდზე რაიმე გავლენა მოეხდინა.

ერთადერთი პატარა ეკლესია, სადაც პეტრეს მამა კვირაობით და სხვა რელიგიურ დღეობებში მღვდელმსახურობდა და მის გარშემო შემოკრებილი მორწმუნეთა ჯგუფი, ცხადია, პირველი სანახაობა იქნებოდა ყრმისათვის, რომელსაც ქართული ანბანი მამამ გააცნო ნახშირით დაწერილ ხარის ბეჭეზე.

ეშქეთი, 20-25 კილომეტრით ოჩამჩირედან დაშორებული, უდაბურ ტყეში შეფარებული და ისიც მაშინ, ახალმოშენებული სოფელი კი არა, თვით შავი ზღვის სანაჯვადგურო ქალაქად მიჩნეული ოჩამჩირეც ვერ მოიწონებდა თავს სკოლით ან იმის მსგავს რაიმე კულტურული კერით.

\*) ჭარაია წარმოსდგება სიტყვისაგან „ჭარა“, რაც ბედისწერას ნიშნავს მგერულად.



სამოციანი წლების საქართველოში შავიზღვისპირა ქალაქებს შორის (ბათუმი, სუხუმი, ფოთი, ყულევი, ანაკლია) ოჩამჩირესა ცენტრად ექცეოდა გარკვეული ადგილი, შესაფერი მნიშვნელობაც ჰქონდა და ერთგვარი როლიც ეყისრა. მაგრამ ეს როლი სამხედრო მიზნებს არ სცილდებოდა მეფის ხელისუფლებისათვის, ხოლო იქ მოკალათებულ ჩარჩებისათვის—სავაჭრო პირობებსა და გლეხობის ექსპლოატაციას.

ამ მხრივ კი ოჩამჩირე, მართლაც, „სამურზაყანოს კარად და სავაჭრო ცენტრად“ ითვლებოდა („მოამბე“, 1896, № 12). აქედან ოსმალეთსა და ევროპის სხვადასხვა ქალაქებში გაჰქონდათ: სიმინდი, აბრეშუმი, ხორცი, ხილი, ხე-ტყე და განსაკუთრებით მთელ სამურზაყანოს მთიან შეფენებაზე უხვად გავრცელებული ბზის ხე. თვით სახელი ოჩამჩირეც იქიდან წარმომდგარა, რაკი ბზას თურქულად „ჩამჩირ“ რქმევიან, და ეს მიდამოც ბზით (ჩამჩირით) ყოფილა მოფენილი, მეგრელებს თავიანთებური თავსართი—ო (სა) მი უმატებიათ და ამგვარად სახელწოდება „ოჩამჩირე“ მიუღიათ (რქვე, № 12, 4).

სამურზაყანოს ეს „კარი“ და „ცენტრი“ იმ ხანებში თითქმის უწიგნური ქალაქი იყო, სადაც მეგრელებსა და აფხაზებს გარდა მცირე შემადგენლობით ცხოვრობდნენ აგრეთვე რუსები, თურქები; ბერძნები, სომხები, ლაზები და სხვ. და, რა გასაკვირია, როცა ცენტრი უწიგნური იყო, რა იქნებოდა მისი პერიფერიები, სამურზაყანოს ტყით დაფარული და გზამიუკვლეველი სოფლები, სადაც ყოველი თავადი, ან აზნაური თავისთავს სრულ დამოუკიდებელ ბატონად გრძნობდა თავიანთ საყმო-სამფლობელოში.

სამოციანი წლების სამურზაყანო, რომელიც ერთგვარ ბუფერად იქცა წარსულში მუდამ მოქიშპე დადიანსა და შარვაშიძეს შორის, რუსეთის მეფის მმართველობამაც ცილობის ვაშლად აქცია. 1840 წელს ის ჩამოერთვა შარვაშიძესაც \*) და დადიანსაც და ცალკე საბოქაულოდ გარდაიქმნა. აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროებს შორის ორივე მხარისათვის სრულიად უცხო, რუსულ-ბიუროკრატიული მმართველობა დამყარდა. ხოლო ორნახევარ ათეული წლის შემდეგ ორივე სამთავროს ავტონომიურობის სრული გაუქმების პროცესიც დაიწყო. იმდენად უხეში იყო ეს პროცესი, მეფისნაცვლის მურავიოვისაგან დაწყებული და შემდეგ სხვებისაგანაც წარმოებული პოლიტიკა, რომ 1866 წელს მთელი აფხაზეთი აჯანყებამ მოიცვა (იხ. აკად. ს. ჯანაშია — „გიორგი შარვაშიძე“ — გვ. 9).

აჯანყების ჩასაქრობად მიმართულმა ბიუროკრატიულმა ღონისძიებამ უკმაყოფილო მოსახლეობა აიძულა, სამშობლოდან შორს, შავი ზღვის გაღმა, ოსმალეთში გადახვეწილიყო.

\*) სამურზაყანო მას იმიტომ შეერქვა, რომ მე-17 ს. მას დაეპატრონა აფხაზეთის მთავრის ძმა მურზაყან შარვაშიძე, რომელიც ჩაუღდა რა ძმას ოპოზიციაში, თავისთავს ამ კუთხის სრულ პატრონად და მთავრად სთვლიდა.

ამ ამბებით აღელვებული პოეტი გრიგოლ ორბელიანი 1866 წლის 6 სექტემბერს ლევან მელიქიძეის სწერდა — „აქამდის მოიყვანეს იქაურმა (აფხაზეთის) ნაჩაღნიკებმა ხალხის შეწუხება, უგუნური ქცევითა, ლანძღვა-თრევითა, ყოველგვარი შევიწროებითა, უსამართლოებითა, რომ ხალხმა ველარ გაუძლო და მოჰკლეს კონიარი, ჩერებოვი, იშმაილოვი და მათთან ყაზახებიცა, დასწვეს ტრაპეცია და ნახევარი სუხუმი, სადაც ოთხი დღე იყო ომი. ახლა გაუგზავნეს მგონია, მე-24 ბატალიონი, მილიცია იმერეთიდან, გურიიდან, მეგრელიდან და ეძებენ მიზეზსა აღშფოთებისა. მიზეზი რა შორს არის? ჩვენ ვართ მიზეზი! ყურს არ ვუგდებთ და არ ვიცით ვინ სად გაგვზავნოთ ხალხის მოსაკლელად. ამასთან წარმოიდგინე! გუშინ აფხაზეთიდან გამოიყვანეს მთავარი და დღეს გაგზავნეს: 1. კამისია სტატისტიკურის აღწერისათვის მხარისა, 2. კამისია განთავისუფლებისათვის ყმებისა, 3. კამისია *О правах личных*, 4. კამისია *О правах имущественных* და 5. კამისია აღწერისათვის მთავრის მამულებისა და, იფიქრეთ ახლა ეს ამდენი კამისიები ერთს დროს, ერთს ქვეყანაში შესულნი ვის არ ააბუნტებენ და მიზეზსა სადღა ეძებენ? და აი ერთის დაუდევნელის განკარგულებისაგან რაოდენი უბედურება წარმოსდგა, რაოდენნი დაიხოცენ, რაოდენნი გაოხრდნენ და ახლა რაოდენნი დაიჯებინან, რაოდენთა მიაღებათ უსამართლოება და ამასთან თვით მმართველობასაც როგორ დაუჯდება ჯარებისა იქ შეყრა, რომელნიც ბეჯითად მუშაობდნენ რკინის გზასა.\* ახლა მოგვიტანეს ამბავი, რომ იარაღსა ართმევენ ხალხსა. დიახ, კარგი; მაგრამ განა იარაღი იყო მიზეზი ხალხის ამლისა? ეგ იარაღი ხომ შარშანაც ჰქონდათ და უფრო ადრესა, მაშინ როდესაც აფხაზეთის გარშემო იყო საშინელი ბრძოლა? მაშასადამე, ჩემის ფიქრით, იარაღს ართმევენ მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგში რაც უნდა მწუხარება მიადგესო, ხალხმა ველარა სთქვას რა... ჰსურთ ხალხის უიარაღობა?, — დასძინს ბოლოს ორბელიანი, — შეიყვარონ ხალხი და ზრუნვიდნენ მისთვის კეთილსა. ამაზე მეტი არა უნდა რა! მაგრამ მახლას, რა გაეწყობა?“... („ლიტერატურის მატიანე“, წ. 1, გვ. 301—332).

გრიგოლ ორბელიანი სწორი იყო ამ ფაქტების აღწერაში, მაგრამ ის ცდებოდა, როცა ფიქრობდა, შეეყვარებით ხალხი და ეზრუნათ მისთვის. მეფის ბიუროკრატიული ხელისუფლების მოხელეებს არ შეეძლოთ ხალხის შეყვარება. ეს მათი ბუნებიდან არ გამომდინარებოდა და ამას ორბელიანი ვერ გრძნობდა ისე, როგორც ამას ვერ გრძნობდა სამეგრელოს უკანასკნელი მმართველი დედოფალი ეკატერინე, რომელსაც ამბოხებულ გლეხთა მეთაურმა უტუ მიქაევამ მოახსენა: „მამატიეთ, დედოფალო, რომ არ გეახელით... არ გეახელით იმიტომ, რომ თქვენ ვერას გვიშველით ძლიერაც რომ

\*) ლაპარაკია თბილისი-ფოთის მაშინ ახალდაწყებულ რკინიგზის სამუშაოებზე, სადაც ჯარისკაცებს ამუშაებდნენ. ს. ც.

გდომოდათ... აი, იქ, მთის ძირას, — განაგრძო მიქაევამ ხელის გაშვებით, — გლეხი ცხოვრობს, თქვენი გლეხი. იმ საცოდავს ამ ერთი საათის წინათ ჰყავდა ძროხა, ერთად-ერთი მარჩენალი მისი ოჯახის: იმ ძროხის რძით იზრდებოდნენ მისი პატარები და ახლა — კი, ის ძროხა მას აღარა ჰყავს, იგი დაჰკლა თქვენმა ამაღამ, მონასტერში (იგულისხმება მარტვილი — ს. ც.) რომ მოგყავთ, და ახლა იმის ხორციდან მწვადებსა სწვავენ. იმ უბედურს, მის ძროხას არავინ არაფრით უშლამს. თქვენ ექვიც კი არა გაქვთ, ისე კი საცა წაბრძანდებით, ყველგან უბედურება და ცრემლი მიგაქვთ. აბა რილასთვის უნდა გხლებოდით და მომეხსენებინა თქვენთვის უბედურება იმნაირივე გაჭირვებულის გლეხებისა, როგორიც ეს გლეხია, თქვენ ხომ იმათ ვერაფრით ვერ უშველიდით!“ (კ. ბოროზდინი, — სამეგრელო — გვ. 73).

მსგავსივე მდგომარეობა იყო ამ პერიოდში ენგურს გაღმაც — ლალიძგას და კოდორს შუა და კიდევ უფრო გამწვავებული კოდორს იქითა მხარეს, შუაგულ აფხაზეთში, სადაც ის-ის იყო ფეოდალურ წყობილებას ცარიზმის რეჟიმი სცვლიდა, რომელსაც ვერც ერთი ადგილობრივი წოდება ვერ შეგუებია და თუ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ, ჰიარივით გაუზრდობდნენ მას. ამაზე უკითხებდა იგივე ორბელიანი გუბერნატორ შირსკის, რომ *Анхазия осталась без населения*-ო. მაგრამ გამკითხავი არავინ იყო. მართლაც, რა გაეწყობოდა, ისტორიულ აუცილებლობას ვერც პოლკოვნიკი კონიარის მოკვლა შეცვლიდა და ვერც გიორგი შარვაშიძის მთავრად გამოცხადება. (აკად. ს. ჭანაშია, — გ. შარვაშიძე — გვ. 15).

ამგვარს დაუწმენდავ და მშფოთვარე ხანაში მიმდინარეობდა მღვდელ გიორგი ჭარაიას მოღვაწეობა სამურზაყანოს სოფლებში, რომელთა უმეტესობა ან დაცალიერებული იყო მოსახლეობისაგან, ან კიდევ განუკითხავ თარეშებით აოხრებული.

ჩვენ არ ვიცით თუ როგორ ემსახურებოდა იგი მოსახლეობას, ან რა გავლენითა და ნდობით სარგებლობდა, რომ აფხაზთაგან მიტოვებული ვრცელი და ნაყოფიერი სახნავეები კოდორისა და ლალიძგის ხეობებისა უცხო ელემენტების ხელში არ გადასულიყო. მაგრამ ის კი ცხადია, რომ გიორგი ჭარაიასა და მის თანამედროვე გავლენიან ქართველთა თაგამოდებული ზრუნვის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ამ ტერიტორიაზე ქართული ბირთვის გაძლიერება და ზოგიერთ აფხაზთა ოჯახების კვლავ შემობრუნება მშობლიურ მიწა-წყალზე.

ამ ხანშივე მიმდინარეობდა ჩვენი მომავალი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის პეტრე გიორგის-ძე ჭარაიას ბავშვობა და ყრმობა. იგი ცოცხალი, ახალგაზრდა, მოძრავი, მახვილგონიერი და დაკვირვების საკმაო უნარის მქონე, მოწმე იყო იმ უკულმართი პროცესებისა და ექსცესებისა, რომელთაც მის მშობლიურ კუთხეში ჰქონდათ ადგილი და რომელნიც ერთოვნულ და სოციალურ ნიადაგზე იყვნენ აღმოცენებული. უეჭველია, მისი მომავლის სამოღ-

ვაწეო ასპარეზიც ამ მოვლენებმა განსაზღვრეს და ჩამოაყალიბეს. მაგრამ ჯერ საჭირო იყო სწავლის მიღება. ახალი ცხოვრებისათვის მომზადება, სათანადო განათლების შექმნა.

შვილების ამგვარი განათლების მისაღებად სოფლის ღარიბმა კლდეღმა, თვითონ უსწავლელმა და მცირე განათლების მქონემ, გიორგი ჭარაიამ, ღონე და შესაძლებლობა არ დაიშურა.

ღარიბი იმიტომ ვამბობთ, რომ, როგორც პატივცემული მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია, ნაწილობრივი მოწმე აფხაზეთ-სამურზაყანოს იმ პერიოდის ცხოვრებისა, გადმოგვცემს, ამ მხარის იმდროინდელი მღვდლები ღარიბნი იყვნენ. მათი წლიური ფულადი შემოსავალი ძლივს 150-200 მანეთს თუ აღწევდა („მოამბე“ 1896, XII). ღარიბ მრევლს, ცხადია, ხუცესიც ღარიბი ჰყავდა. მაგრამ გიორგის საკუთარი მეურნეობა ჰქონდა. გამრჩე და შრომელი ყოფილა და თან იმდენად გონებაგახსნილი, რომ არ მოუსურვებია რომელიმე შვილი, მცირემცოდნე საეკლესიო მსახურად მოემზადებია. თავისი ნივთიერი ხელმოკლეობის მიუხედავად ყველასათვის შესაფერი განათლება მიუტია.

ნიკოსა და პეტრეს ჯერ მარტვილის სასულიერო სასწავლებლის კურსი დაემთავრებიათ (1875-7 წ.), შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში შესულან. ნიკოს, როგორც უფროსს, ორი წლით ადრე (1881) დაუმთავრებია ხსენებული სემინარიის სრული კურსი და აკადემიაში წასვლა ჰქონია გადაწყვეტილი, მაგრამ ეს საქმე სხვადასხვა იმდროისათვის ცნობილ დამაბრკოლებელი მიზეზებისა გამო გაკვიანურებულა. ამ გაკვიანურებას პრესაც კი გამოხმაურებია („დროება“ № 182, 1882 წ.), მაგრამ საქმე მაინც ჩაშლილა. ამ მდგომარეობით იძულებულ ნიკოს მასწავლებლობა დაუწყო. რაც შეეხება პეტრეს, მშობლების გარდაცვალებისა გამო (1882 წ.) სემინარიის კურსი ვერ დაუსრულებია და მეხუთე კლასიდან გასულა. როგორც ჩანს არც პეტრეს ჰქონია მიდრეკილება სემინარიის ამ ორი უკანასკნელი მე-5 და მე-6 კლასის სამღვდელთ-მოქმედო კურსის დამთავრებისა, რადგან მას თავიდანვე ერისკაცად დარჩენა ჰქონია განზრახული, მსგავსად მისი უფროსი ძმისა, რომელიც აგრეთვე საუკეთესო მასწავლებელი,\*) აღმზრდელი და პედაგოგი იყო ახალსენაკის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ ქუთაისის ამავე ტიპის სასწავლებელში.

\*) ნიკო ჭარაია, მართალია, კალმით არ მოღვაწეობდა, მაგრამ როგორც საუკეთესო მასწავლებელი და აღმზრდელი, საკმაოდ სახელმოხვეჭილი პიროვნება იყო. ამის მკაფიო დამადასტურებელია მის შესახებ მაშინდელ პერიოდულ პრესაში გაბნეული ცნობები, რომელთაგან ერთი მაინც უნდა დავასახელოთ. 1892 წლის ჟურნალ „მწყემსში“ № 2 აღნიშნულია: „ზოგიერთი მასწავლებლები მარტო იმას აქტიუვენ ყურადღებას, რომ მოსწავლეებს გაკეთილები დაახეპიებინონ და სხვას არას დაგიდევნენ. მაგრამ ამ მასწავლებელთა დასს სრულიად არ ეკუთვნის სენაკის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ბ-ნი ნიკო ჭარაია, რომელიც სულით და გულით მოწადინებულია და

როგორც ამ პერიოდის მის სხვა საბუთებიდან ჩანს, სემინარიაში პეტრე ბეჯითი და წარჩინებული მოსწავლე ყოფილა, სალად მოაზროვნე და გონებაგახსნილი. ეს გარემოება კიდევ ერთი მიზეზთაგანი გამხდარა პეტრესთვის სემინარიის რექტორისა და ინსპექტორის მიერ სასწავლებელში გაბატონებული რეჟიმისა და შექმნილი ატმოსფეროს შეუგუებლობისა.

პეტრე ჭარაია, რომ ნიჭიერი და განვითარებული მოსწავლე იყო ეს იქიდანაც ჩანსო, იგონებს ერთი მისი მეგობარი, რომ ერთხელ, შემთხვევით პეტრეს წიგნებში ვნახეთ მის მიერ დაწერილი საკლასო თხზულება, რომლისთვისაც მასწავლებელს დაუსვამს ნიშანი „5“. ეს ნიშანი ისე დიდად და მსუქნად იყო დაწერილი, რომ ორი სანტიმეტრი სიგრძე მაინც ექნებოდა. თხზულება არსად არ იყო შესწორებული და წითელი ხაზი გასმულიო“ (საქ. სახ. განათლების მუზეუმი, № 2598). ჩანს კარგს და მოსწავლის ნაშრომის ობიექტურად შემფასებელ გულისხმიერ და გრძობიერ მასწავლებელს თავი ვერ შეუკავებია და თავისი ალტაცება და სიხარული წარჩინებული ნიშნის ზომაზე მეტ სიდიდეში გამოუხატავს.

სემინარიიდან გასვლის შემდეგ პეტრეს მეცადინეობა არ შეუწყვეტია. მან უკვე პედაგოგიურს ასპარეზზე (1883 წ.) გამოსულმა ბეჯითად განაგრძო სისტემატური თვითგანვითარება, რითაც ის უმაღლეს სასწავლებელში წაუსვლელობით მოკლებულ ცოდნასა და განათლებას ივსებდა. ამავე დროს პეტრე ჭარაია ეწევა იმ პერიოდის ჯამურზაყანოს სკოლებში მასწავლებლობის მძიმე ტვირთს და, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, მშრომელი ხალხის დიდ ნდობას და სიმპათიას იმსახურებს.

---

მუდამ იმის ცდაშია, თუ როგორ აღუძრას შეგირდებს სურვილი წიგნების კითხვისა...

..ის ხოგ შემთხვევაში ნივთიერ დახმარებასაც არ იშურებს. მაგ. 1891 წ. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებული ნიჭიერი მოსწავლე, რომ ვერ წავიდა სემინარიაში და მწერლად შესულა კანცელარიაში, — ეს რომ გაუგია ნიკო ჭარაიას, ძლიერ წყენია, კანცელარიიდან გამოუყვანია ეს ნიჭიერი ახალგაზრდა (ლიპარტელიანი), მისულა მამამისთან და აღუთქვამს დახმარება — ხარჯს მე ვიკისრებო, — ოღონდ ბავშვი წასულიყო სემინარიაში... და ისიც წასულა და მიუღიათ სემინარიაში“...

პეტრე ჭარაია მასწავლებელი. სახალხო განათლების გავრცელებისათვის მებრძოლი. პატრიოტი და ქართული ენის დამცველი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან კავშირი. ხასიათის ხიმტიციე. გოგებაშვილი და პეტრე ჭარაია. დედაენის ლექსიკონი. ხხვადასხვა შემთხვევები და ეპიზოდები. პეტრე რევოლუციის დღეებში. პეტრეს გავლენიანობა და ავტორიტეტი. ავადმყოფობა, სიკვდილი და დასაფლავება

ახალგაზრდა სემინარიელს, 80-ანი წლების საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებასა და უკვე მოწინავე იდეებით ზიარებულ პეტრე ჭარაიას, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა უხდება რეაქციის გაძლიერების პერიოდში. ალექსანდრე მეორის მკვლელობით გამოწვეული სიმკაცრე ალექსანდრე III-ის რეჟიმისა, უმაღლეს მწვერვალს აღწევდა მთელს იმპერიაში. განსაკუთრებული და მომაკვდინებელი იერიში ცარიზმის უხეში პოლიტიკის განაპირა და ეგრედ წოდებულ „ინოროდცების“ ქვეყნებზე მოდიოდა, რადგან ცარიზმის იდეოლოგიები ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ არარუსი მოსახლეობა იყო მტერი მეფის ხელისუფლებისა და არა ჭეშმარიტი, ე. წ. „ველიკორუსები“.

ისინი ანგარიშს არ უწევდნენ არსებულ მდგომარეობას, რომ „ყოველ თანამედროვე ერში არის ორი ერი... ყოველ ეროვნულ კულტურაში — ორი ეროვნული კულტურა. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩებისა, გუჩკოვებისა და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომელიც ხასიათდება ჩერნიშევსკისა და პლენანოვის სახელებით“. (ლენინი, ლიტერატურის შესახებ, თბილისი, 1945 წ., გვ. 13).

ამიტომ იყო, რომ ცარიზმი ხსნას იმპერიის ფარგლებში მოქცეულ სხვა ერების დენაციონალიზაციასა და განაპირა კოლონიალური მხარეების სრულს დეფორმირებაში ეძებდა. „ცარიზმი განაპირა მხარეებში განზრახ ნერგავდა პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩავკრას იმისათვის, რომ მასები მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განაპირა მხარეების საუკეთესო ადგილებში განზრახ დაასახლა კოლონიზატორული ელემენტები, რათა ადგილობრივი ნაციონალური მასები ცუდ რაიონებში გაეძევებინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა. ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასები სიბნელეში ჰყო-

ლოდა. ცარიზმი ახშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველივე ინიციატივას. ბოლოს ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხთა მასების ყოველგვარ აქტივობას“ (ი. სტალინი, ტ. IV, გვ. 388).

ი. სტალინის ეს სიტყვები გენიალური დასკვნაა სწორედ 80-იანი წლების საქართველოში, როგორც განაპირა, კოლონიალურ ქვეყანაში გამეფებული ცარიზმის რეპრესიებისა და რეაქციისა. აქედან აღვილი წარმოსადგენია, რა უფრო უარესი მდგომარეობა იქნებოდა აფხაზეთ-სამურზაყანოში, რომელიც უკვე დიდი ხნიდან განიცდიდა მეფის მოხელეებისაგან წარმოებულ უხეში თარეშების სიმწვევეს.

მეფის რუსეთის ხელისუფლებას დიდი ხნიდან ჰქონდა განზრახული საქართველოსათვის. სავსებით ჩამოეშორებინა აფხაზეთი მისი სრული დენაციონალიზაციის გზით. ამიტომ სათანადო თადარიგი თავიდანვე იქნა მიღებული, რაც გამოიხატა, აფხაზთა მოსახლეობის იძულებით გასახლებაში, ხოლო დარჩენილთა გარუსებაში და ცარიელ, დაუსახლებელ ადგილებზე უცხო ელემენტების (გერმანელების, ესტონელების, მალაქების, ყაზახებისა და სხვ.) დასახლებაში.

ცარიზმის მიერ წარმოებულ ამ ველურსა და ვერაგულ მოქმედებას თავიდანვე დიდი დაბრკოლება, და თუ შეიძლება ითქვას, გადაულახავი დაბრკოლება, გადაეღობა წინ მოწინავე ქართველი საზოგადოების სახით. ამ ბრძოლების შესახებ სჯა უფრო ქვევით გვექნება, როცა პ. ჰარაიას ღვაწლის სრულ შეჯამებას შევეუდგებით. აქ კი აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პ. ჰარაია, ხსენებული მოწინავე ქართველი საზოგადოების აქტიური ახალგაზრდა წევრი, სამურზაყანოში, თავის მშობლიურ მხარეში, მასწავლებლობის მძიმე უღელს შეება.

თუ რა პირობები და ვითარება დახვდა მას, მუშაობის რა ნიადაგი და ატმოსფერო და რა მდგომარეობა მაშინდელი სამურზაყანოს ფარგლებში სახალხო განათლებისა და სკოლების მხრივ, ამაზე საკმაო ცნობები მოიპოვება ქართულ პერიოდულ პრესაში.

სამურზაყანოს სააღმშენებლო ქალაქში, ოჩამჩირეში, სკოლა მხოლოდ 1884-5 წლებში დაარსდა. 10 წლის შემდეგ დაწერილ კორესპონდენციაში ამ სკოლაზე აღნიშნულია, რომ ოჩამჩირელებს „სამართლიანად მოაქვთ თავი თავიანთის სკოლითა. მშვენიერი, ექვსთვლიანი ქვითკირის შენობა სკოლისა, ოჩამჩირის გამოჩინებულ ადგილასა დგას, და შორ მანძილიდან პირველად ეს სკოლა ხედება კაცს თვალში. მაგრამ რომ იტყვიან „გარედან მტერს უყუენებს თვალსა და შიგნიდან მოყვარესო“, სწორედ ამ სკოლაზე ითქმის“... („მოამბე“, 1896 წ. XII).

ამის შემდეგ მოცემულია განმარტება თუ რა დაუჩაღათ ოჩამჩირელებს ამ სკოლისათვის შენობის აგება (9.000 მან.) და სამინისტრო სკოლების დირექციამაც თავის მხრით რამდენი დაამატა

(1.500) „მას აქეთ, — განაგრძობს კორესპონდენტი — სკოლის შენახვა აქაურებს ყოველწლიურად 2.200 მან. უჯდებაო“ (იქვე). ეს თანხა კი ამგვარად ყოფილა განაწილებული:

1. საგნების ორ მასწავლებელს წელიწადში . . . 900 მან.
2. მებაღეს (სკოლას სამეურნეო განხრა ჰქონია) 430 მან.
3. სამღვთო სჯულის მასწავლებელს . . . 150 მან.
4. ქალთა განყოფილების მასწავლებელ ქალს 200 მან.
5. სკოლის ბიბლიოთეკისათვის გადაღებული ყოფილა 100 მან.
6. დანარჩენ წვრილმან ხარჯებისათვის . . . 370 მან.

სულ 2.200 მან.

ეს თანხა, ცხადია, მოსახლეობაში იკრიბებოდა გადასახადის სახით. სწავლების კურსი სკოლისა 3 წლიანი ყოფილა, თუმცა ორკლასიან ნორმალურ სასწავლებლად ითვლებოდა. „საგნებს მარტო რუსულს ენაზე ასწავლიანო“, — აღნიშნავს კორესპონდენტი, მაშინ, როცა მოსწავლეთა შემადგენლობა მთლიანად მეგრელები და აფხაზებია.

კორესპონდენტი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ სკოლაში არც მშობლიურ ენასა და ლიტერატურას და არც სხვა სამეცნიერო დისციპლინას მშობლიურ ენაზე არ ასწავლიდნენ. აგრეთვე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რასაც ასწავლიან, იმასაც უხეიროდ და სუსტად, მასწავლებლების მოუმზადებლობისა გამო, ამის საილუსტრაციოდ მოყავს შემდეგი საჯულისხმო ფაქტი: „აქ (იგულისხმებდა ოჩამჩირის ნორმალური სკოლა) კურსდამთავრებულ 4 ბავშვთაგან ერთი სუხუმის სამთო (მთიელთა ს. ც.). სკოლაში მოიყვანეს. რის ვაივაგლახით მესამე განყოფილების ეგზამენი დაიჭირა ამ სასწავლებელში, რომლის სამს განყოფილებას ოჩამჩირის სკოლის სამი განყოფილება თავისი პროგრამით თუ არ აღემატება, არ ჩამოუვარდება. სუხუმის ამავე სკოლაში ოჩამჩირის სკოლის კურსდამთავრებულებთან ერთად ეგზამენს იჭერდნენ სუხუმის სამრევლო სკოლაში... კურსდამთავრებული 3 შეგირდი, სამივე ჩინებულად მომზადებულნი გამოდგნენ I კლასში შესასვლელად“... (იქვე).

„სანუგეშოა განა, დაასკვნის გულნატკენი კორესპონდენტი, რომ ისეთმა ყმაწვილმა, რომლის აღზრდა ოჩამჩირელთ 520 მან. დაუჯდათ და რომელიც 3 წელიწად დროსა ჰქარგაეს, სუხუმის სამთო სკოლა რა არის — იმის I კლასის ეგზამენიც ვერ დაიჭიროს?... საჯულისხმოა ეს ფაქტი და „ვისაც ყურნი ახენენ სმენად, „ისმინონ“... (იქვე).

„ყურნი სმენად“, მართალია, ბევრსა ჰქონდა, მაგრამ თავისუფალი მოქმედების არე, ინიციატივის გამოჩენისა და უსამართლობის წყვედიადის გასაჩივრევი და გასარეკი იარაღი დახშული იყო.



სკოლის ამგვარსავე მდგომარეობას აგვიწერს 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 19) ვინმე ვ. სამურზაყანოელი, რომელიც ნახაგასმით აღნიშნავდა სწავლების დაბალ დონესა და სკოლების ყოველმხრივ დაქვეითებას.

სკოლის ამგვარად ჩამოქვეითებისა და ჩამორჩენილობის გამო ოჩამჩირის მკვიდრთა უმრავლესობას განგაშიც აუტენხია სკოლის ზედამხედველის მოქმედების წინააღმდეგ, თუმცა შედეგი ბევრად ეფექტური არ ყოფილა.

ჩვენს კორესპონდენტს იჭვიც კი შეაქვს სკოლის ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი 100 მანეთის წესიერად ხარჯვაში, რადგან „ამ სკოლის წიგნისათვის მთელი „ავლადიღება კატას აეცილებათ“, -- წერს იგი, — ისიც ნახევარზე მეტი „ცირკულიარებსა“ და სხვა ოფიციალურ კრებულებს უკავია, ხოლო ბავშვთათვის საკითხავი წიგნები „სრულიად არ არისო“... და ბოლოს დასძენს: „ჯერ არავის უნახავს, რომ ოჩამჩირის სკოლის შეგირდს სახელმძღვანელოს გარდა სხვა რამე საკითხავი წიგნი სჭეროდეს ხელშიო“... (იქვე). რის შემდეგ გულნატკენი კორესპონდენტი სვამს რა ამ კითხვას, თვითონვე უპასუხებს: „ოჩამჩირიგლს ვერაჲინ დაუშლის თავისთავს მაინცა კითხვის: მისი ღარიბი ჯიბიდან ამოღებულნი ფული სკოლის წიგნთსაცავს როგორა და რამდენად ხმარდება?“... (იქვე).

მაგრამ კითხვის დასმა ერთი იყო და გამკითხავი მეორე, რომელიც არსად ჩანდა ამ კუთხის ჰორიზონტზე, და თუ ვინმე გამოჩნდებოდა, და რაიმე გამბედაობა აღმოაჩნდებოდა, პოლკოვნიკ ვედენსკის სხვა რალა ეკითხებოდა, თუ არა ამგვარი „მაკნე ელემენტებისაგან“ დაცვა თავისი ოლქისა?

ეს ის პოლკოვნიკი ვედენსკი იყო, სუხუმის ოლქის უფროსი, რომელმაც 1885 წელს სუხუმ-ზუგდიდის შარა-გზის გაყვანა განაზრახა, თავის სამფლობელოს მკვიდრთა ყოველ კომლისაგან ორ-ორი მანეთი სულ 41.000 მანეთი მობოჭა და გზა კი არავის უნახავს არამც თუ გაყვანილი, დაგეგმილიც-კი. ეს კი იყო, რომ როგორღაც გეოგრაფიულ რუკაზე მოხერხდა მთელი 10 წლის შანძილზე ამ გზატკეცილის ჩვენება სათანადო ნიშნეული ხაზებითა და ფერითაც (იქვე, XII, 16).

მსგავსი ვედენსკები, საქართველოს ამ განაპირა, მაგრამ ყოვლის ზიკითით შემკულ და მდიდარ მხარეში ბლომად თარეშობდნენ. მათი თავგასულობა უსაზღვრო იყო, და რა უნდა ექნა და ემოქმედნა ერთსა და ორს პ. ჭარაიასა და მის თანამოაზრეთა, ან ივანე გეგიასთანა ნაადრევად მოსულ მერცხალს იმაზე მეტი, რასაც ისინი ამ ვითარებაშიც ახერხებდნენ?

როგორც უკვე ნათქვამი იყო, 80-ანი წლების აფხაზეთ-სამურზაყანოში სკოლების რიცხვი, მართლაც, ძლიერ მცირე იყო. ი. ჩარეჩიშვილისაგან 90-ანი წლების სტატისტიკური ცნობის მიხედვით სუხუმის ეპარქიაში, რომელიც თანამედროვე აფხაზეთის ასსრ ტე-

რიტორიას მოიცავდა, სულ 25 სამრევლო სკოლა ყოფილა, ხოლო სხვა ტიპის (ე. წ. სამინისტრო) სკოლები კიდევ უფრო მცირე, — რაც შეეხება კვალიფიციურ მასწავლებლებს, ისინი ხომ ცალი ხელის თითზე ჩამოთვლებოდა. უმრავლეს შემთხვევაში სამრევლო სკოლის მასწავლებლობა მღვდელ-დაიკვნებზე იყო მინდობილი, რომელთა მომზადება ძლიერ იშვიათსა და ბედნიერ შემთხვევაში სასულიერო სასწავლებლის 4 კლასამდე აღწევდა. დანარჩენნი, სულ შინაური განათლებით და ბევრმაც მხოლოდ ნუსხა-ხუცურის კითხვის მეტი არა იცოდა-რა („მოამბე“, 1896, XI განყ. VII, გვ. 52).

იმავე ი. ჩარეჟიშვილის განმარტებით, 1890 წლიდან სუხუმის ოლქის სამრევლო სკოლები ეპარქიაში შექმნილ „საეკლესიო ძმობის“ გამგებლობაში მოექცა. „ძმობა“-ი მიზნად ისახავდა ბავშვებისათვის ესწავლებინათ მხოლოდ რუსული ენა. (იქვე).

ამ „ძმობასთან“ ძმურად მოღვაწეობდა სუხუმის ოლქში „ქრისტიანობის გამავრცელებელი“ საზოგადოებაც, რომელსაც იმ ხანებში მთელს ოლქში რვა სკოლა ჰქონია. ამ სკოლების ძირითადი მიზანი — გაეცრცლებია მაჰმადიან აფხაზებში ქრისტიანული სარწმუნოება, მხოლოდ ნილაბი იყო. ნამდვილად კი ეს სკოლები მოწოდებული იყო ადგილობრივ მკვიდრთა მომავალი თაობა აღეზარდათ ცარიზმის ერთგულებით აღჭურვილი. ეს რომ ასე იყო, ამის დამადასტურებლად მარტო ისიც კმარა, რომ ამგვარი ტიპის სკოლები სამურსაზიანოს იმ ნაწილშიაც არსებობდა, სადაც არცერთი მაჰმადიანი ან სხვა რომელიმე არაქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელი ხალხი არ ესახლა, გარდა ქრისტიან მიგრანტებისა, რომელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას აბა რალა აზრი ექნებოდა.

ამგვარი საქციელით იყო გამოწვეული ჭერ კიდევ 1872 წელს ჩვენი დიდებული პოეტის გრიგოლ ორბელიანის სამართლიანი აღშფოთება სასულიერო მმართველობის მიმართ. ამავე წლის 25 ოქტომბერს დაწერილ ერთს თავის წერილში ის აღნიშნავდა რომ: „საქართველოში არიან მრავალი ეკლესიანი სხვადასხვა ენისა, სხვადასხვა სარწმუნოებისანი: თათრები, ურიები, სომხები, ლორანები, ფრანგები (იგულისხმება ქართველი კათოლიკები — ს. (კ.) თავისუფლად ილოცვენ თავიანთ ენაზე. ფრანგები ილოცვენ ქართულ ენაზე და მხოლოდ ქართველთა კი უნდა მოუსპონ ქართულად თქვან „წმინდაო ღმერთო“, განა პოლიტიკა მოითხოვს ამას? განა ეს არის გავრცელება მართლმადიდებლობისა აზიაში? რალა ქართველებზე მოიტანეს ძალი ქადაგებისა გასაქრისტიანებლად?... თუ მართლმადიდებლობისათვის ილწვიან, აი ურიები, თათრები, სომხები და სხვანი!.. (იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტ. გვ. 314).

ორბელიანი ხედავდა რა ამ აღმაშფოთებელ ფაქტს, ის სამართლიანად შფოთავდა და იძალღებდა ხმას, მაგრამ დიდად ცდებ-

ბოდა, როცა ეს ჰროცესი პოლიტიკური პროცესის შედეგად არ მიაჩნდა. სწორედ „პოლიტიკა ითხოვდა ამას“, რის განსახორციელებლად შეხმატებულედ საქმიანობდა ცარიზმის შავი და თეთრი აგენტები პეტერბურგიდან თბილისამდე.

ამ „საქმიანობის“ ერთ-ერთი შეფერებული ნიღაბი იყო „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“ და მისი სკოლები“. ამ სკოლების შესახებ იაკობ გოგებაშვილი თავის დროზე წერდა: „ამ სკოლების საფუძველს — ქვაკუთხედს დედა-ენა (იგულისხმება ქართული ენა ჩვენს სინამდვილეში ს. ც.) როდი შეადგენს. ეს ძალიან ცოტა ვთქვით. დედა-ენა სრულიად გამოძევებულია. მასწავლებელს აკრძალული აქვს მისი ხმარება. პირველი ოთხი თვის შემდეგ, ყველაფერი, ყოველივე საგანი უთუოდ, მიუცილებლად გაუგებარ რუსულს ენაზე უნდა ასწავლონ. ამითაც არა თავდება დედაენის შევიწროება. ქართული ენა სრულიად გამოკლებულია საგნების რიცხვიდან, არც ერთი საათი არ არის გადადებული მისი სწავლებისათვის. დედა-ენას ჩამორთმეული აქვს ყოველი უფლება და ისიც სად? საცა ის უნდა იყოს ცენტრი, დედა-ბოძი, ბურჯი შენობისა“.. (თხზულებანი, ტ. 11, გვ. 70).

აკრიტიკებს რა თავის სტატიაში („ხე ნაყოფით იცნობება“) იაკობ გოგებაშვილი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლებს, დაუნდობლად და დამაჯერებელი დასაბუთებით ამხელს ამ საზოგადოებისა და სკოლების ხელმძღვანელთა ქვენაგრძნობებსა და ვერაგულ ზრახვებს ქართველი ერის მიმართ. ი. გოგებაშვილი, სავსებით მეცნიერული დამაჯერებლობით ამტკიცებს, რომ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლები ვერც მაჰმადიანთა შორის არის ეფექტური, მისი გარეგნული სახის მატარებელი შინაარსი არ ღივს მის სიღრმეში, არამედ სულ სხვა მიზანი, თუმცა ვერც ამ მიზანს აღწევს იგი. ამის მიზეზი ის არის, — წერს გოგებაშვილი, — რომ მაჰმადიანთა შორის გახსნილ ამ სკოლებში კვლავ თათრული ენა ძლიერდება, რადგანაც ქრისტიანულ სკოლებში ქართულ ენას ჩამორთმეული აქვს ყოველი უფლება. რუსული ენა ვერ სწავლება და ვერც იზამს ქართული ენის მაგივრობას იმიტომ, რომ ხალხში პაწაწა ფესვიც ვერ მოუკიდებია და დიდხანსაც ვერ მოიკიდებს, მეტადრე, თუ ქართული ენა, ეს მშვენიერი მოსამზადებელი სკოლა, თვით რუსული ენისათვის, შავ-ბედქვეშ დაარჩება.

ამასვე ადასტურებს სპეციალური მონდობილებით აჭარაშემოვლილ იონა მეუნარგიას ერთი მოხსენების დასკვნა, რის შესახებ 1901 წლის ჟურნალ „მოამბეში“ (№ I) ვკითხულობთ: 1890 წელს ბათუმის სამისიონერო განყოფილების მინდობილობით აჭარა მოიარა ბ-ნმა იონა მეუნარგიამ, გაიცნო მცხოვრებთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა, მათი ყოფაცხოვრება, წარსული და თავისი მოსაზრება წარადგინა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას“ აქეთვე სწავლა-გა-

ნათლების გავრცელება და საზოგადოდ აღდგენა აწ დაიწყებული ქრისტიანობისაო. ეს მოხსენება მოხსენებად დარჩა, დაბეჭდვაც კი არა პლირსებია, და აქარა — უსკოლოდ“.

იაკობ გოგებაშვილის სწორი დასკვნით კი — „საზოგადოება, რომელიც ქრისტიანობის აღსადგენად დაარსდა, მის შესუსტებას, მის დაცემას ეხმარება. ეს სასაცილო-სატირალი მოკლენა შესძღვნა საზოგადოებას ესრეთწოდებულმა ზანბროვის სისტემაშია“...

„ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ სულ სხვაგვარად სჭიდნენ და სჭირდნენ. გოგებაშვილისაგან „დაბალ ინსტიქტად“ წოდებულს, ისინი მალალს ეძახდნენ. იმათ იცოდნენ რასაც აკეთებდნენ და თავიანთ თავს ანგარიშსაც აძლევენ, თუმცა ამ ანგარიშში ხშირად სცდებოდნენ, რაც კიდევ მეტ გაბრაზებას იწვევდა მათში. მაგრამ სიტყვას ქვა ხვდებოდა. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გოგებაშვილი მარტო არ რჩებოდა. მის გააშემო თანდათან ირაზმებოდა და სახალხო განათლებისათვის მეტბრძოლა ლაშქარი, რომელიც საქართველოს ყოველ კუთხეს ეფინებოდა ცარიზმის პოლიტიკანებისათვის მდღგარი წინააღმდეგობის გასაწყევად.

ამ მზარდ ეროვნულ განმათავისუფლებელთა ლაშქარში, პეტრე ჰარაიაც ერია. როგორც ერთი შესამჩნევი მეტბრძოლი. მან ასპარეზზე გამოჩენისთანავე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, როგორც სახალხო მასწავლებელმა და ქართული პრესის ნიჭიერმა თანამშრომელმა, რომელიც 80-ანი წლების სამურზაყანოს სოფლებში გამეფებულ წყვდიადში ერთ მძლავრ ჩირაღდანად აპრიალდა.

დღევანდელი გალის და ოჩამჩირის რაიონის მცხოვრებთათვის ძნელი წარმოსადგენია ახლო წარსულის ამგვარ ფერებში მოხაზვა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტი ჭიუტია: ამგვარი მდგომარეობისა და ყოფის გადაწვევები არამც თუ 60 წლის წინათ, მე-20 საუკუნის პირველ ათეულ წლებშიც შეინიშნებოდა, ვიდრე დიდი ოქტომბრის რევოლუციის კაშკაშა მზის შუქი არ მოეფინებოდა ჩვენს დიდ ქვეყანას და აფხაზეთსაც არ იხსნიდა ცარიზმის წყვდიადისაგან.

მაგრამ სანამ ეს მზე აღმობრწყინდებოდა, ქართველი ხალხი და მისი მოწინავე ნაწილი ებრძოდა ამ წყვდიადისა და ძნელბედობის სიმკაცრეს. „ახალმა ღრომ — ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში“ — აღნიშნავდა ამ პერიოდისათვის, ქართველი ერის ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ილია ჭავჭავაძე.

ამ ახალი მოთხოვნილების განხორციელებისათვის ბრძოლაში 80-ანი წლების კულტურულ-საგანმანათლებლო სარბიელზე გამოსულ თაობაში პეტრე გიორგის-ძე ჰარაიას თავისებური კვალი აქვს გავლბული.

პეტრე ჰარაიამ, როგორც აღინიშნეთ, თავის მშობლიურ კუთხეს მიაშურა. საკუთარ სოფელ გუჭეთში დასახლდა. მასწავლებლობას შეუდგა. 1882 წლიდან დაწყებული, ვიდრე სიკვდილამდე, ის განუწყვეტლივ მასწავლებლობს სამურზაყანოს სხვადასხვა სკო-

ლებსა და სოფლებში (გუფი, მოქვი, ფოქვეში, გალი და სხვ.). მისი ასპარეზი იყო უმთავრესად სამრევლო სკოლები, სადაც უფრო მეტად ხერხდებოდა, იმ ხანებში, მშობლიური ენისა და მშობლიურ ენაზე სწავლება. პეტრე მასწავლებლობდა აგრეთვე „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების“ სკოლებშიც (ოქუმი). მაგრამ არა ხანგრძლივად. მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლებში მასწავლებლობს გაცილებით პეტრე ხელფასი ჰქონდათ, ვიდრე სამრევლოს ან სამინისტრო სკოლებში.

მიზეზი ამ უმჯობესი ეკონომიური პირობების მიუღებლობისა და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებში მუშაობის მალე შეწყვეტისა ამ სკოლების სახელმძღვანელო პროგრამები და მით შექმნილი ატმოსფერო იყო.

პეტრე ჭარაია, სამურზაყანოში იმიტომ კი არ შებმულა მასწავლებლის უოლში, რომ მას „ქრისტიანობა აღედგინა“. ამას იქ აღდგენა არ სჭირდა. და თუ ამგვარი ტიპის სკოლებს მაინც ხსნიდნენ ამ მხარეში სახალხო განათლების იმდროინდელი „მესვეურები“, ამას სულ სხვა მიზანი ჰქონდა, რის შესახებ ზევითაც აღვნიშნეთ. არა. პეტრე აქ კარიზმის აგენტებისაგან დაცემულ და შეგინებულ მშობლიურ ენისა და ლიტერატურის აღსადგენად მოილოცოდა. ის არა მარტო მოსწავლეებში ცდილობს დანერგოს სიყვარული ქართული ენისა და მისცეს მას მოქალაქეობრივი უფლება იმ სკოლაში, სადა თვითონ ასწავლის. არამედ ზოგიერთ, ამ შემთხვევაში ჩამორჩენილ, მასწავლებლებსა და სხვა დარგის მუშაკებსაც ეხმარება მშობლიური ენისა და ლიტერატურის დაუფლებაში.

თანამედროვეთა გადმოცემით, პეტრე ჭარაია ყოველ შაბათობით ჰკრებდა თავის ბინაში ახლო-მახლო სოფლის მასწავლებლებსა და სხვა მის თანამგრძნობ ინტელიგენტთა წრეებს. მართადა ლიტერატურულ საღამოებს, აწყობდა შეკრებებს ქართული ლიტერატურის ნიმუშების კითხვასა და დიკლამაციაში. სანიმუშოდ ყოველთვის პირველად თვითონ კითხულობდა თურმე ლექსებს, მოთხრობებს, საგაზეთო სტატიებს და სხვ. შემდეგ სხვებსაც აკითხებდა. ახდენდა წაკითხულის ენობრივ და შინაარსობრივ გარჩევას და, ამგვარად, იმდროინდელ, მხოლოდ რუსული განათლებამიღებულ მასწავლებლებს ქართულ ენაში სწვრთნიდა, ქართულ ლიტერატურას აყვარებდა და შემდეგ ავალებდა მათ. თავიანთ სკოლაში გაევრცელებინათ იგი, ესწავლებინათ ბავშვებისათვის ქართული წერა-კითხვა და მშობლიური ლიტერატურა. „პეტრეს მიზანი იყო აფხაზეთში ქართული ენის გახშირება“, — დასძინს მოგონების ავტორი (საქ. საზ. განათლების მუზეუმი, № 2598).

იმ დროინდელ აფხაზეთ-სამურზაყანოში ქართულ ენას მართლა სჭირდა „გახშირება“, უფლებებში აღდგენა, მეფის კოლონიური პოლიტიკის შედეგად შეურაცხყოფილ და გათელილ ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული შემეცნებისა და შეგნების შეტანა. ამას კარგად გრძნობდა პეტრე ჭარაია, იმ ქართველ მოღვა-

წიგბთან ერთად, რომელთაც სამოქმედო ასპარეზად საქართველოს სწორედ ეს მხარე აურჩევიათ. ესენი იყვნენ პეტრეს უფროსი და უმცროსი თანამედროვენი და თანამეასაკენი, ლიტერატურულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ სარბიელზე საქმაოდ ცნობილი მოწინავე ქართველები: ანთიმოზ ჭულელი, ივანე გეგია, თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია, ვ. ბუანი, ივ. ბურჭულაძე, გრ. კანდელაკი და სხვა მრავალი, რომელთა საქმიანობას აფხაზეთში თვითმპყრობელობამ „ქართული პარტია“ უწოდა და მათი საჯარო გასამართლებაც მოაწყო. (იხ. საქ. შინ. საქმეთა სამინისტროს ცენტრ. არქივის ფ. 37, საქმე 2367).

პეტრე ბევრჯერ მიუწვევიათ ქუთაისში ან თბილისში სამუშაოდ, როგორც საუკეთესო პედაგოგი და ნიჭიერი ყურნალისტი, მაგრამ ის მუდამ სამურზაყანოში ირჩევდა დარჩენასა და მუშაობას. და ეს იმიტომ, რომ ის დარწმუნებული იყო აქ მეტს გააკეთებდა, მისი შრომისმოყვარეობა და ენთუზიაზმი აქ იყო საჭირო, როგორც ადგილობრივი მკვიდრი და ავტორიტეტული სახალხო მასწავლებელი, რომელიც იმ ხანებში გლეხისათვის იყო არა მარტო მასწავლებელი მისი შვილებსა, არამედ: მრჩეველი, დამცველი, ყოველგვარი გაჭირვების დროს დამხმარე და მისი უნუგეშო მდგომარეობიდან გამომყვანი.

ამის დადასტურებაა პ. კარაიას ერთი წერილი თედო სახოკიასადმი, რომელსაც პეტრესთვის ქალაქში გადმოსვლა უთხოვია 17/1 საზოგადოებაში სამუშაოდ. ამ წინადადებისათვის პეტრეს ამგვარად უპასუხნია: „იკო, 17 წელიწადი, რაც მასწავლებლად ვარ. 20 წლის სამსახურის შემდეგ, შეიძლება, პენსია გამომივიდეს და ამით მეტი თავისუფლება ვიშოვო. ამიტომ ამდენი ხნის სამსახურის დაკარგვას, სოფლის სალი ჰაერის მოშორებას ვერ ვბედავ, ვიცი რა ჩემი სუსტი აგებულების ამბავიო... მაშასადამე, თქვენს წინადადებაზე თანხმობას ვერ ვაცხადებო“... (წერილი 1900 წ. 5/III, დაცულია საქ. ლიტერატ. მუზეუმში. ფ.-2).

იმ ხანებში აფხაზეთში ნასწავლი კაცი ძნელად, ან სულ არ მოიძებნებოდა გარდა მასწავლებლისა. პეტრე იყო ერთადერთი, კოდორის უბანში, მასწავლებელი და ნასწავლი. მასთან მოდიოდნენ გლეხები, მას შესჩიოდნენ ყოველგვარ თავიანთ გაჭირვებას, და ისიც იღებდა მათ დაუზარებლად და ყოველ დროს ურჩევდა, არიგებდა, უწერდა განცხადებას, არზას და სხვა საქმიან ქალაქებს და თან ეწეოდა სათანადო პროპაგანდას სწავლა-განათლების გავრცელების სასარგებლოდ (ს. გ. მ. № 2598).

პეტრეს გლეხებთან საუბარი და ყოფნა არ მოსწყინდებოდა. ის მუდამ მათთან იყო, მათს შეყრაში ჩამდგარი იგი ბიბლიურ წინასწარმეტყველსა გავდა, რომელიც არწმუნებდა გლეხებს უკეთესი მერმისით, ოღონდაც შრომისმოყვარეობასა და შვილებისათვის განათლების მიცემას დადგომოდნენ. „ასე როდი იქნება აბრაგების თარგამი, უთავბოლო ხეტიალი, უბრალო დროს დაკარგვა. მაღე

დაამსხვრევა მეფის წესწყობილება და ხალხი თვით განაგებს თავის საქმესაო“ — ამბობდა ის მულამ დამაჯერებლად და შთაბეჭდილებით. (იქვე).

როგორც მასწავლებელი იგი იაკობ გოგებაშვილის ერთგული მოწაფე იყო, მოწინავე იდეებით აღჭურვილი და ახალი, ეროვნული სკოლისათვის მებრძოლი. მიუხედავად იმისა, რომ იმ ხანებში აფხაზეთის ეპარქიის ფარგლებში ქართული ენის სწავლება ყველგან და ყველა ტიპის სკოლაში სასტიკად აკრძალული იყო, პეტრე მაინც თავისას არ იშლიდა. მას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან“ მოსდიოდა წიგნები და მათ შორის ი. გოგებაშვილის „დედაენა“, რომელსაც ის უფასოდ ურიგებდა თავის მოსწავლეებსა და აგრეთვე ახლობელ სკოლებსაც აწვდიდა. ასწავლიდა ქართულს თავისუფალ საათებში, სკოლის გარეშე საკითხავი მასალის სახით და განა მარტო მოსწავლეებს, სკოლის დარაჯსაც (თუ ასეთი ეყოლებოდა სკოლას) და სოფლის ახალგაზრდა ყმაწვილებსაც, რომელნიც უწიგნურად იყვნენ დარჩენილნი. (იქვე).

არსენ ზენგიას გადმოცემით პეტრე ჭარაია იყო დინჯი, აუჩქარებელი, ენამახვილი და გამბედავი (ს. გ. მ. № 2598). ამასვე ადასტურებს მრავალი საგულისხმო ფაქტის აღნიშვნით ერთ-ერთი მისი ყოფილი მოსწავლე, რომელსაც პეტრეს ხელში სამი წელიწადი გაუტარებია და ამ ხნის მანძილზე არ ახსოვს მას, რომ ჭარაია მეგრულად ან რუსულად დალაპარაკებოდა რომელიმე მოსწავლეს. მისი სალაპარაკო ენა შინ თუ გარედ, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან მხოლოდ ქართული ენა ყოფილა (შ. ჩხეკრიას მოგონებებიდან).

მეორე თანამედროვის გადმოცემით, პეტრე ჭარაია იყო პროგრესულ შეხედულებათა მატარებელი, ნამდვილი ჰუმანური ადამიანი და დიდად გატაცებული და თავყვანისმცემელი სახალხო განათლებისა, რომლის ფართო გავრცელებისათვის ბრძოლას შეალია მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე (შ. ინალიფას მოგონებებიდან).

ის, თვითონ უცოლშვილოდ გადაგებული, მატერიალურ დახმარებასაც კი უწევდა ზოგიერთ ღარიბსა და ნიჭიერ მოსწავლეს. „პეტრე თითო-ორილა მოსწავლეს ყოველთვის თავის ხარჯით ზრდიდა“, გადმოგვცემს მისი ცხოვრების თანამგზავრი (ს. გ. მ. № 2598). მაგ. პეტრეს დახმარებით აღიზარდნენ, მისი ძმობილის ძიკი ინალიშვილის შვილები; პეტრემ გაუწია დახმარება თავისი მორდუს (ნამა-მძუძე) შვილიშვილებს (ტყუარჩელის მცხოვრებ გიორგი ზარანდიას შვილიშვილებს) და შესაფერი განათლება მიაღებინა (იქვე).

ასევე ეხმარებოდა ის თავის ნიჭიერ მოსწავლეებს და გზას უკაფავდა სწავლის გავრძელებისაკენ. ერთს კერძო წერილში პეტრე

რე წერს თავის ზუგდიდელ მეგობარს: „წელს ჩემს სკოლაში სწავლა დაამთავრა ერთმა ქალმა (თ-იამ). ჩინებულად დაიჭირა ეგზამენი მოქვეში. მშობლებსა და მასაც სურს სწავლის გაგრძელება. მაგრამ შესაფერი სასწავლებელი აქეთ არ არის. ზუგდიდის საქალებო სასწავლებელი (სამასწავლებლო — ს. ც.) იმაზე ზედ გამოჭრილია და მეც მინდოდა სადმე შესულიყო ეს ქალი, რადგან ჩემს ხელიდან ერთი ნასწავლი ქალი ჯერ არ გამოსულა. ამიტომ გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი ცნობები: იმ საქალებო სასწავლებელში პანსიონი არსებობს თუ არა? თუ არის პანსიონი რას ახდევინებენ თითო მოსწავლეს... ერთი სიტყვით შეიძლება თუ არა იქ მიბარება. დაბეჭითებით გთხოვთ ეს ცნობები შეაგროვოთ და პასუხი რაც შეიძლება მალე მომწეროთ“. (სახ. გან. მუხ. ფ. 2598).

ამგვარად ზრუნავდა ის ყველასათვის, ვინც კი სწავლისა და განათლების სურვილით გაქვითილი მიადგებოდა მას, თუნდაც შორეულ სოფლებიდან, რაიმე დახმარებისათვის. ის ყოველთვის მზად იყო, შესაძლებლობის ფარგლებში, არავინ დარჩენოდა დახმარებისა და თვისი მზრუნველობის გარეშე. ამით იგი მარტო სახალხო მასწავლებლის საზოგადო მოვალეობას როდი ასრულებდა, როგორც იტყვიან, მშრალად და წესისამებრ, არა. ის თავისი შინაგან განწყობასა და ბუნებრივი მოწოდების სტიქიას აკმაყოფილებდა. ის თითქოს ამ საქმისათვის იყო გაჩენილი. თავისი დიდი მოძღვრის, იაკობ გოგებაშვილის მსგავსად მას ხომ ოჯახი არ შეუქმნია, მაგრამ ეს მას არ აწუხებდა. მისი სახლი მუდამ საესე იყო ბავშვებითა და აღსაზრდელებით. ნათესავ-მოკეთეების მახლობლების და ნაცნობ-მეგობრებისათვის პეტრეს სახლი მარადი სამზრუნველო, თბილი და სასურველი თავშესაფარი იყო. აქ იღებდნენ ისინი რჩევადარიგებას, განათლებას, ნივთიერ და მორალურ დახმარებას, სულის სიმშვიდეს და გაქნეებას. (იქვე).

პეტრე ჭარაიას, როგორც მასწავლებელსა და აღმზრდელს, დისციპლინის დასამყარებლად არასოდეს კლასში სხვა პალიატივი არ უნებარია გარდა მოსწავლეთა შეგნებისა. მისი ყოველი გაკვეთილი იმდენად მიმზიდველი, დამაინტერესებელი და ყურადღების გამტაცებელი იყო, რომ მოსწავლეებს წუთითაც კი არ რჩებოდათ წესრიგის დარღვევისათვის. ამავე დროს პეტრეს დამოკიდებულება ბავშვებისადმი იმდენად სათუთი, შთამაგონებელი და გაქვითილი იყო ადამიანისადმი პატივისცემის გრძნობებით, რომ მოსწავლეები ერთიმეორეს არიგებდნენ და უსწორებდნენ საქციელს, იმ მოტივით, რომ „პეტრეს ეწყინებაო“. (ს. გ. მ. 3899).

ამგვარი დისციპლინის შედეგად პეტრე აღწევდა იმას, რომ მის კლასში ყველა მოსწავლე გაკვეთილს კარგად ამზადებდა, ყველა ბეჭითობდა და ყველა კარგად სწავლობდა, რაც ერთგვარ გაკვირვებას იწვევდა ზოგიერთს მოჩინოვნიყო პედაგოგებსა და მათს მესვეურებში, რომლებიც ცდილობდნენ ხშირად დასწრებოდნენ და „გაესინჯათ“ მისი გაკვეთილი.



მისი ყოფილი მოსწავლეები, იგონებენ რა დღეს პეტრეს გაკეთილებს, დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ არ ყოფილა შემთხვევა პეტრეს ოდესმე საჯაროდ დაეტუქსოს მოსწავლე, ან აწეული ხმით გაჯავრობოდა ვინმეს რაიმე შემთხვევისათვის. არ ყოფილა ოდესმე ისეთი შემთხვევა, რომ პეტრეს რომელიმე მოსწავლის ნამუშევარი მთლიანად დაეწუნებოდა. არა. ის ყველა ცუდად დაწერილ ნამუშევარსაც მოუძებნიდა რაიმე დადებით მომენტს და ამით გულდაწყვეტილ მოსწავლეს მდგომარეობიდან გამოიყვანდა, საჯარო შერცხვენას ააცილებდა და შემდგომი მუშაობისათვის გაამხნეებდა. (იქვე).

„არც მანამ, სანამ პეტრეს გავიცნობდი და არც შემდეგ, მე არ შემხვედრია პედაგოგი, არც დაწყებით, არც საშუალო და არც უმაღლეს სასწავლებელში, მოსწავლეებისათვის ისეთი საყვარელი, როგორიც იყო პეტრე ჭარაია“, — აცხადებს მისი ყოფილი მოსწავლე შ. ჩხეჩრია. „ჩვენ ვამჩნევდით მის თავდადებას მაღალი კულტურისა და იდეურობისათვის და ვხედავდით, რომ ჩვენს წინ იდგა ნამდვილი კრისტალური პიროვნება“, დასძენს კვლავ მოგონების ავტორი.

პეტრე ჭარაია, რომ მართლაც, კრისტალური და მაღალიდეთურა პიროვნება იყო, ამაზე მიგვითითებს ყველა მისი სიტყვა და საქმე, რომელიც არც თუ ისე ძნელი საძებარია ჩვენს პერიოდულ პრესაში და არქივთსაცავებში.

პეტრე ჭარაია მართლაც მასწავლებელი როდი იყო, ის იყო გატაცებული საზოგადო მოღვაწე, გაბედული ქომაგი ყოველი ჩაგრულისა და საკმაოდ მკრელი კალმის პატრონი. ის ყოველგვარ ხერხს მიმართავდა იმისათვის, რომ ხალხისათვის რაიმე ერგო, ხალხისათვის რაიმე ჭირი მოეშორებინა და ლხინი დაეახლოვებინა. ამგვარი ღვაწლის ერთი დამახასიათებელი ნიმუშია პეტრეს მიერ მოგონილი ხრიკები მიწათმოქმედების მინისტრის ჩამოსვლის დროს სამურზაყანოში.

მეფის რუსეთის მიწათმოქმედების მინისტრი, სათანადო ამალით, თბილისიდან და სუხუმიდან მოწვეულ ჩინოსანთა მხლებლებით, ტყვარჩელს მიემგზავრებოდა ახლად აღმოჩენილ ქვანახშირის მადარობის დასათვალისწინებლად. მას სოფელ ეშქეთში უნდა გაეწოდებოდა პეტრემ წინდაწინ მოამზადა ხალხი მის შესახვედრად და ურჩია; მინისტრი რომ მოვა, დაახვედრეთ მას თუთის ხის ნერგები და თხოვეთ მის სახელზე თვისი ხელით დარგვა და მასთან დაბეჯითებით თხოვეთ ამ ადგილას სახელმწიფო ხარჯზე სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსება და მისთვის შესაფერი შენობის ამავე ადგილას აგება. ადგილი ვაკე, ნაყოფიერი და ამ მხრივ მეტად ხელსაყრელი პირობების შემცველი იყო. გვერდით ჩაუდიოდა ანკარა მდინარე დალიძგა, რომლის ორივე ნაპირზე სამურზაყანოს

ლამაზი პეიზაჟის მშვენიერი პანორამა იყო გადაშლილი. მიუახლოვდა თუ არა ამ ადგილას მინისტრი თავის ამალით, წინ გადაღობილმა გლეხების ჯგუფმა შეაჩერა. იგიც გადმოხტა ეტლიდან. მან მიგებებული პურმარილი მიიღო და მის გარშემო შეკრებილ გლეხებსაც საუბარი გაუშარა. გლეხებმაც განზრახული სათხოვარი მოახსენეს. მინისტრიც დაეთანხმა, სამი ძირი თუთის ხის ნერგი მან თავისივე ხელით ჩარგო ნაჩვენებ ადგილას და სკოლის შენობის აგებაც აღუთქვა სახელმწიფო ხარჯზე (სახ. განათლ. მუზეუმი, № 2598).

შესაძლებელია, ამგვარი აღთქმანი და დაპირებანი ხშირად ყინულზე დაწერილი აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ იშვიათ შემთხვევაში მაინც ხომ ეწერა განხორციელება ზოგიერთ თავმოქმედებულ ადგილობრივ მარილთაგან და ისიც ხომ ერთგვარი ნაშოვარი იყო, როგორც იტყვიან, ყვავისაგან გაგდებინებული კაკალი. და ვინ მოსთვლის თუ რამდენი ასეთი ყვავისათვის გაუგდებინებია პეტრეს კაკალი, რამდენი სკოლა დაუარსებია, რამდენის შენობა აუგია და რამდენი სამკითხველოსათვის ფონდი შეუქმნია.

ერთ-ერთი მისი ყოფილი მოსწავლის გადმოცემით, პეტრე ჰარაიამ გალის სკოლის მოსწავლეებისათვის, წინააღმდეგ სკოლის აღმინისტრაციისა, ქართული ბიბლიოთეკა მოაწყო. ის მარტო ამასაც არ სჯერდებოდა. რეგულარულად იძენდა ქართულ გამოცემებს და უგზავნიდა ალექსანდრო-გრუმეცსკის ქართველ მოსწავლეებს ამგვარად, ქართველ მოსწავლეებს პეტრეს დახმარებით რუსეთშიც კი ჰქონდათ საშუალება არ მოწყვეტილიყვნენ მშობლიურ მწერლობას, სამშობლო ქვეყნის ვითარებას და ცხოვრების მიმდინარეობათა მოძრაობას. დღემდე ცნობილი არ არის თუ სად ჰქონდა ლარიბ მასწავლებელს საიმისო მატერიალური საშუალებანი, რომ ესოდენ მისი გატაცება და პირდაპირ მოთხოვნილებად ქცეული ქველმოქმედება მოზარდ თაობისადმი დახმარება, დაეკმაყოფილებია. მაგრამ ერთი ხომ ცხადია, უოჯახო პეტრეს თავისი საყოფაცხოვრებო გასავალი ძლიერ შეზღუდული ჰქონდა. ის, როგორც ამას ყველა მისი თანამედროვე ადასტურებს, არ იყო მფლანგველი. პირიქით, იყო მეტისმეტად ზომიერი, წესიერი და თანმიმდევარი. ღვინოს არ სვამდა, თამბაქოს არ ეწეოდა, ქაღალდს და რაიმე სხვას არ თამაშობდა, ტანისამოსი მას ყოველთვის ორი ხელი ჰქონდა კარგი და სუფთად შენახული, მულად ახალივით დაცული, შინ არასოდეს საგარეო ტანისამოსს არ ჩაიცვამდა და ამგვარად დაზოგვილი თანხა, რომელსაც ემატებოდა აგრეთვე მის მიერ გამართული საღამო-წარმოდგენების, თუ სხვა რაიმე გასართობებიდან შემოსული სახსრები, ხმარდებოდა მის საყვარელ საქმეს, — ახალგაზრდების აღზრდისა და განათლების საქმეს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით მრავალი ამგვარი ფაქტისა და ეპიზოდის მოყვანა შეგვიძლია პეტრე ჰარაიას, როგორც მასწავლებლისა და ადამიანის ხასიათების წარმოსადგენად, მაგრამ,

ვეტიკრობ, მოყვანილიც კმარა, რომ ვინმემ გადაჭარბებულ ქებად არ ჩამოგვართვას. ამიტომ ქვემოთ დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმე საილუსტრაციო ფაქტებსა და მაგალითებს, რომ სრულად წარმოვიდგინოთ მასწავლებელი პეტრე ჭარაია სკოლის გარეშე, როგორც მოქალაქე, სახალხო განათლების მოღვაწე და ხალხის ინტერესების უშიშარი დამცველი. არც სკოლაში და არც სკოლის გარედ ხალხში, პეტრე არ დარიდებია თვითმპყრობელობის ძაგებას, ცარიზმისა და მისი ერთგული აგენტების მხილებას. ის ყოველ საუბარში არწმუნებდა ყველას თუ როგორ ორმაგ ჩაგვრაში იყო ქართველი ხალხი მეფის ხელისუფლების წნეხის ქვეშ. ამავე დროს განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ აფხაზეთ-სამურზაყანოს მოსახლეობას, როგორც საგანაპირო ტერიტორიის მოსახლეობას, კიდევ უფრო მწვავე და დაუნდობელი ბრძოლა მართებს ცარიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ უკანასკნელმა საბოლოოდ განიზრახა ამ ულამაზესი და დოვლათიანი მხარის დედასამშობლოდან სამუდამოდ მოწყვეტა.

ეს რომ ასე იყო, ამის ცოცხალი და მკვევრმეტყველი დადასტურებაა ამჟამად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრარქივში დაცული ის საკმაოდ სქელტანიანი „საქმე“ (ფონდი 37, საქ. 2367), რომელიც 90-იან წლებიდან დაწყებული საიდუმლოდ სდგებოდა კავკასიის მთავარმმართველობის კანცელარიის მიერ. ამ „ძიების“ შედეგად სასამართლოში მიუტყიათ აფხაზეთ-სამურზაყანოში მცხოვრები რიგი ქართველი მოღვაწეებისა, როგორც იყვნენ: ჩვენი ცნობილი მწერალი თედო სახოკია, სახალხო მასწავლებლები ანთიმოზ ჭულელი, ივანე გეგია, ივ. ბურჭულაძე, ივ. კანდელაკი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე სპ. ნორაკიძე, ფ. დავითაია და სხვანი იმის გამო, რომ, თურმე ნუ იტყვიოთ, ისინი მიჩნეულნი ყოფილან როგორც „главными представителями грузинской партии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа“...

ამ მოზრდილი საქმის (51 გვ.) მართო ეს უტიფარი სათაურის წაკითხვაც კი კმარა იმის დასამტკიცებლად, თუ რისთვის იბრძოდა ცარიზმი ასე თვავდადღებით აფხაზეთ-სამურზაყანოს „გასანათლებლად“, თუ რისთვის იხარჯებოდა საგრძნობი თანხები აფხაზეთ-სამურზაყანოში „ქრისტიანობის აღსადგენად“...

პეტრე ჭარაია, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ამ „ქართული პარტიის“ შუა გულში იყო მოქცეული, როგორც პრაქტიკული მოქმედი, ადგილობრივი მუშაკი, საკმაო ავტორიტეტის, გამოცდოლებისა და სიფხიზლის მქონე ინტელეგენტი.

გენერალ-მაიორ სამოილოვის განსაზღვრით ამ ჭგუფის მთავარი ბრალდება ის იყო, რომ იგი: „Стремился сохранить грузинский язык в церквях и школах абхазского населения, чтобы утвердить свое влияние на абхазцев и связь с ними“... (37/9367).

თანამედროვე მკითხველმა შეიძლება გაიკვიროს და სთქვას: რა სისულელეა, — საქართველოში ქართული ენის სწავლება უნდა ყოფილიყო და ქართული გავლენა, აბა სხვა რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფაქტები და დოკუმენტები ჩიუტად მეტყველებენ, რომ ამ სისულელის განხორციელებას ცარიზმის აგენტები უერიოზულად ცდილობდნენ. ცარიზმი სერიოზულად ცდილობდა ქართული ენა განედევნა არა მარტო აფხაზეთ-სამურზაყანოსა და სამეგრელოს სკოლებიდან, არამედ მთელი საქართველოს სკოლებიდანაც, რომ სასტიკი წინააღმდეგობა არ გაეწია მოწინავე ქართველებს.

სუხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლების ზედამხედველი, მღვდელი ვასილი იასტრებოვი „უმტკიცებს“ მეფის მთავრობას, რომ სუხუმის ოლქში ნამდვილად არსებობს „პარტია“ ქართველებისა, რომელიც იბრძვის იმისათვის, რომ ეკლესიებში წირვა-ლოცვა და სამრევლოსა და სამინისტროს სკოლებში სწავლება აღდგენიქნეს ქართულ ენაზე, რითაც ხელი შეეწყობა მისახლოების „გაქართველებას“... „ეს კი, — დასძენს იგი თავის ჩვენებაში, — სასტიკად შეუშლის ხელს ამ ქვეყნის დაახლოვებასა და შერწყმას რუსეთის იმპერიასთან“... (იქვე).

აი, ის ატმოსფერო და მძიმე პირობები, სადაც უხდებოდა მუშაობა პეტრე ჭარაიას, როგორც მასწავლებელსა და საზოგადო მოღვაწეს და თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მებრძოლს.

მუდამ მოძრავი და ხალხში ჩამდგარი პეტრე აქტიური წევრი იყო ქართველთა იმ ჯგუფისა, რომელიც გააფთრებით ებრძვის მეფის რუსეთის შაგრაზმელებს, რომელთაც მტკიცედ ჰქონდათ განზრახული აფხაზეთ-სამურზაყანოს ტერიტორიიდან ადგილობრივ მკვიდრთა ალაგმვა, რა მიზნითაც ახალი აგარაბული „რეფორმები“ და სკოლების სრული რუსიფიკაცია ტარდებოდა. ამ პერიოდში (1890-1904) პეტრე ჭარაიას, როგორც პრაქტიკულ მოქმედს, და არც მის კალამს, არ შეუსვენია. მან ამ წლების განმავლობაში მრავალი, საყურადღებო, მწვავე ხასიათის მამხილებელი კორესპონდენცია და სტატია დაბეჭდა ჟურნალ „კვალსა“ და გაზეთ „ივერიაში“.

პეტრე ჭარაია მრავალგვარ ხერხს მიმართავდა ცარიტულ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოღონდაც ქართული საქმე გაკეთებულიყო. 1900-ანი წლების ერთს პერიოდში, როცა მეფის მოხელეებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს მიზანს მით, რომ სუხუმის ოლქის ფარგლებში სავსებით გააუქმეს ქართული ენის სწავლება, პეტრე დასაბუთებულ მოხსენებას უდგენს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომელსაც უმტკიცებს, რომ საქმის შემოვლა კიდევ შეიძლება. იმგვარ ადგილას უნდა დაარსდეს, ან გაიხსნას ქართული სკოლა, სადაც სამურზაყანოელ ბავშვებსაც შეეძლებათ მისვლაო. მაგალითისათვის იგი ასახელებს ზუგდიდის მაზრის, ენგურის პირად მდებარე ერთ-ერთ სოფელს,

სადაც პატარები ადვილად შესძლებდნენ გაღმიდან გამოსვლას, თუ კი სათანადო ხიდიც იქნებოდა მდინარეზე გადებული („კვალი“, 1901 წ. № 50).

მდგომარეობა უთუოდ ტრაგიკულია. სამეგრელო-სამურზაყანოს მხოლოდ მდ. ენგური ყოფს, სხვა წყალგამყოფი ზღვარი მათ შორის არ არსებობს. მოსახლეობა ერთიან მთლიანი, ერთი ენა, ერთი სარწმუნოება, რომელსაც იმდროში თავისი ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ერთგვარი ყოფა, ერთი ცხოვრება და იმის გამო, რომ რაკი ენგურს გაღმა იყო, სამურზაყანოში მშობლიური ენა — დედა-ქართული, უნდა მოსპობილიყო... და რომ ეს არ მომხდარიყო, დრომდე მაინც ამგვარ ხერხებისათვის უნდა მიემართნათ.

პეტრე ჭარაიას ეს მოღვაწეობა ქართველი ერის ცხოვრების იმ პერიოდს ემთხვევა, როცა 1901 წლის გაზეით „ბრძოლის“ № 2-ში ამხანაგი სტალინი წერდა: „რუსეთის დესპოტური მმართველობის ქვეშ კვენსიან ქართველები, სომხები და სხვა ერები, მოკლებულნი უფლებას, იქონიონ თავისი სკოლები, იმუშაონ სახელმწიფო დაწესებულებებში, იძულებულნი დაემორჩილონ იმ სამარცხვინო და შემავიწროებელ პოლიტიკას გარუსებოსას, რომელსაც ასე გულმოდგინედ ატარებს თვითმპყრობელობა“... (ტ. I, გვ. 22).

სიუხვე, თვითმპყრობელობის ამ „გულმოდგინეობისა“ არამარტო აფხაზეთ-სამურზაყანოს თავზე იყო გადმოღვრილი, იგი სამეგრელოსაც აბედნიერებდა. ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან მოყოლებული ამტიციებდნენ ცარიზმის იმგვარი ავტორიტეტული „მეცნიერები“ და „განმანათლებლები“ როგორიც იყვნენ საქართველოს „გამაბედნიერებლად“ მოვლენილნი ლევიცი, იანოვსკი, გრენი, ვოსტორგოვი და სხვა ძმანი მათნი, რომ მეგრელები სულ სხვა ერია, სხვა ენაზე მოლაპარაკე და მათ ქართველებთან არაფერი არ აკავშირებსო.

დამპყრობელის ძველი ნაცადი ხერხი Divide et impera, არც ქართველ მოღვაწეთათვის იყო ამოუხსნელი გამოცანა. რუსიფიკაციის გაქნილი აგენტების ხრიკები და მათი მოძალადეული შემოტევა ჩვენი ქვეყნის დასაქუცმაცებლად და საბოლოო წასალეკად მკერდით იქნა შეჩერებული ისეთ გავლენიან ქართველთაგან, როგორიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალ. ხახანაშვილი, პროფ. პეტრიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვ. მრავალი. მათ შორის აფხაზეთ-სამურზაყანოს ადგილობრივი მკვიდრნი, როგორიც იყვნენ თ. სახოკია, ნიკო ჯანაშია, ივ. გეგია, პეტრე ჭარაია და სხვ. ის რიგითი მებრძოლები იყვნენ, რომელთაც ერთხელაც არ უჩვენებიათ მტრისათვის ზურგი.

ამგვარმა შეუპოვრობამ თანდათანობით ჩაფუშა მტრის ზრახვები და ანგარიშები. საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციამ კეთილი აამალლა და უფრო გააძლიერა, ხოლო ბოროტების მახინჯი სახე უფრო მკვეთრად გამოავლინა. მშრომელთა კლასის გათვითცნობიერ-

რებამ და ზრდამ, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასაც მერტი ძალა და გამბედაობა შემატა. როგორც ამხანაგი სტალინი წერდა: „მეფის მთავრობის ტახტი საფუძვლამდე ირყეოდა“ (ტ. I, გვ. 75). და „იწყებოდა ქარიშხალი, გარიჟრაჟის მუქუყებელი“ (იქვე, 77).

ამ გარიჟრაჟის მოახლოების გავლენით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ არა მარტო საკუთარ სკოლებში მიაღწია სხვადასხვა საგანთა მშობლიურ ენაზე დ მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას, არამედ სხვა უწყებისა და ტიპის სკოლებშიაც შეიტანა იგი, რა თქმა უნდა, თავისი სახსრებით. მაგალითად, თბილისში: ვერის, კუკიის, ჭავჭავაძის ქუჩის უბანში და ავლაბრის სკოლებში 1912 წლიდან ქართველთა შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივითა და ხარჯებით შემოღებულ იქნა მშობლიური ენის სწავლება. 1914 წელს ქართული ენის სწავლება შემოღებულ იქნა აგრეთვე ე. წ. სოფიის სახ. სკოლაში. (თბილისი), ხოლო 1915 წლიდან ქართველთა შ. წ. კ. გამ. საზოგადოებამ საკუთარი მონდომებითა და სახსრების საშუალებით სამურზაყანოს ერთს ყველაზე მაღალი ტიპის, ე. წ. სამრეწველო სამასწავლებლო სასწავლებელში დააწესა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება.

ამ სკოლაში სწავლობდნენ მეგრელები, აფხაზები და სვანები. „სკოლის კურსის დასრულების შემდეგ, — აღნიშნულია შ. კ. საზოგადოების ანგარიშებში... ყმაწვილებს ამწესებენ თავიანთ კუთხეებში მასწავლებლად, გალის სკოლაში ყველაფერს ასწავლიდნენ გარდა ქართული ენისა. ადვილად წარმოსადგენია, ქართული ენის უცოდინარი მასწავლებელი როგორი დამცველი იქნებოდა ქართული ენის ინტერესებისა.

„შ. კ. საზოგადოების“ გამგეობის მეცადინეობით 1915 წლის შემოდგომიდან „შ. კ. საზოგადოების“ ხარჯით გალის სკოლაში შემოღებულ იქნა ქართული ენის სწავლება, როგორც საგნისა. მასწავლებლად გამწესებულ იქნა ქართულ ლიტერატურაში ცნობილი (ხაზი ჩემია — ს. ც.) პეტრე ჭარაია“. (ანგარიში, 1915, გვ. 123).

„ქართულ ლიტერატურაში ცნობილი“ პეტრე ჭარაია სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ მოშორებია დასახლებულ სკოლას.

ჯერ კიდევ ამ სასწავლებელში მუშაობის დაწყებამდე, პეტრემ საჯაროდ გაილაშქრა სუბუშის ოლქის სკოლებში ქართული ენის დღენის წინააღმდეგ („განათლება“, 1914 წ. № 1). მან ამხილა ეპარქიის ზელმძღვანელთა და სამოქალაქო უწყებით ადმინისტრაციის შეთანხმებული უმართებულო საქციელი მშობლიური ენისადმი, რითაც საკმაოდ გადაიმტერა აფხაზეთის ეპისკოპოსი სერგი.

ამავე ეპისკოპოსმა ამის შემდეგ არც კი დააყოვნა და, თითქოს პეტრეს სამართლიანი მოთხოვნის საპირდაპიროდ, გასცა ახალი განკარგულება, რითაც აფხაზეთის ფარგლებში მდებარე ყველა

სკოლაში ქართული ენის სწავლება სრულიად იკრძალებოდა, გარდა ზოგიერთი, — გამოჩინების სკოლებისა, სადაც კვირაში მხოლოდ ერთი გაკვეთილი უნდა დათმობოდა ამ საგანს და ისიც მეექვსე და უკანასკნელი. პეტრე ჭარაიამ, წინააღმდეგ ამ განკარგულებისა, თავის სკოლაში ის ყოველდღე დააწესა, ხოლო გაზეთ „ვოზროდენიეში“ „ბროლის“ ფსევდონიმით დაბეჭდა სტატია — „კვლავ ქართული ენის დევნის შესახებ სუხუმის ეპისკოპოსის მიერ“. ეპისკოპოსმა ამ წერილის ავტორად, ცხადია, პეტრე მიიჩნია...

და როცა ეს ეპისკოპოსი პეტრეს სკოლაში ესტუმრა, ნახა, რომ ცხრილის მიხედვით ქართულ ენას ყოველ კლასში ყოველდღე თითო გაკვეთილი ჰქონდა დათმობილი. ამით გაბრაზებული და თან გაკვირებული ეპისკოპოსი სერგი, პეტრეს შეეკითხა:

— თქვენ ხართ პეტრე ჭარაია, რომელიც კვირაში ექვსდღიან გაკვეთილს უწოდებთ ქართული ენის დევნას?..

— არა ექვსდღიანს, არამედ კვირის მეექვსე დღის მეექვსე 40-წუთიან გაკვეთილს, რომელიც თქვენ დააწესეთ და ამჟამადაც დაცულია მთელ რიგ სკოლებში, უპასუხა პეტრემ. (საქ. გან. მუხ. 2598).

ამავე რკალში უნდა მოექცეს ერთი საინტერესო მოგონებაც, რომელიც პეტრეს ყოფილმა მოსწავლემ ბაგრატ დ. ხორაევამ მომართა გალიდან. ბ. ხორაეა წერს თავის მოგონებაში: „1915 წ. ქ. შ. წ/კ გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, მიადგინა რა გალის სამსწავლებლო სკოლაში ქართული ენის სწავლების შემოღებას საკუთარი ხარჯებით, მის მასწავლებლადაც პეტრე ჭარაია მოიწვია. იგი იყო უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანი, მშვიდი, აუჩქარებელი, დიმიტრი. მისი მადლიანი სიტყვა ამდიდრებდა არა მარტო მოსწავლის ცნობიერებას ახალი მეცნიერული ქეშმარიტების ცოდნით, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობის გულში აღანთებდა სიყვარულს სამშობლოსადმი, სიყვარულს ყოველივე კეთილი, პროგრესული და ჰუმანურიობისადმი. ეს იყო კაცი გულმართალი, გულისხმიერი, უანგარო საზოგადოებრივი მუშაკი.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ის გაკვეთილზე აღეღებულყოფოს, მისთვის ჩვეულ ზომიერ კილოზე უფრო ხმაშაღლა დალაპარაკებოდეს მოსწავლეებს. წესრიგის დარღვევისა თუ გაკვეთილის არცოდნის შემთხვევაშიც კი, თუმცა ასეთ შემთხვევას იშვიათად თუ ჰქონდა ადგილი. პეტრე ჭარაია დაბეჯითებით გვიწინააღმდეგობდა, რომ „სიმართლეს თავი არ ასტკივდებოდა“.

მახსოვს ერთი ეპიზოდი ჭარაიას მუშაობიდან, რომელიც საკმაოდ ახასიათებს ამ მადლიან პედაგოგს:

ერთ-ერთ რუსულ ცენტრალურ გაზეთში („პეტერბურგსკიე ვედომოსტი“) „დურნოვოს“ ხელმოწერით გამოქვეყნდა წერილი სათაურით: „ქართული ენის დევნა გალის სამსწავლებლო სკოლაში სუხუმის ეპარქიის ეპისკოპოსის სერგის მიერ“.

ამ წერილმა აათორიაქა შავრაზმელი ეპისკოპოსი და მალე ესტუმრა ვალის სკოლას. სკოლის შემოწმების შემდეგ, მისი ბრძანებით მოსწავლეებს თავი მოგვიყარეს ერთ დარბაზში. ეპისკოპოსმა წარმოსთქვა დამრიგებლობითი სიტყვა. იგი გვარწმუნებდა, რომ საჭიროა ვისწავლოთ მხოლოდ საღვთო რჯული, კატეხიზმი და რუსული ენა. ქართული ენა თქვენ არ დაგვირდებათ, ის მხოლოდ აკენის პერიოდის ენაა. ამ ენას თქვენს ცხოვრებაში ვერ გამოიყენებთ, რადგანაც ყველგან სახელმწიფო დაწესებულებებში, სკოლებსა და ეკლესიებში გაბატონებულია რუსული ენა. თვით თქვენი მამა-მეფე ამ ენაზე სცემს კანონებს და განკარგულებებსო. გვირჩია — გაკვეთილებზე, კარში და ერთმანეთთან საუბრის დროს რუსულ ენაზე გველაპარაკა, შემოგველო ე. წ. ფირფიტა და ა. შ.

მეორე დღეს ჩვენთან (III კლ.) შემოვიდა პ. ჭარაია. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ შეგვკაჩრა და თავისებური სიღინჯით და ამბოღებით ტონით მოგვმართა: „გულში თქვენ ეპისკოპოსმა სერგიმ სიმართლე გითხრა. ქართული ენა მართლაც განდევნილია სახელმწიფო დაწესებულებებიდან და სკოლებიდან. ეს სინამდვილეა, მაგრამ სინამდვილე მწარე და უკუღმართი. ეს ასე არ იქნება. მეფე ხალხის მამა კი არა, ხალხის მტერია, მისი მჩაგვრელია. საუკუნეების განმავლობაში გმინავს ხალხი მეფის მთავრობის ქვეშ. ხალხის რჩეული შვილები იბრძვიან ამ უსამართლობის წინააღმდეგ. მალე, სულ მალე მშრომელი ხალხი მიიტანს უკანასკნელ და გადამწყვეტ იერიშს თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრეზე და ნაცარ-მტვრად აქცევს მას. გჯეროდეთ ბავშვებო, რომ სიმართლის ნერგი იხარებს და მამინ ბორკილაწყვეტილი ქართველი ხალხი აღადგენს უფლებებში ტყვილ ქართულ ენას, თავის მდიდარ ლიტერატურასო...“

ისეთი გატაცებით და თავდავიწყებით ლაპარაკობდა პ. ჭარაია, რომ ყოველ ფრაზაში აქსოვდა არსებულ უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას... ორი წლის განმავლობაში გვასწავლიდა ჭარაია ქართულ ენას. ამ მოკლე დროში მან შეძლო აენთო ჩვენს გულში ქართული ენისა და ლიტერატურისადმი უშირეტი სიყვარულის გრძნობა... (მოგონება დაცულია ჩვენთან).

ამ მოგონებას კომენტარი არ სჭირდება. იგი თითქმის ემთხვევა სხვათა მოგონებებში მოთავსებულ ეპიზოდებს და პეტრეს მოღვაწეობის მთავარ მომენტებს.

როცა სუხუმის ეპარქიის სკოლების ზედამხედველმა აღფეროვმა, მასწავლებელთა ერთ-ერთ კრებაზე სხვადასხვა მაგალითებითა და მოსაზრებებით რომ „დაამტკიცა“ აფხაზებისა და მეგრელებისათვის ქართული ენის სწავლის ზედმეტობა, პეტრემ იმავე კრებაზე, სრულიად მოურიდებლად, კონტრმოხსენებით გამოსულმა, ამხილა ამ ახლად მოვლინებული დავვიანებული რუსიფიკატორის ბნელი ზრახვები და იქვე, საჯაროდ, საკმაო მეცნიერული არგუმენტაციით, დამაჯერებლად, დაადასტურა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების აუცილებლობა (იქვე).



იმპერიის სკოლების ზედამხედველი პ. ჭარაიას სკოლაში (გალ-ში) გაკვეთილების განაწილების ცხრილს რომ გაეცნო, განცვიფრებით შეეკითხა მასწავლებლებს: „Что это за гРУЗИНСКІЙ ЯЗЫК у Вас?“ მასწავლებლები დაიბნენ, ხოლო პეტრემ დინჯად და თავისებური დამაჯერებელი ტონით უპასუხა: „ქართული ენა მშობლიური ენაა ადგილობრივი მოსახლეობისა, რომლებიც მოითხოვენ ამ ენის სწავლებას სკოლაში“.

— „თუ ხალხი მოითხოვს, — ჩაილაპარაკა ყოყმანით მოლიბერალო ზედამხედველმა, — დე, ისწავლებოდესო“. (იქვე).

პეტრემ იმდენი გავლენა მოიპოვა გალის სკოლის როგორც მოსწავლეებზე ისე პედაგოგიურ შემადგენლობაზე, რომ სასკოლო საბჭო, ამ სკოლის კურსდამთავრებულთა გარკვეულ ჯგუფს ყოველწელს აგზავნიდა სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში, ე. წ. ალექსანდრო-გრუშევსკის ჯამასწავლებლო სკოლაში და თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა პეტრეს ამ მოსწავლეებთან და რა დახმარებას უწყევდა მათ, ამის შესახებ ზომ ზევითაც აღვნიშნეთ.

„პეტრე ყოველთვის გამოირჩეოდა სხვა მასწავლებელთა შორის თავისი განსაკუთრებული თვისებებით, — იგონებს ერთ-ერთი მისი ყოფილი მოსწავლე, — ის თითქოს მთელი თავით მალდა იდგა ყველაზე. ისინიც გრძნობდნენ ამას და განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ პეტრეს. თვით ის მასწავლებლები, რომელთაც განათლება რუსიფიკატორულ სკოლაში მიუღიათ და არაფერი არა ესმოდათ—რა ქართული ლიტერატურისა და კულტურისა, პეტრეს გვლენით და ზემოქმედებით ჩაებნენ მშობლიური ენისა და მწერლობის სწავლებაში. ამგვარი გავლენით პეტრემ არამცირედი შემობრუნება მოახდინა სამურზაყანოს რაიონში — ქართულმა ენამ სწრაფი გავრცელება იწყაო...“ (იქვე).

ქართული ენის ამ გავრცელებულობას ხელს უწყობდა უმთავრესად ის ქართული ბიბლიოთეკები, რომლებიც პეტრეს თაოსნობითა და ინიციატივით თითქმის ყველა მოზრდილ სოფელში იქნა გახსნილი და რომელთაც ყველა ქურნალ-გაზეთებითა და სხვა ქართული გამოცემებით ამარაგებდა „ქ. შ. წ/კ გამ. საზოგადოება“, ცხადია, ისევე პეტრეს დახმარებით. (იქვე).

აღსანიშნავია, რომ პეტრე, ივ. გეგიას, ვლ. ბეანიას და სხვათა დახმარებით, ყოველ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთან აყალიბებდა სცენის მოყვარეთა წრეს. ხელმძღვანელობდა რა ამ წრეს, თვითონ შესაფერ ქართულ წარმოდგენებს მართავდა სამურზაყანოს სხვადასხვა სოფლებში, რაც ხელს უწყობდა, როგორც ქართული ენის აღდგენასა და გავრცელებას, აგრეთვე მოსახლეობის თვითმშეყენებას და ეროვნული შეგნების ამაღლებას.

პეტრე ჭარაია მართო პრაქტიკულ საქმიანობასა და სახალხო განათლების გავრცელებისათვის მოღვაწეობაში როდია გართული. იგი დაუცხრომელი თვითგანვითარების გზით იძენს და ივსებს ცოდნას; ხშირად დადის საექსკურსიოდ არდადეგების დროს და ზოგჯერ

უფრო ხანგრძლივად როგორც რუსეთში, აგრეთვე გერმანია-საფრანგეთსა და შვეიცარიაში. თავისთავზე სისტემატური მუშაობის შედეგად ის ხდება მომზადებული ქართველი ინტელიგენტი, საკმარისად მფლობელი ქართული, რუსული, აფხაზური, გერმანული და ფრანგული ენებისა, შესამჩნევად ფხიანი, მახვილგონიერი და მრავალფეროვანი კალმის პატრონი.

პეტრეს კალმით მოღვაწეობაზე ლაპარაკი ქვევით გვექნება, მაგრამ აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი მისი ნაშრომი „დედაენის ზოგიერთ სიტყვათა განმარტება“, რომელსაც შესაფერი წვლილი აქვს შეტანილი სახალხო განათლების საქმეში და განსაკუთრებით სამეგრელო-სამურზაყანო-აფხაზეთის პირობებში.

წიგნი, რომელიც გამოცემულია 1910 წელს, ჯერ კიდევ „დედაენის“ ავტორის, იაკობ გოგებაშვილის სიცოცხლის დროს, ცხადია, დიდი ქართველი პედაგოგის მიერ მოწონებულია. ეს ნაშრომი, მოკლედ რომ ვთქვათ, „დედაენის“ ლექსიკონია, მასში მოთავსებულ, ან ნახმარ ზოგიერთ სიტყვათა განმარტებაა.

ეს „განმარტებითა ლექსიკონი“ რომ „დედაენას“ სჯიროდა, ამას ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვნება, მისი ენის კილოკავის სიუხვე და დილაექტები ადასტურებს. მაგ. სიტყვა სერი ყველგან საქართველოში გორაკს ნიშნავს, მაგრამ მეგრულში ეს სიტყვა ღამეს უდრის, ძველ ქართულში კი ის მართლა დაღამებას, ვახშობას (სერობა) ნიშნავს, მაგრამ იმ დროინდელს, რუსულ სკოლაში აღზრდილ და ქართულის ცოდნაში გაუწვრთნელ მეგრულ თუ აფხაზ მასწავლებელს ამდენი არ ესმოდა და არც მოეთხოვებოდა. ამიტომ იმანაც, ლექსი „სერზედ მიდის სამი მგელი“... ბავშვებს ასე განუმარტა: „ღამით მიდიოდა სამი მგელიო, რამდენი ამგვარი კურიოზული მაგალითების მოყვანა შეიძლება სამეგრელო-სამურზაყანოს და კიდევ სხვა კუთხის სკოლების წარსულიდან, მაგრამ, ვფიქრობთ, საჭირო არ არის. უმჯობესია თვით ამ წიგნის არსებობა მივიღოთ დამაჯერებელ დოკუმენტად და აქ მის ავტორსაც მივეცეთ სიტყვა:

„დედაენა“ შეიცავს დიდს ლექსიკურ მასალას, და ეს გარემოება, — წერს ავტორი, — უნდა ჩაითვალოს ამ სახელმძღვანელო წიგნის უმთავრეს ღირსებად.

მაგრამ ზოგიერთი სიტყვები, „დედაენაში“ ნახმარნი ყველა კუთხის ქართველებისათვის ერთნაირად გასაგებნი არ არიან.

გარდა ამისა, სამეგრელოსა და სამურზაყანოს სოფლის იმ მასწავლებლებს, რომელთაც განათლება მიუღიათ ისეთს სასწავლებლებში, სადაც ქართულს არ ასწავლიდნენ (ხაზი ავტორისაა—ს. ც.), საკმაოდ უჭირთ დედაენის ლექსიკური მასალის რიგიანი ახსნა-განმარტება სკოლებში. ეს მით უფრო, რომ მსხვილი ქართული ლექსიკონები ეხლა გასასყიდად არ იშოვება, თუმცა მათი შექმნა სოფლის მასწავლებლებისათვის არც ისე ადვილია.

ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ეს პატარა წიგნაკი (იმ ნაკლოვანებებითაც, რომელთაც იგი ვერ ასცდა) ცოტაოდენ სამსახურს გაუწევს ზოგიერთ მასწავლებელს და მოსწავლეს, განსაკუთრებით სამეგრელო-სამურზაყანოში“ (წინასიტყვ. გვ. 1-2).

განმარტებული ლექსიკონი შედგენილია ი. გოგებაშვილის „დედაენის“ 1908 წლის გამოცემის მიხედვით. სიტყვები, სადაც კი ავტორს საჭიროდ მიუჩნევია, განმარტებული აქვს ქართულადაც და მეგრულადაც. მაგ. სერი — გორა, ბორცი — სუკი; სერი — სერობა (ვახშობა), — ოსერიშე; რეჰანი — შაშველამი (შაშველამა) — სამშურე; რთვილი — გაყინული ნამი, — გოყინული ცუნდი; ფილთაქვა — ქვასანაყი, როდინის ქვა, — ოკაკილე ქუა; ჰვევრი, — ჭური, ლაგვანი და ა. შ.

დიდმა პედაგოგმა, ი. გოგებაშვილმა თავისი „დედაენის“ ამგვარი ლექსიკონი სიამოვნებით მიიღო და წიგნაკსაც შესაფერი წარმატება ხვდა იმ მხრივ, რომ იგი შეიქნა მუდმივი თანამგზავრი და მაჭირების ტალკვესი ნაციონალიზაციის გზაზე შემდგარ სამეგრელო-სამურზაყანოს დაწყებითი სკოლების მასწავლებლებისა.

ამგვარივე ტიპის პატარა ლექსიკონები პეტრე ჭარაიას დამუშავებული ჰქონდა აგრეთვე „ბუნებისკარის“ და „დედაენის“ II წიგნისათვის, მაგრამ მათი გამოცემა ავტორს ვერ მოუხწვრია. ეს შრომები ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში.

პეტრეს დაუღალავი შრომის, მისი ხასიათის შეუპოვრობის, სიმტკიცისა და პრინციპულობის, ავტორიტეტისა, ყოველი საქმისადმი ბეჯითობისა და სათანადო ცოდნის გამოჩენის შესახებ ერთგვარად მოგვითხრობენ თავიანთ მოგონებებში, როგორც მისი თანამებრძოლნი (თ. სახოკია, არ. ზვინგია), ისე მისი ყოფილი მოსწავლეები (შ. ჩხევერია, შ. ინალ-იფა, ნ. ბოკუჩავა და სხვ.).

1907 წელს, როცა ქ. სუხუმში, თედო სახოკიას, როგორც პოლიტიკური დამნაშავეს (რომელსაც ბრალდებოდა 1905 წელს საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანა) საჯარო გასამართლებაზე, ცნობილმა იურისტმა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, რომელიც პეტერბურგიდან იყო გამოწვეული, ვრცელი და მნიშვნელოვანი სიტყვა წარმოთქვა, ამ სიტყვით აღფრთოვანებულმა, პეტრემ ვერ მოითმინა და ანდრონიკაშვილს მიმართა: „Жаль, что вы не владеете грузинским языком“... ანდრონიკაშვილმა მიუგო: „Мне больше жаль, по что делать, там родился и там воспитан“...

იქიდან გამობრუნებისას ამ პასუხით განაწყენებულ პეტრეს უთქვამს: „რა შუაშია რუსეთში დაბადება და იქ აღზრდა? საკვირველია. თავისი მშობლიური ენის შესწავლით რად არ დაინტერესდა. არ ეპატიება ქართველს, ქართული ენის უცოდინარობა“ (ს. გ. მ. 2598).

ის დიდი ბეჭითობით თხოვდა ყველა ქართველს სამშობლო ქვეყნისა და ხალხის სამსახურს და პირველი, თვითონ იძლეოდა ამის მაგალითს.

გალის სასწავლებელში მომუშავეს, მას საკუთარი სახლი საკმაოდ მოშორებით ჰქონდა, სოფ. ეშქეთში. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ის ოდესმე დაგვიანებით გამოცხადებულიყო სკოლაში. მას ჰყავდა საკუთარი ცხენი, რომელზედაც ჯდომა ძლიერ უყვარდა, და ამ ცხენით ის ყოველთვის ასწრებდა, ყველაზე ადრე გამოცხადებულიყო თავის საყვარელ სკოლაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ოჯახის სიმორე მას არასოდეს არ აიძულებდა ოდესმე მაინც ესაუზმნა სასადილოში, ან რომელიმე კარგ რესტორანშიაც.

1917 წლის რევოლუციას, თვითმპყრობელობის დამხობას, პეტრე განსაკუთრებული აღტაცებით მიეგება. ის ხშირად გამოდიოდა გლეხთა მრავალრიცხოვან მიტინგებზე თავისი დინჯი, დაკვირვებული და მგზნებარე რევოლუციური სიტყვებით, რომელსაც მუდამ აღფრთოვანებითა და ყურადღებით ისმენდნენ.

„მახსოვს, — იგონებს პეტრეს ყოფ. მოსწავლე, — ერთ-ერთ მიტინგზე რუსმა ჯარისკაცმა თქვა მშვენიერი და მნიშვნელოვანი სიტყვა. მაგრამ რაკი ეს სიტყვა ხალხმა ვერ გაიგო, მისი გადათარგმნა ითხოვეს. თარჯიმანობა მაშინდელმა ადგილობრივ თავადაზნაურთა წინამძღოლმა, ცნობილმა რეაქციონერმა, ნ. ემუხვარმა იკისრა, მაგრამ ხალხმა არ დაანება, და მოითხოვა ის სიტყვა პეტრე ჭარაიას ეთარგმნა, რომელმაც შეასრულა ხალხის მოთხოვნა“. (იქვე).

ასეთი ნდობითა და სიყვარულით იყო პეტრე მუდამ აღჭურვილი ხალხისაგან. ხალხი გრძნობდა, რომ პეტრეს უყვარდა იგი და ამიტომ ხალხსაც სურდა პეტრე მუდამ მასთან ყოფილიყო. პეტრეც ასე იქცეოდა. ის მუდამ ხალხში იყო, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, მისი მრჩეველი და „გაჭირვების ტალკვესი“.

პეტრე თავისი ქცევითა და გონივრული საქციელით არამარტო ჩვეულებრივ ადამიანებზე ახდენდა გავლენას და ტოვებდა წარუშლელ შთაბეჭდილებას, არამედ ნახევრად გავლურებულ, ტყეში გაჭრილ, კაცის მკვლელ და მძარცველ აბრაგებზეც (ყაჩაღებზეც). რამდენიმე საინტერესო ცნობაა ამ მხრივ ჩვენს განკარგულებაში, საიდანაც მხოლოდ ერთს დავასახელებთ, როგორც სხვაზე უფრო რთულ ვითარებაში მომხდარსა და ხიფათთან ძლიერ დაახლოებულ ეპიზოდს:

ერთხელ ზუგდიდისაკენ ცხენით მიმავალ პეტრეს სამურზაყანოს გზაზე რამდენიმე შეიარაღებული ყაჩაღი (ყაჩაღობა ამ მხარეში ხშირი მოვლენა იყო იმ პერიოდში) შეხვდა. ისინი ცხენებზე ისხდნენ ნაბადმოხვეულნი. დანახვისთანავე პეტრესკენ გასწიეს, რამაც ძლიერ შეაშინა პეტრეს თანამგზავრი, მისი ძმობილის შვილი. მაგრამ, როცა ყაჩაღები მიუახლოვდნენ და იცნეს პეტრე ჭარაია, ყველანი ცხენებიდან ჩამოხტნენ და სათითაოდ მიესალმნენ მას. ისინი აღმოჩნდნენ

ცნობილი ყაჩაღები: სპირიდონ სალაყაია, ალექსანდრე მარშანი, ძმები აჯინჯალნი და ადლები, რომელნიც შიშის ზარსა სცემდნენ მთელ სამურზაყანოს. პეტრემ საუბარი გაუმართა მათ, იმდენი ელაპარაკა, იმდენი ებაასა, იმდენად დაარწმუნა, დააჯერა თავიანთ საქციელის მავნებლობაში, როგორც ხალხისათვის, ისე თავიანთ თავისათვის, რომ, რუსთაველის სიტყვები „გველსა ხერელით ამოიყვანს ენატკბილი მოუბარი“ — საესებით გაამართლა. ეს, ამოდენა ვერაგობით სახელგანთქმული აბრაგები, თითქმის გატყუარებულნი, კვლავ მოშინაურდნენ და მშვიდობიან ცხოვრებისაყენ იბრუნეს პირი (იხ. სახ. გან. მუზეუმი, № 2598).

ამის შემდეგ როგორ არ უნდა მოგვაგონდეს იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ მოთავსებული ლამაზი ნოველა „ქეშმარიტი მოძღვარი“, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ ჩააგონა და მოაშინა სურა მძარცველი და მკვლელი ავაზაკი და ბოლოს ერთ-ერთი სოფლის სკოლის საუკეთესო მასწავლებელიც კი გაზანდა ნამდვილმა მოძღვარმა. ამგვარი ჰუმანიური ბუნებითა და ნიჭით დაჯილდოებული ყოფილა ქეშმარიტი მასწავლებელი და აღმზრდელი პეტრე ჭარაიაც.

რომელი ერთი დამსახურება უნდა ჩამოითვალოს ამ უანგარო და სამაგალითო კაცისა ქართული კულტურისა და სწავლა-აღზრდის საქმის წინაშე? მისი შეუწელებელი ენთუზიაზმი და ღრმა პატრიოტიზმით შთაგონებული განწყობილება მარად ამაყი, უტეხი და ენერგიულად მოქმედი იყო, დიდი მერმისისაყენ მომწოდებელი; ის მუდამ იმედის ცეცხლით ანთებული იცქირებოდა მკვდრეთით ამდგარ და განახლებულ საქართველოსაყენ. მას, რომელსაც გატაცებით უყვარდა თავისი სამშობლო, — ილია ჭავჭავაძის ლექსის — „მესმის, მესმის“ — ხშირი დეკლამირება და პათოსით წამოძახილი ლოზუნგისა „გაუმარჯოს საქართველოს“, — ამ გამარჯვების მხოლოდ გარიყრაჟის ხილვალა ეღირსა (იქვე).

მაგრამ ამ გარიყრაჟსაც დააჩნია მან თავისი კვალი მით, რომ ის თებერვლის რევოლუციის მეორე დღიდანვე შეუდგა სამურზაყანო — აფხაზეთის, უკვე ნაციონალიზაციის გზაზე შემდგარი სკოლის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსების ორგანიზაციას დ. გალში და 1919 წლამდე ენერგიულად ხელმძღვანელობდა მას.

პეტრე ჭარაია დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, 92 წლის ამაგდარი მოხუცი იქნებოდა, — რა სიამითა და ტკბილი განცდებით აღივსებოდა, როცა მის ნანატრ საქმეთა ბრწყინვალედ დაგვირგვინებას საკუთარი თვალთ გადახედავდა... მაგრამ მისმა ესოდენ ბეჯითობამ, დაუცხრომელმა და დაუღეგარმა შრომამ და სიღუბნე-რესთან ბრძოლამ, უთუოდ, ადრე დააშერეს და გასტეხეს მისი ფოლადისებური ჯანი. მისი ნაცნობ-მეგობრები და მახლობელი ადამიანები გადმოგვცემენ, რომ პეტრე მთელი მისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე (58 წლისა გარდაიცვალა) არასოდეს ავად არ ყოფილა.

1919 წლის 2 დეკემბერს იგი დამბლის მსხვერპლი გახდა, რაც ქართველ საზოგადოებას აუწყა მისმა ძმისწულმა თამარ ნიკოლოზის ასულმა ჭარაიამ გაზეთ „სახალხო საქმის“ (1919 წ. № 698) საშუალებით. იმდროინდელი ქართველი საზოგადოება და მისი „მესვეურები“ კი პ. ჭარაიასათვის „მოუცლელნი“ აღმოჩნდნენ. მის შესახებ არც ერთი ნეკროლოგი არსად არ აღმოჩნდა გარდა პეტრეს ყოფილი მოსწავლეების იმ ნეკროლოგისა, რომელიც მათ გაზეთ „Наше дело“-ში შოუთაფსებიათ. ნეკროლოგი, ძართალია, ახალგაზრდული ტემპერამენტით არის დაწერილი, მაგრამ შიგ გულწრფელი განცდა და უშუალობაა გადმოცემული.

ექვსი დეკემბრის ნაშუადღევს, შებინდებისას, სუსხიან საღამოს, პეტრეს ნაამაგარი ნეშტი მიწას მიაბარეს მშობლიურ სოფელ ეშქეთში საკუთარი ეზოს გვერდით; წინდაწინ მისგან ამორჩეულ ადგილას.

ხანგრძლივად მიტოვებული საფლავის არ დავიწყება გამარჯვებებით მოზეიმე საბჭოთა საქართველოს მშრომელების საქმეა, ვინაიდან ამ აღზევებისა და გამარჯვებების საფუძვლის ჩაყრის დროს ერთი აქტიური მონაწილე და შესამჩნევი მოამაგე პეტრე ჭარაიაც გახლდათ.

არ დავიწყება მოყვრისა,  
აროდეს გვიზამს ზიანსა.

**პეტრე ჭარაია ეთნოგრაფი და ისტორიკოსი. მისი გამოკვლევები  
და შრომები. თანამშრომლობა ქართულ და რუსულ პრესაში**

პეტრე ჭარაიას, როგორც მოწინავე ქართველი ინტელიგენტის საქმიანობის აღფა და ომეგა ქართული კულტურის სამსახური იყო. ვარეშე ამ სამსახურისა ის არც არსებობდა და თავის კოლეგებსაც ამგვარს მოთხოვნისებებს უყენებდა. „თუ რომელიმე ერის ინტელიგენცია მრავალია რიცხვითა, საღია გონება-ზნეობით, იმ ერს ეკუთვნის უპირატესობა და პირველობა“, — წერდა ის გაზეთ „ივერიაში“ (1892 წ. № 59) ქართველი ინტელიგენციის შესახებ.

პეტრეს გაგებით „ვინ უნდა ემსახუროს ხალხს, მისი სწავლა განათლების საქმეს, მისი კულტურის აღმავლობას ვინ უნდა შეუწყოს ხელი თუ არა საზოგადოების ისევე იმ დასმა, რომელიც თვითონ ატარებს სწავლულისა და განათლებულის სახელს?“... (იქვე).

3. ჭარაის ვერ წარმოედგინა მწერლობისა და განათლების გარეშე ერი, ხოლო ამ მრეწველობასა და კულტურას, ერის განათლებასა და სულიერ განვითარებას, მისი აზრით, „უნდა ჰკეცხავდეს და ზრდიდეს, — ერთი სიტყვით, — ჰქმნიდეს ის ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც თვითონვე აღზრდილა მწერლობით და წიგნის კითხვითა“ (იქვე).

3. ჭარაიას სამართლიანი გაგებით ცრუ ნასწავლია, ცრუ ინტელიგენტია და კიდევ მეტი. ცუდი მაგალითის მიმცემია ახალი თაობისათვის ის, ვინც თავის გონებრივ და ნივთიერ შესაძლებლობას ხალხის საქმეს, ერის საერთო კეთილდღეობის საქმეს არ მიუტანს, არ მოახმარს და ამ ცხოვრებას უქმად გაატარებს. გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებულ ზემოდასახელებულ წერილში იგი სასტიკად კიცხავს ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც დაუდევრობასა და მცონარეობაში ატარებს დროს. ამის საილუსტრაციოდ მას საჯაროდ გამოაქვს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის ის წერილი, რითაც ეს უკანასკნელი თხოვდა ერთ-ერთ თავის აგენტს საწვევო გამოსაღების აკრეფას იმ პირთაგან, რომელთა თავიანთი ეს წმინდა მოვალეობა დავიწყებითა „საზოგადოების“ და ერის წინაშე. ქართველ ინტელიგენტთა ამ ნაწილის უმეტესობა თავადაზნაურულად წრიდან აღმოჩნდა, რომელთაც სტატიის ავტორი დაუნდობლად ამხელს და ამავე დროს ხსნის და ვრცელ განმარტებას იძლევა თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს სინამდვილეში ამ საზოგადოებას და თუ როგორ

უნდა ვეპყრობოდეთ მას. იგი ამხელს აგრეთვე ქართველი ინტელი-  
გენციის იმ მოჩინოვნეიკო ნაწილსაც, რომელიც „მარტო სახელითა,  
დიპლომათა და რაღაც „ფარატიანებითა“ არიან მაღალ, სამულო,  
ანუ დაბალი განათლებით, საქმით კი ყოველივე იმას, რაიცა უნდა  
შეადგენდეს ატრიბუტს განათლებული კაცისას, ხშირად მოკლე-  
ბულნი გახლავენ“ („ივერია“, 1892, 59).

ამავე სტატიაში პ. ჭარაია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ  
„ყოველს ჩვენს განათლებულს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენ  
ვართ ქართველები“. ეს სიტყვა ჭარაიასათვის მრავლის მეტყველია  
და მრავალ მოვალეობათა დამკისრებელი. მას კარგად ესმის მე-19  
საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ვი-  
თარება. ის თავისთავსა და ყოველ კულტურულს, ასე თუ ისე, შეგ-  
ნებულად და საღად მოაზროვნე ქართველს დიდ მოვალეობას უყე-  
ნებს. ამ მოვალეობათა შორის ის უპირატესობას აძლევს მოზარდი  
თაობის წესიერად აღზრდას, რომ უნდა „ვალდებულ იქნას ყოველ-  
გვარი ღონისძიება,—წერს იგი,—ჩვენი მოზარდი, ახალი თაობა აღიზა-  
როდს ჩვენი მწერლობის სიყვარულში“... „მხოლოდ ის, ვინც სკო-  
ლის სკამზედვე აღზრდილა ჩვენი ლიტერატურის ზედმოქმედებით,  
მხოლოდ ის იქნება შემდეგ მუდმივი მკითხველი ჩვენი მწერლობი-  
სა“ (იქვე).

პ. ჭარაიას ამ წერილმა სათანადო გამოხმაურება ჰპოვა ქართ-  
ველ ინტელიგენციაში, რომელთაგან ბევრი სასარგებლო აზრით  
გამოითქვა („ივერია“, 1892 წ. 88, 89).

ამ სტატიის გახსენება იმიტომ დაგვჭარდა, რომ პეტრე ჭარაია,  
როგორც პრაქტიკული მოღვაწე საქართველოს იმგვარი გასაპირა  
მხარისა, როგორც აფხაზეთი იყო, მარტო პედაგოგიურ და საგანმა-  
ნათლებლო სარბიელს არ დაჯერდა. ღვი თავისთავში გრძნობდა ძა-  
ლას, რითაც თავისი მშობლიური ხალხისათვის კალმითაც შეიძლო  
სამსახურის გაწევა. მან ეს უყოყმანოდ შეასრულა და თავისი უნა-  
რის, ნიჭის, ცოდნისა და მომზადების მაქსიმუმი გაიღო. ამით მან  
თავისთავისადმი წაყენებული მოვალეობაც მოიხადა და ქართული  
კულტურის კრიალოსნის თასმას რამდენიმე შესამჩნევი მძივი ჩაამა-  
ტა.

ამ მხრივ პირველად უნდა დავასახელოთ, მისი პირველი, სერი-  
ოზული, მეცნიერულ ალღოსა და ღირებულებას არც თუ ისე მოკ-  
ლებული, ეთნოგრაფიული ნაშრომი — „აფხაზეთი და აფხაზნი“.

იმ დროს, როცა ახალ ფორმაციათა გავლენამ ცვლილებათა საგ-  
რძნობი პროცესები განავითარა საქართველოს ყოფაცხოვრებაზე,  
ეკონომიკაზე, ადამ-წესებზე და თვით უხსოვარ დროიდან განმტკი-  
ცებულ რელიგიურ რიტუალებზე და საერთოდ, მთელ ისტორი-  
ეთნოგრაფიაზე, ქართველთა მოწინავე თაობამ სრული შეგნებითა  
და ინტენსიობით მოჰკიდა ხელი ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავ-  
ლას. თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ მხრივ ერთგვარი ლამპრობა ჩა-



ტარდა, რაც ასე მძლავრად აისახა ქართულ პერიოდულ პრესაში მუცრაბეცე საუკუნის მანძილზე.

„აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, — იყო ლოზუნგი ამ დიდი ეპოქის დიდი მოღვაწის — ილია ჭავჭავაძისა. ალბათ, ეს იყო მიზეზი იმ დიდი ლაშქრობისა, რაც გიორგი ერისთავის „ცისკარმა“ დაიწყო და ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ დაამთავრა...

ყოველი, ასე თუ ისე, განათლებული ქართველი და სამშობლო ქვეყნის მოყვარული კულტურული ძალა, რა პროფესიისადაც უნდა ყოფილიყო იგი, თავისთავს მოვალედ სთვლიდა რაიმე წვლილი შეეტანა ამ დიდს ლაშქრობაში — ე. ი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალების დაგროვებაში.

კახეთი, ქართლი, მესხეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, ხევი, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო, აჭარა, და ჭანეთი ის გამოუღეველი ქართული ნიადაგი იყო. რომელთაც ინტენსიური ღონისძიებით შეესივნენ მოწინავე ქართველები: მწერლები, მასწავლებლები, ექიმები, იურისტები და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი სხვა, რომელნიც ვალდებულად სთვლიდნენ თავისთავს ამ მხრივ თავიანთი წვლილი გაეღოთ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალებს აგროვებდნენ და ბეჭდავდნენ თავიანთ გამოცემებში: გიორგი ერისთავი, ივ. კერესელიძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი და გიორგი წერეთლები; დიდძალ ფოლკლორულ მასალას კრებდნენ და ბეჭდავდნენ თავის დროზე პ. უმიკაშვილი, ვინმე მუსხი (ივანე გვარამაძე), თედო რაზიკაშვილი, კონსტ. გვარამაძე, ივ. ბუჭურაული, ზაქ. ჭიჭინაძე, ქაიხოსრო გელოვანი, თავისუფალი სვანი (ბ. ნიქარაძე), ნიკო დადიანი, ი. მეუნარგია, დ. ჯანაშვილი, ს. გაჩეჩილაძე და სხვ... საყურადღებო ეთნოგრაფიული ნაშრომები გამოაქვეყნეს სხვადასხვა დროს ალ. ყაზბეგმა (მოხვედები და მათი ცხოვრება), ვაჟა-ფშაველამ (ფშაველი და მისი წუთისოფელი, ფშაველები, ხევსურები). რაფ. ერისთავმა, ნ. ურბნულმა, მოსე ჯანაშვილმა (საინგილო), თედო სახოკიამ (სამურზაყანო-სამეგრელო, გურია-აჭარა), ნიკო ჯანაშიამ („აფხაზები“, — „მომამე“ — 1897 II, V, XI; 1898. VII, XI; 1899, IV) და პეტრე ჭარაიამ, რომლის ეთნოგრაფიული ნარკვევი თავისი ღირსებით, უთუოდ გვერდით ამოუდგება ზემოდსახელებულ ავტორთა შრომებსა და მათ მიერ წარმოდგენილ მასალას.

პეტრე ჭარაიას კარგად აქვს შეგნებული ღირებულება ეთნოგრაფიული მასალისა და მისი შეგროვების აუცილებლობის მომენტი. ის ნამდვილი ეთნოგრაფია, რომელსაც მართებულად ესმის მნიშვნელობა ერის სულიერი და მატერიალური კულტურის აღწერისა და შესწავლისა.

...სხვადასხვაგვარს ცოდნასა და მეცნიერებათა შორის, — წერს პეტრე ჭარაია თავის ამ შრომის შესავალში, — ნაკლები ყურადღების ღირსი არ არის ის რთული მეცნიერება, რომელიც კაცს თავის-

ბავს გააცნობს, თავისთავს ასწავლის; დღევანდელს ყოფას თვალწინ დაუყენებს, წარსულს ცხოვრებაში ჩაახედებს, შეატყობინებს, რა ხორცისა და სულის, რა ენა აქვს, ანუ რა ზნე და ჩვეულება — კერძოდ ვრს, თუ ყველა იმის ნათესავთა კრებულს. ამ რთული მეცნიერების ნაწილია, სხვათა შორის, ზოგადი ან კერძო ეთნოგრაფია“ („ივერია“, 1888, № 165).

ავტორს ზედმიწევნით ესმის მის თვალწინ მიმდინარე ისტორიული მოვლენების მნიშვნელობა, თუ რა ცვლილებები ხდება საქართველოს ამ მნიშვნელოვან კუთხეში, რომელსაც აფხაზები ჰვლობდნენ ერთ დროს და ახლა უცხო ძალა დაჰპატრონებია, იგი იმასაც გრძნობს, რომ ამ მხარის ეთნოგრაფია და ისტორია ნაწილია მისი სამშობლოსი, რომლის გარეშე აფხაზეთს ისტორიულ ეპოქებში არ უცხოვრია. ამიტომ ის ზედმიწევნით სწავლობს აფხაზურ ენას, უკვირდება მათი ცხოვრების ყოველ დეტალს და ცდილობს ქალაქულად გადართანოს. რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელი იქნება.

„ჩვენ გვსურს, — ამბობს ის იმავე შრომის შესავალ ნაწილში, — რამდენადაც შევძლებთ, ავწეროთ ნამდვილად და ჭეშმარიტად აფხაზების ცხოვრება“... რაც, მისივე აზრით, არც ისე ადვილი საქმეა, რადგან „აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობისა გამო აფხაზთა ტომის ცხოვრება დღეს ის აღარ არის, რაც ამ ათიოდე წლის წინათ იყო. სხვა რომ არა მოვიხსენიოთ რა, უკანასკნელი ომიანობის დროს ერთი წილი აფხაზთა იძულებული გახდა ოსმალეთში გარდახვეწილიყო... ყოველსავე ამის გამო, — განაგრძობს ავტორი — აფხაზთა ერი იმდენად შემცირდა, რომ დღეს იმის მეოთხედზეც არ არის, რაც ოდესმე იყო. რაკი ასე დატრიალდა ბედი აფხაზთა... იმათი ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება და ყოველივე წესი და ადათი თანდათან შეეცვალათ, გადაუსხვაფერდათ, გაუქრათ და დაეკარგათ“... (იქვე).

ამიტომ — აღნიშნავს ავტორი — „ბევრი რამ, რაც ჩვენ ავწერეთ, თვალთ არ გვინახავს, მაგრამ აქა-იქ ვძებნეთ, მოვათხრობინეთ და ასე შევკრიბეთ“...

ამ მხრით, ე. ი. აფხაზური ეთნოგრაფიის მასალათა „ძებნისა და შეკრების“ დარგში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კ. მაჭავარიანის ყალბ ნიადაგზე მდგარ წერილებს, პეტრე ჭარაია პირველი სწავლული ჭარბელია, რომელმაც გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ასე ვარცხლად მოახერხა მისი გამოძიებები. შემდეგში მას მოჰყვნენ თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია, აშხვაცავა და სხვ., რომელთაც გაათართოვეს, შეავსეს, გააღრმავეს და განამტკიცეს მეცნიერული კვლევის ეს უბანი, მაგრამ პეტრე ჭარაია მაინც ის წინა კაცია, რომელიც შემდგომ წარმოსულთათვის გზა და ხილად იყო მოვლენილი.

საცილობელი არ უნდა იყოს ის აზრი, რომ საქმის პირველ დამწყებს მეტ სიძნელეებსა და დაბრკოლებებთან უხდება ბრძოლა. ყოველი უჩვეულო წამოწყება, უჩვეულო კლდეკარს აწყდება ხოლმე. ამას არც ავტორი მალავს, რომელიც რამდენიმე სახის სიძნელეთა შორის მოგვითხრობს იმასაც, რომ ერთი წილი ეთნოგრაფიული მასა-

ლა შეისწავლება პირდაპირ, თავისთავად და შეიძინება ცხოვრების უბრალო, ასე ვთქვათ, ზედა-პირის დაკვირვებით, მაშინ, როდესაც სხვა—კი თხოულობს შემკრებ-გამომკვლევრისაგან საკმაო შრომასა და უკეთეს შეგნებას. ეს იმიტომ, რომ ის ეთნოგრაფიული მოვლენანი, რომლებიც ჩვენ მხედველობაში გვაქვს წმინდა საქმედ მიაჩნიათ, დაფარულია და არ ამჟღავნებენ. მაგალითად, ბევრი რელიგიური წესები და ცერემონიები დაცული აქვთ ვით „წმინდა-წმინდათა“. იმათი ნახვა და შეტყობა ძნელია გარეშე კაცისათვის. ამ შემთხვევაში საჭირო იყო სხვაგვარად გვემოქმედნა, სხვაგვარი ხერხი გვეხმარა, ოსტატობა და, თუ გნებავთ, ეშმაკობაც გამოგვეჩინა... (იქვე).

ამ გულახდილი განცხადების შემდეგ, ცხადია, თუ რა მძიმე პირობებში აქვს მკვლევარს დაგროვილი და შემუშავებული ის მასალა, რომელიც მან ასე ვრცლად წარუდგინა მეცნიერებას.

3. ჰარაია ამგვარი მასალის მხოლოდ შემკრები როდია, იგი ერთდროულად მკვლევარიც არის. ფაქტის სწორად დადგენისა და მისი მართებული გაანალიზებით საკმაო უნარის მქონე ისტორიკოსი და ლინგვისტიც. მან იცის, რომ „ლინგვისტიკა ძლიერ ეხმარება ეთნოგრაფიასა და ხშირად ერთის სიტყვის ახსნა და გარჩევა უფრო ნათელს ჰფენს და ჰხსნის რაიმე ეთნოგრაფიულ მოვლენას, ვინემ გრძელი აღწერა ამავე მოვლენისა, ხოლო იქ, სადაც რომელიმე ფაქტი გადაუარდნილია, დავიწყებულია და მარტო სიტყვა-და დარჩენილა ენაში, ამგვარს შემთხვევაში ასეთის სიტყვის განხილვა და გარჩევა აუცილებლად საჭიროა. ამიტომ არც ამ საგნისათვის აგვიქცევია გვერდი“ (იქვე).

ამიტომ იყო, რომ ჩვენმა ცნობილმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა ასე უყოყმანოდ და ნდობით მიმართა პ. ჰარაიას ამ ეთნოგრაფიულ ნარკვევს, როცა მან თავისი ნაშრომი აგრეთვე „აფხაზეთი და აფხაზნი“ დასწერა რუსულ ენაზე და გამოსცა 1895 წ. პ. ჰარაიამ მ. ჯანაშვილის ამ ნაშრომზეც დაწერა ვრცელი რეცენზია („კვალი“, 1895, № 16). სადაც ამხილა მ. ჯანაშვილის წიგნში დაშვებული მრავალი უხეში შეცდომა და ისიც, რომ ავტორი სწორედ იქ უშვებდა შეცდომებს, სადაც ის რაიმე ახალი მასალისა და მომენტის შეტანასა და გაშუქებას ცდილობდა თავის შრომაში.

არც გასაკვირი იყო ამგვარი შეცდომები. ჯანაშვილი პირადად არ იცნობდა აფხაზეთსა და მის ცხოვრებას, მარტო ჰარაიას დასახელებული შრომა კი ვერ ამოწურავდა იმ თემატიკასა და ყველა საკითხს, რაც აფხაზეთის ეთნოგრაფიულ სფეროში იყო მოქცეული. პეტრეც ამკარად აცხადებს, რომ ამ წერილების შედგენის დროს მას ხელთ არა ჰქონია არც ერთი წიგნი აფხაზებზე დაწერილი, რომ მისი „ერთად-ერთი წიგნი იყო თვით ნამდვილი ცხოვრება ამ ხალხისა“.

დაკვირვებული ავტორი, უწევს რა ანგარიშს თავისდროინდელ ზოგიერთ მკითხველს, მიმართავს მათ, რომ შესაძლებელია მას „ბევ-

რი რამ (ქვემოდ მოყვანილ მასალიდან) წერილმანად ეჩვენოს, მაგრამ ნუ დაგვაიწყებდა, რომ ის, რაც ჩვენ წერილმანად, უმნიშვნელოდ მიგვიჩნევია, ხშირად დიდი ღირსებისა და მნიშვნელობის გარემოებისა აღმოჩენილა. რაც უნდა წერილმანი რამ იყოს ხალხის ცხოვრებაში, იმისი შესწავლა მაინც მოვალეობაა ჩვენი. ნუ დავივიწყებთ, რომ თვით ჩვენი ეხლანდელი განათლება, რომლითაც ასე მოგვაქვს თავი, ღვიძლი ასულია ბარბაროსული ზნე-ჩვეულებისა, წესებისა და სარწმუნოებისა“ (იქვე).

პეტრე ჭარაია ყოველივე ამ „წერილმანს“ დიდი გულსყურობითა და ფაქიზად ეპყრობა, ჰკრეფს მათ და სათანადო მენციერულ ალლოთი ასხმული მას იგი საქართველოს ისტორიის სალაროში შეაქვს. ამ მხრივ ის თავისი ეპოქის სიმალლეზე დგას. მას იცნობენ და შესაფერ პატივსაც დებენ ამ დროის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები (ივ. ჯავახიშვილი, თაყაიშვილი, ჯანაშვილი და სხვ.). მისი მოსაზრება ყოველთვის სალია და დიდი პატრიოტული გრძობით გამსჭვალული. ის აწმყოსაც ზედმიწევნით იცნობს და მომავალსაც სჭკრეტს, რისთვისაც სწავლა და მეცნიერება მასაზრობებელ წყაროდ მიაჩნია. ის ყველას ურჩევს არ დარჩნენ მეცნიერების რომელიმე დარგის დაუწაფებლად. იგი ხედავს, რომ „ცოდნამ კაცისამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ და სხვადასხვა შტო მეცნიერებისა ყოველდღე იზრდება... და ახალ-ახალ ყლორტებს იხეთქს“... ამ დროს ცნობისმოყვარე, ხალისიანი კაცი დიდს გაჭირვებაშიაო, — წერს ავტორი, — რადგან მან არ იცის, რომელ ერთ ცოდნას, რომელ ერთ შტოს, ყლორტს მეცნიერებისას მიაქციოს უმეტესი ყურადღება და მეტი გულსყურობა, რომელი ერთი აირჩიოს და ისწავლოს ზედმიწევნით (იქვე).

აი, ამგვარ დროს, საქართველოს იმ მხარეს, სადაც პ. ჭარაია მოღვაწეობდა, როგორც მასწავლებელი და მოქმედებდა, როგორც მწერალი და ერთგვარი მემკვიდრე ამ მხარისა, მსგავსი კულტურული ჰაბიტუსის მქონე ძალების რიცხვი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უმნიშვნელო იყო. პეტრემ თავს იღვა მრავალი ვალდებულება და პირნათლადაც შეასრულა იგი. ერთი ამ მრავალთაგანია მისი აღნიშნული ნაშრომი — „აფხაზეთი და აფხაზნი“.

დასახელებული შრომა სულ რვა კარისაგან შედგება, მაგრამ ყოველი კარი მრავალი ცალკე თემისა და საკითხების გაშუქებას შეიცავს. მაგალითად პირველ კარში ავტორს გაშუქებული და გახსნილი აქვს: აფხაზი, ხასიათი აფხაზისა, ძარცვა აფხაზეთში, თავდასხმა და ქურდობა, აფხაზის მკვიდრმეტყველება, სისხლის ძიების საქმე, სამშობლოს სიყვარული, აფხაზის სტუმარ-მასპინძლობა, დარბაისლობა და სალაში, ძველი აფხაზის გადაჭარბებული ფორმალისტობა, ნამუსი და სარგებლიანობა, საერო თამაშობანი და ხალხური პოეზია.

ყველა ამ თემის გარშემო თავისთავად კიდევ მრავალი წერილმანი და მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია წამოჭრილი, რომელთა

გაშუქებასა და დამაჯერებელი ფაქტების დაგროვება-წარმოდგენით ავტორი არ ძუნწობს და არც სიზარმაცეს იჩენს. ის ყოველი დეტალის შესწავლაში მეტად ხალისიანია, მონდომებული და საკმარისად ენამზეც. დასახელებულ პირველ კარს ავტორი აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების აღწერით აღებს. იგი ცხოვლად დაგვანახებს ჩვენი ქვეყნის ამ ლამაზ და მიმზიდველ კუთხეს და შემდეგ მისი მკვიდრის, ამავე ბუნების შვილის სურათის დახატვას შეუდგება.

პ. ჰარაიას გადმოცემით: „აფხაზი შუათანა ტანისაა, გამხდარი, შავგვრემანი, შავ-თმა-წარბა და შავთვალა. თვალთა მეტყველება ცოტა ველური და ნალვლიანიც აქვს. ნიჭითა და ხალისით, საკმაოდ მდიდარია ბუნებით. აფხაზის ხასიათში ბევრ საუკეთესო და პატიოსან თვისებას სულისას და გულისას ჰნახავთ.

„აფხაზი დაუდგრომელია, ცქვიტი, სწრაფი, ფიცხი, მედიდურის ხასიათისა და თავმოწონე. მცირედი რამ იმისთანა, რაც უპატიურობად მოიჩანია, საკმარისია, რომ აანთოს იმის ბუნება, უამისოდ ფიცხი და მხურვალე. იგი მხნე, გამბედავი, უშიშარი და ქურციკივით მარლია“ („ივერია“ 165). ამ მხრივ ავტორი სავესებით ამართლებს დიდი პოეტის სენტენციას, უფრო აღრინდელ ნათქვამს, რომ „მშვილდოსნობით აფხაზი“ (გრ. ორბელიანი, „სადღეგრძელო“) ყოველთვის გამოირჩეოდა ქართველთა ნათესავეთაგან.

ასევე თანამიმდევრულად და მიმზიდველად ხსნის და აშუქებს ავტორი ზემოჩამოთვლილ საკითხებს. ამ მხრივ იგი არამც თუ ჩამოუვარდება ცოტა მასზე აღრე კავკასიის მთიელთა ცხოვრების ამწერ სერგეი მესხს, პირიქით, მეტოქეობს და ბევრ შემთხვევაში უფრო მაღლა დგას მასზე. ეს არც გასაკვირია. სად შორიდან მოსული და კავკასიის მხოლოდ ეგზოტიკით დაინტერესებული ამწერი და სად ამავე ცხოვრებითა და ყოფით აღზრდილი მშობლიური პ. ჰარაია, რომელსაც არამც თუ თვალთ უნახავს ის, რაც აუწერია, არამედ თვით განუცდია, თვითონ ყოფილა ერთ-ერთი მონაწილე მისგან აღწერილ წესებისა და რიტუალისა.

კიდევაც, როცა ავტორი თავისებური დაკვირვებულობით გააშუქებს ძველ აფხაზეთში გავრცელებულ ძარცვა-ქურდობის. სისხლისძიებისა და სხვა ამგვარ საკითხებს, იგი სწორად დაასკვნის; რომ აქ არაფერია გასაკვირი, ეს ყველაფერი აღზრდის შედეგია და ამგვარი აღზრდა მარტო აფხაზს როდი ჰქონია, იგი მთელი კავკასიის მთიელთა ჩვეულებრივი ზვედრია. ყველაფერი ეს და ამგვარი სხვა მაგალითები, ხშირად — „სისხლის სცენები, — წერს ავტორი, — რომელსაც ყმაწვილი ხანდახან ყოველდღე ხედავს, რასაკვირველია, სამუდამოდ სტოვებს თავისებურ კვალსა ყმაწვილის ნორჩ ხსოვნაში“. ამის მიზეზად ავტორს, გარდა ცოცხალი სცენებისა, ზღაპრებიც მიიჩნია, აფხაზური ზღაპრები — „აღსავესე საოცარი ვაჟაკობითა, მოხერხებითა, მოტაცებით და სხვათა შესახებ წარმტაცად მოთხრობილი“.

სისხლისძიების საშინელებათა აღწერისას ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, თუ როგორ იცვალა ფერი და ფორმა ამ ვერაგულმა ჩვეულებამ სავაჭრო კაპიტალის გაძლიერების შემდეგ. ამიერიდან დაიწყო სისხლის შეფასება ფულით, იმის მიხედვით, თუ რა ღირსების მატარებელი იქნებოდა მოკლული, ან დაზიანებული.

„ყოველ ერს ცოტად თუ ბევრად უყვარს თავისი სამშობლო ქვეყანა. — წერს ჩვენი ავტორი, — მაგრამ ისეთი ხალხიცაა დედამიწაზე, რომლისათვისაც, სადაც კარგად ეცხოვრება, იმისი ბაღდადიც იქ არის. ამას აფხაზზე ვერ ვიტყვით. აფხაზს გაგიჟებით უყვარს თავისი, მართლაც ტურფად შემკული ქვეყანა და პოეტთან ერთად თამამად შეუძლიან სთქვას: „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. აფხაზი „ოპ-შირ“-ის ამოხვრით ბრუნდება თავის „აფსნ“-ში (აფსუა-აფხაზი, ან — დედა, ე. ი. აფხაზის დედა — ს. ც.)“...

აფხაზის რწმენით „აფსნ-ზე უკეთესი ალაგი დუნიაზე არ არის. ღმერთო, აფსნს ნუ დაჰკარგავ“, — ეს არის აფხაზის ქებადიდება და ლოცვა სამშობლოსი.

ავტორს კარგად აქვს გადმოცემული აფხაზთა სტუმართმოყვარეობა, მას გარჩეული აქვს ყოველი თვისება და მნიშვნელობა ამ გადაჰარბებული ზრდილობისა, სტუმართმომღეობისა და მოვლისა, შემდეგ სხვადასხვა თამაშობანი, რომელთა შორის ყველაზე უფრო დიდი და საპატიო ადგილი ცხენოსნობას, ცხენსა და მის მორთულობას („აბჯარ“) აქვს დათმობილი და სამართლიანადაც, ვინაიდან აფხაზს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება უცხენოდ იცხოვროს კაცმა, ამიტომ მთელი თავისი სიცოცხლის ნახევარზე მეტს ცხენზე ატარებს. („ივერია“, 167).

სპორტის დანარჩენ სახეობათა შორის ნაშრომში აღწერილია აფხაზთა საყვარელი თამაშობანი: ბურთაობა, არკილ-ემწეკეჩა, ქვის სროლა-ტყორცნა. აფხაზთა მუსიკალური ინსტრუმენტი მხოლოდ ჩონგურია (აჩანგურ) და ისიც ქართველთაგან (სამეგრელოდან) აქვთ მიღებული. საკუთრივ კი, ჭარაიას ცნობას თუ დავეყრდნობით, მათ არავითარი სხვა მუსიკალური ინსტრუმენტი არ გააჩნიათ, რაც, რაღა თქმა უნდა, არ შეეფერება სინამდვილეს. აფხაზური ლექსები, ამავე ავტორის გადმოცემით, პოეზიას არ არის მოკლებული. მაგრამ ყველაზე საინტერესოდ გაშუქებულია ნარკვევში აფხაზთა მრავალი სახის მისალმებანი, მათი შინაარსის ზუსტი თარგმნითა და ახსნით. აქ ავტორი მარტო მასალის მომწოდებელი როდია, არამედ მისი მკვლევარი, საკმაო ერუდიციით აღჭურვილი ისტორიკოსი და ლინგვისტი.

მეორე კარგი გადმოცემულია აფხაზების ყოფა-ცხოვრება, ოჯახი და ქალის მდგომარეობა. აქ მკითხველი ცხოვლად წარმოიდგენს აფხაზურ სახლს — ფაცხას (აქეაცუ), ამჰარას (ახლადლაქორ-

წინებულათვის სახელდახელოდ მოწნული და მორთული ფაცხა), აფხაზის შინაურ მორთულობას, მის სამზარეულოსა და კულინარულ სიმარტივეს. აფხაზის საყვარელი საკმელებია: ღომი, აელაჯ, აჩამაქვა, მაწონი და თხის ხორცი, ყალიოდ მოხარშული და პილპილმორეულ მარილში ამოვლებული. ოჯახის წევრთა შორის უფროს-უმცროსობის წესი მკაცრად არის დაცული. ასევე მკაცრად არის დაცული საუკუნეებით განმტკიცებული დამოკიდებულება ცოლქმრობისა. მამაკაცი ყოველთვის უფროსია ცოლისა, რომელსაც ევალება მისი უსიტყვოდ მორჩილება, მოკრძალება და რიდი, ყველგან ზრდილი და დარბაისელი აფხაზი ოჯახში მეტად უხეშია, რაც გამოწვეულია მისგან თავის ოჯახში ერთგვარი დისციპლინის შექმნის მიზეზით.

მესამე კარი ნარკვევისა მეტად საინტერესოა მით, რომ აქ ავტორის ისტორიული ექსკურსიების მოშველიებითა და ძველი ტრადიციების გაანალიზებით გადმოცემული აქვს აფხაზეთში ეგზომ გავრცელებული და საღეთო ხასიათის მატარებელი ჩვეულება: გაზრდა სხვისი შვილისა და მისი შემდგომი ატრიბუტი — „გაზრდილი“ და „გამზრდელი“.

ეს სამი ელემენტი ამ მართლაც და დიდი წესისა, რომელიც სამეგრელოშიც თითქმის ამგვარ სახეებში იყო განვითარებული, ავტორის აღწერილი და გადმოცემული აქვს დიდი ცოდნითა და დაკვირვებით. მასში, შესაძლებლობის ფარგლებში, გადმოცემულია ძველი პერიოდები, ჭერ კიდევ ფეოდალურ ფორმაციამდე და ეს უკანასკნელი ხომ განსაკუთრებულად ვრცლად არის გაშუქებული, რადგან უმთავრესი მიზეზი ამ ინსტიტუტის შექმნისა აფხაზეთში ამ ფორმაციიდან მომდინარეობს.

აღწერილობის დასკვნით ნაწილში ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ „გაზრდის საქმეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთში. მთელი ცხოვრება და დამოკიდებულება თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის, თვით გლეხებშიც და თავად-აზნაურთა ურთიერთშორისაც, თამამად შეიძლება ითქვას, ამ „გაზრდაზე“ იყო აკინძული“ („ივერია“ 173), თუმცა უნდა შევნიშნოთ ავტორს ისიც, რომ მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, არც აფხაზეთში იყო ბატონყმური ურთიერთობა მამა-შვილური და სიამტკბილობით მიმდინარე და არც კლასთა ბრძოლა ყოფილა აქ სხვა მხარეებზე ნაკლებ მწვავე ხასიათისა.

მეოთხე თავი ავტორმა სპეციალურად ცოლის შერთვის წესებსა და მისი ფორმების აღწერას მიუძღვნა. აქ თქვენ გაეცნობით იმ გარემოებასაც, რომ წარსულში აფხაზეთში ქალის მოტაცება იყო გავრცელებული, რაც ამ ნარკვევის შედგენის დროს საგრძნობლად შემცირებული ყოფილა. ავტორი ორივე შემთხვევაში მიზეზების ღრმად გამოძიებები და შემსწავლელის როლში გვევლინება. შემდეგ იგი გადმოგვცემს მაქანკლების საშუალებით შეუღლებას, დანიშვნის წესების, ქორწილ-ლხინებისა და მაყრიონის აღწერილობას,

მისი წარმოშობის და შექმნის თავისებურ მიზეზებსა და პირობებს. ამას მოსდევს ახალშეუღლებულთა ცხოვრებისა და მათი ურთიერთობის აღწერილობა, რძალის დამოკიდებულება მამამთილ-დედამთილთან და ოჯახის სხვა წევრებთან („ივერია“ 175).

მომდევნო კარი ნარკვევისა დათმობილი აქვს მიცვალებულის დატირების აღწერას. აფხაზეთში მთელი კულტია შექმნილი მიცვალებულის ტირილისა, რამაც ნაწილობრივ, შეიძლება ითქვას, დღემდე მოაღწია. ავტორს ამ კულტის ვრცლად აღწერის დროს გაშუქებული აქვს მასთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა და დაქვემდებარებული მოვლენებისა, როგორც არის: ოჯახის რომელიმე წევრის ავადმყოფობა, მისი მოვლა, ღამის თევა, მნახველები, სიკვდილი, ტირილი კაცებისა და ქალებისა, გლოვის სახეები, შავი ტანისამოსი, გასვენების დღის ცერემონიები, ნათესავები და მახლობლები, ქელების გამართვა, სახლის დამაგრება, დამარხვა მამაკაცისა წელამდე ამოთხრილ სამარეში, ხოლო დედაკაცისა — ილიამდე (ამის შესახებ ორი სხვადასხვა რწმენა არსებობდა, 1. სიავე დე-დაკაცისა და 2. მეორედ მოსვლის დღეს დედაკაცს მკერდი არ გამოუჩნდეს, რაც მისთვის აუგია). ნიშნის გაფენა მე-40 დღემდე, ალაპი (აფსხურა), წლისთავი და 4 წლისთავი, ცხენის შემოსვა, ზარის თქმა, საკლავები, ხალხის მიწვევა ალაპზე, ერთმანეთის შემწეობა და სამსახური, ალაპის შემდეგ დოღის—აიმათხარას გამართვა, რაც ჩვენი ავტორის თქმით ბევრად წააგავს საშუალო საუკუნეების ევროპელ რაინდთა ტურნირებს... ავტორს აქვე დაწვრილებით და ვრცლად აქვს აღწერილი მთელი ვირტუოზობა აფხაზებისა ცხენოსნობაში (დოღი, მარულა, თარჩია, ჭირითი და სხვ.)...

მეექვსე კარში ავტორი ცდილობს გადმოგვცეს აფხაზეთის რელიგიური რწმენანი. ამიტომ ამ ნაკვეთის უმთავრეს საკითხებად წამოყენებულია თვით აფხაზთა რელიგია და მისგან გამომდინარე ატრიბუტები: მიცვალებულთა სულეები, მზაკვრობა, ქეშმარიტი ღმერთი და მისი აფხაზური სახელწოდება „ანცა“. ეტიმოლოგია და მნიშვნელობა ამ სიტყვისა, წარმართობის ნაშთები აფხაზეთში, „გამჩენ-გამომქედელი“ და სხვ.

მაშინ, როცა პ. ჰარაიას აღნიშნული ნარკვევი იწერებოდა, უმრავლესობა აფხაზებისა ქრისტიანი იყო, უმცირესობა მუსლიმს აღიარებდა, მაგრამ ორივე ეს რელიგია ნამდვილად უსახო, ჩამოყუჩალებელი და გაურკვეველი იყო მათთვის. ისინი ნამდვილად წარმართნი იყვნენ, რომელთაც აერთიანებდათ რწმენა ერთი ღმერთისა და საიქიოსი. ავტორს ძლიერ ვრცლად და უამრავი მასალის წარმოდგენით აქვს ეს თავი გაშუქებული. მისი აზრით შერწყმა ქრისტიანული და მაჰმადიანური რელიგიისა წარმართობასთან და მრავალღმერთიანობა (პოლითეიზმი) არის დამახასიათებელი აფხაზთათვის. საყურადღებოა ავტორის მოსაზრება ანცას გარშემო. ის საკმაოდ დამაჭერებლად ასაბუთებს, რომ „ანცა“ შემკრებლობითი,



მრავლობითი სახელია, რაც ნიშნავს დედებს, ხოლო აფხაზეთში ყოველ ბუნების მოვლენას თავისი დედა (ღმერთი) ჰყავს თურმე. როგორც არის: წყლისდედა, მიწის დედა, ქარი—ქალბატონი, ჯაბრან, ჯაჯა და ა. შ.

ასევე საინტერესოდ არის ახსნილი „ამაცვა—ჩაფაცვა“ (გამჩენ-გამომსახველი, ან როგორც თვითონ ამბობენ თურმე, გამომპყდელი), რაც ორის, ან რამდენიმე ღვთაებისაგან შედგება. ქრისტიანულ რწმენაში ისინი ანგელოზებად იქცნენ აფხაზების წარმოდგენაში და მათგან იბადება ყოველი ადამიანი და ეძლევა, „შუბლზე წარწერის (ალახინწა) სახით მთელი ამქვეყნიური ცხოვრება...“

შემდეგ ამისა, როგორც რწმენასთან დაკავშირებული ატრიბუტი. აღწერილია აფხაზების სალოცაეები.

ავტორი მართებულად უწოდებს სალოცაეებს იმ რელიგიურ ცერემონიებს, როცა აფხაზი რაიმე შესაწირავთან შეერთებული ლოცვითა და ხეწვნა-ვედრებით მიმართავს თავის ღმერთებს ძველიდანვე მიღებული წესით.

სალოცაეებში. მართალია. ჩანს ქრისტიანული რელიგიის გავლენა, მაგრამ წარმართობის კვალიც ბლომად ემჩნევა.

აფხაზებს იმდენად ბევრი სალოცავი ჰქონიათ, რომ ავტორის გადმოცემით ყველა იმათი დაწვრილებით აღწერა და შესწავლა ეკის ძლიერ შორს წაიყვანდა თურმე. ამიტომ ავტორი უფრო შესანიშნავათა. მეტად გავრცელებულთა და ტიპიურ სალოცავთა ამორჩევას ცდილობს. ამ დაჯგუფებაში მას დასახელებული და აღწერილი აქვს სალოცაეები: დედამიწის, წყლის, ცისარტყელის, ქარის (ფშარნჰა), ხის, საგარეო (ანგუა), აჟაპარას, ჭაპუს, უბრანის, ხოზოს დაქერა, ფუტურის, მქათ, ქფათ, ოქენაშ, საქონლის, ანანჰა (მარია-მობა), სადამბადებლო (აშაყანჰა) თმის, ყურის, სამორთო და ზეციური, ანუ მეხის სალოცავი („ივერია“, 185).

ნარკვევის უკანასკნელ კარში ავტორს განსაკუთრებული გულსყურითა და მნიშვნელობით აქვს აღწერილი და გადმოცემული „მკედლისა და სამკედლოს მნიშვნელობა აფხაზეთში“. აქ ავტორი მოკლე ექსკურსიებს ახდენს შორეულ წარსულში და ხელოვნების ისტორიიდან მოყავს მოხდენილი მაგალითები სხვადასხვა ქვეყნიდან რკინის დნობისა და ჰედვის შესახებ და ასკვნის, რომ ჰედვა უდრის მხატვრობას, ხელოვნებას.

საინტერესო და საგულსხმოა, რომ აფხაზეთში სამკედლოსა და მკედელს იგივე მნიშვნელობა ჰქონია, რაც მორწმუნე ქრისტიანთათვის ეკლესიასა და მღვდელს. უფრო მეტიც, აფხაზეთში მკედლობის ხელობის მომგონს რქმევია: შაშა-ხე-აჰ-დოუ (ხელის დიდი ბატონი), ანუ შემოკლებით „შაშ“. აფხაზთა რწმენით, — აღნიშნავს ავტორი, — „შაშა“ (პირველი მკედელი) გახურებულ რკინას პირდაპირ ხელში იღებდა და ამგვარად გამოაქანდაკებდა, ან გამოიყვანდა რაც კი მას სურდა. გრდემლად საკუთარ მუხლს ხმარობდა თურ-

მე და ჩაქუჩიცი მისი მუშტი ყოფილა. იგი 363 ხელობას გამჩენი და მფარველი ყოფილა. ის ისეთი ძლიერი, თანაც ფიცხი და საშიში ყოფილა, რომ მასზე ვაგლახად არ დაიფიცებდნენო („ივერია“ 126).

პეტრე ჭარაიას ეთნოგრაფიის შესახებ მსჯელობა აქ ისე უნდა შევწყვიტოთ, რომ ვერცკი დავასახელებთ ქართულ პრესაში („კვალი“, „ივერია“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“) გაბნეულ მის სხვა, წვრილ-წვრილ ეთნოგრაფიული ხასიათის კორესპონდენციებსა და სტატიებს, რადგან, რაც უმთავრესია პ. ჭარაიას მუშაობისა ამ სფეროში, ასე ვთქვათ მისი კაპიტალური ნაშრომი, — „აფხაზეთი და აფხაზნი“ — შესაძლებლობის ფარგლებში გავიცანით. ამას შემდეგ ჩუმად მაინც შეუძლია თქვას მკითხველმა:

ჩვენ მათიცა გვეამების,  
რაცა ოდენ თქვან ნათელად.

## IV

პ. ჭარაია — ფილოლოგი და ისტორიკოსი. საენათმეცნიერო მასალების შემკრები. გრამატიკოსი. ლინგვისტი. ლექსიკოგრაფი. მთარგმნელი

წინა თავებში დაახლოებით მაინც გავეცანით პეტრე ჭარაიას ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომს, რომლის გაკეთება, თითქოს, ევალებოდა მას, ხალხში გასულს და ხალხის მეგობარს, მისი ძველი ყოფის რეალიები აეკინძა, რომ ისტორიას არ დაჰკარგოდა ისინი. სოფლის მოსახლეობის „ბავშვთა ერთ საწყალ ოსტატს“ იმ დროისა და გარემოს პირობებში, სხვა რაღა მოეთხოვებაო, იტყვიო ალბათ.

მაგრამ საქმე ასე როდია. პეტრეს კალამი პროვინციულობას სცილდება, საკმაო ერუდიციასა და მომზადებას ამჟღავნებს, გაბედულიც არის და შესამჩნევი დიაპაზონის მქონეც, ერთი შეხედვით, თითქოს, მრავალ საკითხში იჩენს თანაბარ ძალასა და ბეჯითობას. მაგრამ, თუ კარგად გავეცნობით და დავაკვირდებით მის ნაღვაწსა და შემოქმედებას, მისი მოქმედების პრინციპიალობასაც შევამჩნევთ, ეს არის მისი ღვაწლი ფილოლოგიურ-საენათმეცნიერო სფეროში.

პ. ჭარაიას ცხოვრების ამსახველი მასალის ძიებაში რომ ვიყავი, ჩვენს ცნობილ მწერალს შალვა დადიანს ვკითხე: ეგებ რამე იცოდეთ პეტრე ჭარაიას შესახებ-მეთქი, „რომელი ჭარაია, ლინგვისტი რომ იყოვო“? მითხრა; „ვიცნობ მის ლინგვისტურ-ფილოლოგიური ხასიათის წერილებს, პირადად კი არ ვიცნობდი. ჩემი დაი, მაშო ახლო იცნობდა, მას მიმართეთ, ეგებ რამე ახსოვდეს“. ჩემთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რომ შ. დადიანი პ. ჭარაიას ლინგვისტად სცნობდა, მე კი მანამდე ვერ გამიბედნია მისთვის ლინგვისტი მეწოდებინა.

შესაძლებელია, ვინმეს მოაგონდეს, ამ შემთხვევაში ვითომ შეფერებულნი: „სად მაღალი არსად იყოს, მუნ დაბალი ამაღლდების“, ან კიდევ, „ცხენი მარტოდ მარბენალი, მუხლმოკლელიც გამაღლებს“... მაგრამ ამგვარი მოგონება გასული საუკუნის 90-ანი წლების მიმართ თლიანად მაინც ვერ იქნება გამართლებული, განვითარების რაც უნდ დაბალ საფეხურზე მდგარად გვეჩვენებოდეს იმ ხანების ქართული ფილოლოგია. მართალია, ქართული ფილოლოგიის თანამედროვე მწვერვალებიდან გადმოხედვის შემდეგ ერთბაშად ღარბად მოგვეჩვენება იმ ხანების ეს უბანი, მაგრამ ეს თანამედროვე მეცნიერებათა დიდი მიღწევებისა და გიგანტური წინსვლის მიზეზია და არა 90-ანი წლების ამ დარგის მუშაეებისა.

როცა, ჭერ კიდევ, ქართული ენის ამგდარის, ილია ჭავჭავაძის კალამი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს აყალიბებდა, როცა აკაკის ჯადოქრული ენა მეტყველებდა, ალ. ცაგარელის საენათმეცნიერო მუშაობა გაშლილიყო და დაე. ჩუბინაშვილის ლექსიკოლოგიური ღვაწლი დამთავრებული, და ქართველი ერის გმირული წარსულის ქადაგი მოსე ჯანაშვილი მეცნიერული ძალით იჭურვებოდა, აფხაზეთის მიყრუებულ სოფელ გუფუს, თუ ფოქვეშის, სასოფლო სკოლის მასწავლებლის პეტრე ჭარაიას ლამაზი ქართულით გამართული სტატიებით ფილოლოგიურ და სხვა საკითხებზე, ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ხალვათად ჰპოვებდა ადგილს. ეს არც ისე მცირე ნაბიჯი იყო ამგვარი ავტორისათვის; ან ფაქტს ისიც ემატებოდა, რომ მას ენასაც უწონებდნენ და საგნის ცოდნასაც.

მაგალითად, მოსე ჯანაშვილი სილოვან ხუნდაძესთან კამათში — „ენის ზოგიერთი ცრუ ნორმების შემოღების შესახებ“, —საჯიროდ სთვლიდა, რომ მწერალს, რა ენარისაც არ იქნებოდა იგი, სცოდნოდა თავისი კუთხური, პროვინციალური ენა. თუ კილოკავი, მაგრამ წერით კი მხოლოდ საერთო ლიტერატურული ენით უნდა ეწერა, იმ ენით „რომლითაც მეტყველებენ ყველა ქართლოსიანნი“.

ამ მხრივ, — ე. ი. სწორი, ლიტერატურული ენით წერის მხრივ, — მოსე ჯანაშვილის აზრით, „ახალგაზრდა მწერალთა შორის მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ ენა ტარტარენ ტარასკონელის მთარგმნელისა (ივ. მაჭავარიანი—ს. ც.), თედო სახოკიასი, ძმობა რაზნიკაშვილისა (ლუკა, ნიკო, თედო—ს. ც.), თავისუფალი სვანისა (ბ. ნიჟარაძე—ს. ც.), ეგნ. ნინოშვილისა, დ. კარიჭაშვილისა, გრ. ვოლსკისა, ნ. ლომოურისა, შ. არაგვისპირელისა, პეტრე ჭარაიასი და სხვ... სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვი ზოგიერთ „ძველ“ მწერალთა შესახებ“ („ივერია“, 1894, № 139), — დასძენდა იგი.

ამით უკვე ნათელია, თუ როგორ ავტორიტეტულ და ნიჭიერ მწერალთა რიგებში მოათავსა ჯანაშვილმა პეტრე ჭარაია, როგორც მწერალი და კარგი მოქართულე. იგივე გაიმეორა მან ამავე წლის „ივერიის“ სხვა ნომერში (147), როცა სილოვან ხუნდაძის პასუხის („კვალი“, 1894, № 29) პასუხი დაბეჭდა. იგი კიდევ უფრო დასაბუთებულად და საფუძვლიანად იცავდა ქართული სალიტერატურო ენის მის მიერ წამოყენებულ დებულებასა და პეტრე ჭარაიას წერის მანერას, მისი ქართულის სიწმინდესა და დახვეწილობას.

1895 წ. ჟურნალ „მოამბეში“ (IX) პეტრე ჭარაიამ ლეითონვე დასვა საკითხი „ქართული სალიტერატურო ენისა და მართლწერის“ შესახებ. ის, ამ საკითხს იმ ხანებში, სამართლიანად. მომწიფებულად სთვლიდა იმ ქვეყანაში, სადაც გაზეთი „დროება“ 20 წელიწადს გამოდიოდა, შემდეგ ჟურნალი და გაზეთი „ივერია“, „კვალი“

და „მომბე“ სისტემატურად იბეჭდებოდა, ამგვარი საკითხების გადაწყვეტა თუ არა, გაშუქება მაინც არ უნდა ყოფილიყო უდროო.

ნაწილობრივ მართალი იყო პ. ჭარაია თავის დასახელებულ სტატიაში, როცა აღნიშნავდა, რომ: „ჩვენ ქართველები ვკვებულობთ და გავიძახით: ქართულ ენაზე, ქართული ალფაბეტის სისრულის წყალობით სრულიად არ არის ძნელი ორთოგრაფია, რომელიც ფესბატეხი მოვლენაა სხვა მრავალ ენაშიო, მაგრამ წერის იმ სხვადასხვაობიდან, რომელსაც ადგანან დღეს „ივერია“, „ქვალი“ და „მომბე“, იმ კამათიდან, რომელიც ატეხილი იყო შარშან, ქართული ენის მცოდნე პირთა შორის, გამოდის, რომ ქართულ ენასაც ჰქონია თავისებური, საკმაოდ ძნელი მართლწერა ...და თვით ქართული ენაც, — დასძენს შემდეგ ავტორი, — ასეთი ძნელი რამ ყოფილა, რომ მას ვერ მოერევიან საქართველოს ღვიძლი შვილები, რომელთაც 20-30 წელიწადი ქართულად უსწავლიათ და უწერიათ“.

ავტორი ამით არ მოითხოვდა ყოველსა მოქალაქისაგან ენის ღრმა და მეცნიერულად დაუფლებას. არა ის კარგად ერკვეოდა მეტყველების ცოდნისა და დაუფლების კატეგორიებში. „ენის სრულად (ხაზი ავტორისაა) ცოდნა-შეგნებაზე არ მოგახსენებთ“, წერდა იგი. „ქართული ენა ზრდილა და განვითარებულა ათასთა წელთა განმავლობაში, მის შექმნაში მონაწილეობა მიუღია მთელ ქართველ ერს, იმის საუკეთესო და უგონიერეს წარმომადგენლებს რამდენიმე ათი საუკუნის განმავლობაში და აი, ასეთი ენა (აკაკის სამართლიანის თქმისა არ იყოს) ერთმან პირმან, და მეორე ჩვენს გარემოებაში მყოფმა, სრულად რომ ვერ შეითვისოს და ვერ დაეპატრონოს იმას, — ეს ჩვენი აზრით, აგრე საკიცხი და დასაძრახი არ არის“... (იქვე)...

მაგრამ ყოველდღიური მოთხოვნებისა და პრაქტიკული პრესის წესიერი მუშაობის დასაკმაყოფილებლად ის მოაზროვნედა ერთგვარი ზოგადი სახის, ყველასათვის სავალდებულო ნორმებს ქართული სწორწერისა და სწორმეტყველების დარგში. მას, დასახელებულ სტატიაში მრავალი ტიპიური მაგალითი მოყვას იმისა, რომ „ზოგიერთი განათლებული ქართველები სულ განსხვავებითა წერენ, მათი მართლწერა სხვადასხვაა“, რომლის მიზეზებად ავტორი სხვადასხვა გავლენებსა (ძველი მწერლობა, უცხო ენა, პროვინციალიზმი, დიალექტები, კილოკავები და ა. შ.) სთვლის.

ავტორი არ იზიარებს იმ თეორიას, რომ სალიტერატურო ენა ამა თუ იმ ენის ყველა კილოზე უნდა იყოს დამყარებული, ისე რომ მის შემადგენლობაში ყველა პროვინცია ამა ენის ქვეყნისა თანაბრად მონაწილეობდეს. ამ პრინციპის გატარება მას შეუძლებლად მიაჩნია იმიტომ, რომ წინდაწინ მოფიქრებითა და შეთანხმებით და ერთგვარის პროპორციით შეკრება და ყველა ელემენტის შეტანა ამა თუ იმ ენის ყველა კილოკავისა სალიტერატურო ენაში და მისი

საბოლოოდ დაუფლება და დამკვიდრება განუხორციელებელი ფან-  
ტაზია. ნამდვილად კი, ლიტერატურული ენა რომელსამე ერისა,  
ყოველთვის ერთს რომელსამე კილოზე, როგორც უმთავრეს ბაზის-  
ზე აგებულა და დამკვიდრებულაო.

ასეთია პ. ჭარაიას მოსაზრება, რომელსაც ის მრავალი ფაქტე-  
ბითა და მაგალითებით ადასტურებს მსოფლიო მნიშვნელობის ლი-  
ტერატურული ენების მაგალითებზე. მწიგნობრული და სალიტერა-  
ტურო ენა ინგლისისა არის ენა შექსპირისა, ბაირონისა, გერმანიი-  
სათვის კი—ენა ლუთერისა, ლესინგისა, გოეთესა და სხვათა, და  
ჩვენც ამგვარადვე მოვიქცეთო, გვასწავლის ავტორი.

ჩვენც გვაქვს ჩვენი სალიტერატურო ენისათვის ჩვენი ბაზისი  
— ქართლური, ხოლო ლიტერატურაში ძირითადად უნდა გაბატონ-  
დეს „ენა ორივე ჭავჭავაძისა, ორივე წერეთლისა, ორივე ორბელია-  
ნისა, ნ. ბარათაშვილისა, ყაზბეგისა და სხვა... აი, ამ მწერალთა ენა,  
დაასკვნის ავტორი, უნდა ჩაითვალოს საძირკველად ჩვენი სალიტე-  
რატურო ენისაო“ (იქვე).

თუ რამდენად გაამართლა პეტრე ჭარაიას ეს მოსაზრება ცხოვ-  
რების შემდგომმა საფეხურებმა და განსაკუთრებით თანამედროვე  
ეტაპზე ენათმეცნიერების განვითარებამ, ამაზე მკითხველის ყურად-  
ღებას მივაქცევ ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომისადმი „მარქსიზ-  
მი და ენათმეცნიერების საკითხები“. ი. ბ. სტალინი განმარტავს რა-  
ღიალექტების, ჟარგონების და საერთო ეროვნული ენის ურთიერ-  
ობას, აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ენებად მივიჩნიოთ ღიალექტე-  
ბი და ჟარგონები „ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამ ღიალექტებსა და  
ჟარგონებს არა აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი  
ლექსიკური ფონდი, — ისინი მათ სესხულობენ ეროვნული ენისა-  
გან. მეორე, არ შეიძლება იმიტომ, რომ ღიალექტებსა და ჟარგონებს  
აქვთ ხმარების ვიწრო სფერო ამა თუ იმ კლასის ზედაფენის წევრთა  
შორის და სრულიად გამოუსადეგარი არიან, როგორც ადამიანთა  
ურთიერთობის საშუალება, მთელი საზოგადოებისათვის“... (გვ. 12).

ღიდი სტალინი ანვითარებს რა თავის ამ მეცნიერულ თეორიას,  
აღნიშნული საკითხის გარშემო ბრწყინვალედ დაასკვნის: „ღიალექ-  
ტები და ჟარგონები წარმოადგენენ საერთო-სახალხო ეროვნული  
ენის განშტოებებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე ენობრივი და-  
მოუკიდებლობა და განწირული არიან უზადრუკი არსებობისათვის.  
იმის ფიქრი, რომ ღიალექტებსა და ჟარგონებს შეუძლიათ განვი-  
თარღნენ დამოუკიდებელ ენებად, რომელთაც შეეძლებათ განდევ-  
ნონ და შეცვალონ ეროვნული ენა, — ნიშნავს ისტორიული პერს-  
პექტივის დაკარგვას და მარქსიზმის პოზიციიდან გადახვევას“..  
(იქვე). ი. ბ. სტალინი აქვე განმარტავს კ. მარქსის შეხედულებას  
ენის შესახებ. აღნიშნავს „მარქსი აღიარებდა, რომ აუცილებელია  
ერთიანი ეროვნული ენა, როგორც უმაღლესი ფორმა, რომელსაც  
ემორჩილებიან ღიალექტები, როგორც დაბალი ფორმებიო“. (იქვე).  
ამით ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ პეტრე ჭარაია 90-ან წლებში

მარქსიზმის გაგების ამ სიმაღლეზე იდგა. არა. არამედ იმას, რომ მან თავისი ერუდიციით, დაკვირვებითა და საკითხის განვითარებისადმი სწორი ალლოთი შეიგრძნო საენათმეცნიერო დებულებათა ზოგი სისწორე და გასაგებად გამოამჟღავნა. ესეც შესამჩნევი დამსახურება იყო იმ ხანებში. ამასთანავე ხაზგასასმელია ისიც, რომ ჩვენს მწერლობაში, ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ პაექრობის შემდეგ ლიტერატურული ენის ნორმების ხელახლა გადასინჯვისათვის საკითხის ასე მკვეთრად დასმა, მგონი, პირველად პეტრე ჭარაიას ეკუთვნის; იგი კატეგორიულად მოითხოვდა: „საჭიროა „კვალის“, „ივერიის“ და „მოამბის“ წარმომადგენლები და ენის მცოდნენი შეიკრიბნენ, დაივიწყონ ყოველგვარი პირადი ინტერესები და მიიღონ ერთი, ახლანდელი ქართული ენის მდგომარეობის შესაფერი ორთოგრაფია“ („მოამბე“, 1895, IX). მომავალმა ცხოვრებამ მისი ეს სალი მოსაზრება სავსებით გაამართლა.

ამასვე უნდა დავუკავშიროთ აგრეთვე პეტრე ჭარაიას მეორე, უთუოდ სალი და მის მიერ დროულად წამოჭრილი საკითხი. ის ენება ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების საბოლოო ჩამოყალიბებასა და დაკანონებას ჩვენს მწერლობაში. ტ ფ ი ლ ი ს ი, ტ ბ ი ლ ი ს ი, თ ბ ი ლ ი ს ი თ უ თ ფ ი ლ ი ს ი? რომელია უფრო მართებული ისტორიულად, მეცნიერულად. ორთოგრაფიულად თუ ლიტერატურულად, როგორ უნდა ვწეროთ დედაქალაქის სახელი? — კითხულობდა იგი და თვითონვე გამოსთქვამდა გულისტკივილსაც, რომ, აბა რა სწავლულები და მეცნიერები ჩვენა ვართ, როცა ჩვენი მშობლიური დედაქალაქის სახელიც კი არ ვიცით კარგად, გარკვევით და დარწმუნებით („კვალი“, 1897, № 51).

3. ჭარაია დაწვრილებით განიხილავს ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების ეტიმოლოგიას, მოყავს მრავალი ნიმუში ძველი მწერლობის საგანძურიდან, ისტორიულად და ფილოლოგიურად გვაცნობს სიტყვებს სიტფო, ტფება, გატფა და სხვ. ისე, როგორც ისინი ძველ მეტყველებაში და მწერლობაში ყოფილა გაბატონებული, შემდეგ მიმართავს მის შესატყვის მეგრულ: ტიბუ, ტებუ, სიტიბასა და სხვ. არ იფიწყებს არც ტეplaxი, топихъ-ს; გარდა წერილობითი დოკუმენტებისა ის იყენებს ხალხურ ცოცხალ გამოთქმასაც და ქართული ფონეტიკის წესების დაცვით დაასკვნის, რომ არ უნდა ვწეროთ ტბილისი, არც ტფილისი და არც თბილისი, არამედ, თფილისი. თუ კი ქალაქის ეს სახელწოდება წარმომდგარია სიტყვისაგან სითბო, თბილი თუ თფილი (და რომ ეს ასეა, ამის შესახებ მეორე დასაბუთებული აზრი არ არსებობს), მაშინ როგორც ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მიმოხილვა და მისი ისტორიული ნივთიერების შესწავლა გვიჩვენებს, უნდა მივიღოთ „თფილისი“ — ასეთია ავტორის დასკვნა, რომელიც ჩვენი ცხოვრების განვითარების შემდგომმა საფეხურებმა ნაწილობრივ გაამართლა, რამდენად დღეს უკვე ოფიციალურადაც დაკანონებულია დედაქალაქის სახელწოდება თ ბ ი ლ ი ს ი.

მართალია, ამ შემთხვევაში ბგერა ფ შეცვლილია ბ-ანით, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ. რომ ხალხშიც და ყოველ გამოთქმის დროს სიტყვისა „თბილი“ „ფ“ ისმის (თფილი) და არა ბ (თბილი), მაგრამ ყოველთვის ხომ ისე არ ვწერთ, როგორც გვესმის, ან გამოთქვამთ ამა თუ იმ სიტყვას და აქაც, ამ კანონის ძალით, ცოცხალ მეტყველებაზე დამყარებული, ჩვენი ავტორის მიერ მიღებული „თფილისი“ დღეს ძალაშია „თბილისის“ სახით.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ამით უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე პ. ჭარაიას. არა, მაგრამ ნაღვაწის ობიექტური შეფასების პირობებში ერთ ჯანსაღ მარცვალსაც მნიშვნელობა და შესაფერი დაფასება აქვს.

1901 წელს, ქ. ქუთაისში გამოიცა ჩვენი ცნობილი მწერლის, პედაგოგისა და ენათმეცნიერის სილოვან ხუნდაძის ვრცელი გამოკვლევა — „სალიტერატურო ქართულის“ სახელწოდებით. ამ შრომამ თავის დროზე მიიქცია მკითხველის ყურადღება და პრესაშიც შესაფერი გამოხმაურება ჰპოვა პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილისა და პეტრე ჭარაიას რეცენზიების სახით.

პ. ჭარაია სთვლიდა რა სილოვან ხუნდაძეს ქართული ენის დიდ მცოდნედ, მისი აღნიშნული ნაშრომში იმ უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტად საყურადღებო წიგნად მიაჩნდა, „თუ რამდენად დიდ შრომასა და დროს თხოულობს, — წერს ჭარაია, — ავტორისაგან ასე მეცნიერულად შემუშავებული ნაწარმოები, ეს ადვილი გასაგები და მისახვედრია მხოლოდ იმისათვის, ვისაც თვითონაც უშრომნია ამგვარ საგანზეო“ („ივერია“, 1904 წ. № 142).

როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, პეტრეს თვითონაც საყურადღებო შრომა ჰქონდა ამ მიმართულებით გაწეული და ამიტომ, ცხადია, მას ესმოდა და გაეგებოდა სილოვანისაგან გაღებული შრომის მნიშვნელობა და სიმძიმე, თუმცა ზოგიერთ მის დებულებას იგი არ ეთანხმებოდა და საფუძვლიანადაც უარყოფდა ხშირად.

ქ. პეტრე, სწორედ აფხაზური ზრდილობით, მოიბოდიშებს ჯერ თვით შრომის ავტორისა და შემდეგ მისი პირველი რეცენზენტის, პროფ. ალ. ხახანაშვილის წინაშე იმის გამო, რომ წიგნში რიგ მიუღებელ მოსაზრებებსა და არასწორ დებულებებს ამხელდა...

პირველ რიგში მას მიუღებელ მეთოდად მიაჩნდა სილოვან ხუნდაძის მიერ სახელმძღვანელოდ მიღებული ორი პრინციპი სიტყვებისა და სიტყვის ფორმის ამორჩევისა, — პრინციპი კეთილზმოვანებისა და ენის გაადვილება-გამარტივებისა.

„კეთილზმოვანება ენაში, — წერს პ. ჭარაია, — მეტად განუსაზღვრელი რამ არის. რაც ერთს, ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს კეთილზმოვანად მიაჩნია, ის შეიძლება მეორეს არაკეთილზმოვანად მოეჩვენოს. ენის გამარტივება-გადვილება, ამ შემთხვევაში, მისაღები კრიტერიუმი, მაგრამ ენა, — განაგრძობს ჭარაია, — მოგეხსენებათ,



აზროვნების ორგანოა და მისი მთავარი დანიშნულება მდგომარეობს აზრთა გადაცემა-გაგებინებაში. ამ მიზნის მისაღწევად კი ენა არა ყოველთვის ადგას გამოთქმის გაადვილებას და გამარტივების გზას“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, პეტრე ჭარაია ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საკითხის გაშუქებაში სწორ პოზიციაზე დგას. მისი ზოგიერთი მოსაზრება დღესაც, ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოქვეყნების შემდეგაც, ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას.

შესაძლებელია, განაგრძობს ავტორი შემდეგ, ენობრივი მოვლენების განხილვის დროს, „რაც პირველი შეხედვით გაზვიადებაგართულებად მიგვაჩნია, ენის გამარტივებით იყოს გამოწვეული“... რის შემდეგ მოყავს მთელი რიგი ცოცხალი მაგალითები ნაცვალსახელებიდან (რასმე, ვისმე და სხვ.), რომელთა არამართებული ფორმით ხმარებას ამტკიცებს ძველი მწერლობის ძეგლებიდან დიდძალი მასალის მოშველიებითა და ილუსტრაციით.

მრავალი ამგვარი მოხდენილი ილუსტრაციისა და დამაჯერებელი ვარჯიშის შემდეგ, იგი სრულიად სამართლიანად დაასკვნის, რომ „ჩვენის ნებით არ ძალგვიძს ერთი ფორმანი მოვსპოთ და მეორეში გადავრცელოთ (იგულისხმება კეთილხმოვანი და არაკეთილხმოვანი სიტყვები—ს. ც.), მაგრამ ენობრივ მოვლენებში, — დასძენს კვლავ ავტორი, — როგორც სოციალურ და ეკონომიურ მოვლენებშიაც, ერთი რაიმე კი შეგვიძლია, თუ ვიცით რომელიმე საიდან მოდის და რომელი გზით საითკენ მიილტვის, ჩვენ ეს შესვლელობა ცოტად თუ ბევრად დავაჩქაროთ“.

პეტრე ჭარაიას ეს დებულება ჭეშმარიტებას უახლოვდება, თუ მის ძირითად არსს ჩაუქვირდებით. ი. ბ. სტალინის თავის გენიალურ შრომაში — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, — ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ შეუძლებელია ადმინისტრაციულად, თუ სხვა რაიმე ზომებით ენის სტრუქტურის, მისი გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის მოსპობა და ახლით შეცვლა. მან ასეთი მიმართულების ენათმეცნიერები შეაღარა იმ „მარქსისტებს“, რომელთაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოითხოვეს „ბურჟუაზიული რკინიგზების“ აყრა და მის ნაცვლად „პროლეტარული რკინიგზების“ დაგება. რუსულ ენის ისტორიული განვითარების მაგალითზე ი. სტალინმა ნათელი გახადა, რომ „თანამედროვე რუსული ენა თავისი სტრუქტურის მხრივ ბევრით არაფრით განსხვავდება პუშკინის ენისაგან“... მართალია, ენა ერთ ადგილზე არ შეჩერებულა, ის განვითარდა, გამდიდრდა, ეპოქის შესაფერად დაიხვეწა, და როგორც დიდი სტალინი აღნიშნავს, შეივსო მისი „ლექსიკური შემადგენლობა; ლექსიკური შემადგენლობიდან ამოვარდა მრავალი მოძველებული სიტყვა; შეიცვალა ბევრი სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობა; გაუმჯობესდა ენის გრამატიკული წყო-

2ა. რაც შეეხება პუშკინის ენის სტრუქტურას მისი გრამატიკული წყობით და ძირითადი ლექსიკური ფონდით, იგი დარჩა მთელი თავისი არსით. როგორც თანამედროვე რუსული ენის საფუძველი“ (გვ. 7). ცხადია, ეს, როგორც ობიექტური კანონი, ყველა ენაზე ვრცელდება და მათ შორის ქართულ ენაზეც. პეტრე ჭარაიაც სწორედ იქ უახლოვდება ქვემარტივებს, როცა ის აღნიშნავს, რომ თუ ვიცით რომელი კანონი საიდან მოდის და რომელი გზით საითკენ მიილტვისო, ჩვენ კი მხოლოდ ამ მსვლელობის მიმართულების მიცემა ან დაჩქარება შეგვიძლიაო.

ავითარებს რა ამ მოსაზრებას სათანადო არგუმენტაციისა და მასალის საშუალებით, ავტორი მისაღებად სთვლის სიტყვათა გაკეთილხმოვანების ერთგვარ ბუნებრივ ძნეერსიას. მრავალი საგულისხმო შენიშვნებისა და მართებული კრიტიკის შემდეგ ის თვითონვე ახდენს სიტყვათა ამგვარი ცვლილების ზოგიერთ ილუსტრაციას. მისი აზრით „ზოგი სიტყვა თავის ცვალებად განვითარებაში იმ გზით მიდის, რომ ამ სიტყვის მთავარ ნაწილს თავსართი განუყოფლად დაუკავშირდეს, თუმცა ბოლომდე ჭერ არ გასულა“. ამის მაგალითად ავტორი ასახელებს სიტყვას „აღსარება“.

„ამ სიტყვის ფორმები, — წერს ავტორი, — ვალვიარებ და შემდეგ ვალვიარებ, ვფიქრობ, უსაქმურ პირთაგან გამოგონილი კი არ არის, არამედ შედეგია ქართული ენის ზრდა-განვითარებისა. ხალხის გენიოსობას, რომელიც ერთად-ერთი შემქმნელია ენისა, როცა დაუნახავს, რომ პრეფიქსი აღ მტკიცედ შესისხლბორცებია ამ სიტყვის ძირს, საჭიროდ დაუნახავს პიროვნების დამახასიათებელი (მაჩვენებელი) ვ თავში მოექცია და მით ამ სიტყვის მიმოხვრა უფრო საზოგადო ზმნების მიმოხვრის კანონებისათვის დაექვემდებარებია. ერთი სიტყვით, — დაასკვნის ავტორი, — მე მგონია, რომ უძველესი ფორმაა: აღვიარებ (ამ ხანაში აღ უფრო თვით მდგომარე ნაწილია). შემდეგ — ვალვიარებ და სულ უკანასკნელი: ეალიარებ. თუ რომელი ფორმა უნდა ვიხმაროთ, ამაზე ბრძანებას ვერ გავცემთ, ხოლო ვიტყვი კი, რომ სულ უკანასკნელი ფორმაციის შედეგად მიმჩნია ვალიარებ“.

„ეს მაგალითი განცალკევებული არ არის ქართულ ენაში“, — დასძენს ავტორი, რომელსაც მოყავს რამდენიმე პარალელი მეგრული ენიდან (მაგ. — იბრული, იშებლი, იბდათ, ივლათ, ვიდათ და სხვ.) და ამით ნათელს ფენს თავისი დებულების სისწორეს.

ამგვარი მაგალითებით დასაბუთებული მსჯელობის საგნად ხდის რეცენზენტი. დასახელებული შრომის 240 გვერდის მანძილზე გაშლილ დებულებებსა და ცალკეულ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას თავისებური „მოწონებისა და დაწუნების ლაღადი მოჰქონა“ დაკვირვებულმა რეცენზენტმა, და გზადგზა, იმ დროისათვის შეტად საგულისხმო აზრებიც გამოსთქვა ქართული ენის ნორმებისა და მართლწერის შემუშავების დარგში, და რაც მთავარია, გარ-

კვეული და ფრიად საყურადღებო წვლილიც შეიტანა ახალი ქართული, ენის გრამატიკის შემუშავების სფეროში.

ცხადია, პ. ჭარია მართო არ იდგა ბრძოლის ველზე. ის ხშირად იშველებს ისეთ ავტორიტეტებს, როგორც იყვნენ იმ ხანებში ალ. ცაგარელი, დ. ჩუბინაშვილი და სხვანი, მაგრამ ამავე დროს იმათ შეცდომებსა და ზოგიერთ უმართებულო განმარტებებსაც ამხელდა, თუმცა, რასაკვირველია, არა ყველა მისი დებულება გამართლებულა ბოლომდე ისე, როგორც დასახელებულ ფელეტონებში მართებულად უწინასწარმეტყველა მან სილოვან ხუნდაძეს, რომ: „სინტაქსური კანონების განხილვაში ბ-ნი ს. ხუნდაძე, ქართული ენის საფუძვლიან ცოდნასა და დაკვირვებაზე დამყარებული, მრავალ საყურადღებო მოსაზრებებს იძლევა, მაგრამ უეჭველია, არა ყველა ამ მოსაზრებებს (სინტაქსურ კანონებს) მოელის გავრცელება. ამის თავიდან აღიქვანდელი მდგომარეობა ქართული ენისა“ („ივერია“, 144).

ჩვენ აქ შეიჭყვედით მსჯელობას პეტრე ჭარიას სხვა სახის თეოლოგიურ საქმიანობაზე, რადგან ამითაც საკმარის ნათელი წარმოდგენა გვექნებოდა ამ მხრივ მის ღვაწლზე, სურვილზე, მონდომებაზე და ინტელექტუალურ შესაძლებლობაზე, რომ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კუთხე არ გვექონდეს გამორჩენილი მისი სამოქმედო არეიდან.

ეს არის მისი, ნამდვილი მეცნიერული ღირსეულობა: მატარებელი შრომა „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“... („მოამბე“, 1895 წ. X-XII, 1896 წ. I. II) და მისი — „მეგრულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი“.

იმ დროს, როცა არამკითხე მოამაგენი და „განმანათლებლები“ ცდილობდნენ „მეცნიერულად“ დაემტკიცებინათ, რომ მეგრული ენა სულ სხვა, დამოუკიდებელი ენაა და მეგრელებიც სხვა პროვინციისა არიანო, როცა ილია ჭავჭავაძეს სამეგრელოში მოგზაურობის დროს დასჭირდა მოსწრებულად ეთქვა: „სამეგრელოში მოველი და საქართველო ვიპოვეო“, როცა იანოვსკი-ლევიცი-ვოსტოროვები და მათი ზეგარდმო შთაგონებული „მეცნიერი“ ალ. გრენი და სხვა შევრჯემელთა ბანაკის მებუკეები თავიანთს პროვინციულ პრესაში (გაზეთი „Россия и Азия“) საქართველოს ისტორიასა და მისი მეცნიერულად „მოწესრიგების“ საკითხებს „აშუქებდნენ“, — როცა მოწინავე ქართველობას დასამტკიცებელი გაუხსდა მეგრელთა ქართველობა, პეტრე ჭარიამ ამ უთანასწორო ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანა არა მარტო როგორც მასწავლებელმა, პრაქტიკულმა მუშაკმა და მეფის მოხელეების წინააღმდეგ გაბედულმა მებრძოლმა, არამედ როგორც მწერალმა და მეცნიერმა — მკვლევარმა, ქართულ-მეგრული ენების ნათესაური ურთიერთობის ღრმად მცოდნე ერუდიტმა.

დასახელებულ შრომაში — „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“ — ავტორს გამოთქმული

აქვე მოსაზრება, რომ კავკასიური ენები განიყოფებიან ორ მთავარ — ჩრდილოეთისა და სამხრეთ-კავკასიის ჯგუფად. ამ უკანასკნელში დომინანტობს „ქართული გვარის (ივერული ოჯახი) ჯგუფი, — ქართული, მეგრული, სვანური და ლაზური (ახუ ქანური). შემდეგ იგი არჩევს ამავე საკითხზე გიულდენშტეტის, კლაპროთის, როზენის, უსლარის და ალ. ცაგარელის შრომებს, და მათს ავტორიტეტულ მოსაზრებებს. მიუთითებს მათს შეცდომებზე, ზოგიერთ მცდარ განმარტებებსა და დებულებებზე; თუმცა ყველაზე მაღალ შეფასებას ალექსანდრე ცაგარელის შრომებს (Мингрельские этюды) აძლევს, რასაც ხსნის იმ გარემოებით, რომ ცაგარელი „როგორც ქართველი“ უფრო კარგად და ღრმად ჩასწვდა მეგრულსაო“.

საქართველოს ისტორიისა და ლინგვისტიკის კოლოსმა — აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, თავის კაპიტალურ შრომაში — „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937 წ.). ჭარაიას ეს მოსაზრებანი ნაწილობრივ შეიწყნარა, იგი ალ. ცაგარელის მიერ ბრწყინვალედ დაწყებული, მაგრამ მტრებისაგან უკულმართად გამოყენებული, საქმის ნიჭიერ გამგრძელბლად მიიჩნია და შესაფერი ადგილიც დაუთმო. ზემოხსენებულ თავის დიდ შრომაში (გვ. 8) ჩამოთვლილ ცნობილ მეცნიერთა (ვახუშტის, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ კათალიკოსის, მარი ბროსის, ბოპპის, კლაპროთის, მიულერის, პოტტის, ბენფეის, გიულდენშტეტის, როზენის, შუპარდტის, უსლარის, ბარტჰოლდის და სხვა) გვერდით.

ალ. ცაგარელისა და მისი შრომების, პ. ჭარაიას და საერთოდ მისი სამოქმედო ეპოქისა და შექმნილი ატმოსფეროს ნათელი და ავტორიტეტული დახასიათებისათვის უმჯობესია დიდ მეცნიერს თვითონვე დაეთმოს აქ სიტყვა:

„იმ დროისათვის (80-90-იანი წლების—ს. ც.), — წერს ივ. ჯავახიშვილი, — ორივე ეს წიგნი (იგულისხმება ალ. ცაგარელის: შრომები Мингрельские этюды, I. Мингрельские тексты, II. Опыт фонетики мингрельского языка, ს. ც.) ქართველმცოდნეობისათვის კარგ წვლილს წარმოადგენდა, რომელსაც მეგრულის მორფოლოგიაცა და ლაზურისა და სვანურის ენათმეცნიერული დახასიათებაც უნდა მოჰყოლოდა და შექვეყნა, სხვების წახალისებაც შეეძლო, რომ ამ გზით ქართულისა და ქართველურის ენათმეცნიერული შესწავლა გაჩაღებულიყო, მაგრამ მოულოდნელად მთელი ეს ასე კარგად დაწყებული საქმე სრულებით უკულმა დატრიალდა. ქართველთა მოძულე რუსიფიკატორმა მოხელეებმა ალ. ცაგარელის ნაშრომი, სრულებით მოულოდნელად, ისედაც დევნილი და დაბეჩავებული ქართული კულტურის საბოლოო განადგურებისათვის გამოიყენეს. ამ ფრიად საგულსხმო ამბის მოთხრობა წინამდებარე ზოგად მიმოხილვაში. რასაკვირველია, შეუძლებელია, მაგრამ მისი გახსენება იმდენად არის აუცილებელი, — განაგრძობს მეცნიერი, — რამდე-

ნადაც ალ. ცაგარელისაგან დაწყებული კვლევა-ძიების სრული შეჩერების მიზეზს გვიხსნის“...

კავკასიის „სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკისა და მეფის სხვა მოხელეთა წყალობით, — მოგვითხრობს ივ. ჯავახიშვილი, — სამწერლობო ქართული ენისა და კულტურის დენა გაჩაღდა. იმავე დროს მეგრულისათვის ქართული დამწერლობის მაგერ რუსული ანბანის ასოები იქმნა შემოღებული, ვითომცდა მეგრული კულტურის შესაქმნელად. რუსული ანბანის მეგრულისათვის დაკანონების გარემოება და მის თანამოაზრეთა ნამდვილ ზრახვასაც და მიზანსაც საკმაოდ ააშკარაებდა, რომ ამით ვინმე საქართველოში მოტყუებულიყო. საბედნიეროდ მთელი სამეგრელოს ხალხმა მოქალაქეობრივმა შეგნებამ და შორგამჭკრეტელობამ შეღის მოხელეების მთელი ეს გეგმა ჩაშალა: მოსახლეობის ერთსულოვანი წინააღმდეგობის წყალობით, ეს საქმე სრულებით უნაადგო გამოდგა, მაგრამ ამ უსიამოვნო ამბით გამოწვეულმა სულიერმა განწყობილებამ ალ. ცაგარელისაგან დაწყებული კვლევა-ძიება ხანგრძლივ შეაჩერა. სამწუხაროდ, ამის შემდგომ თავისი საენათმეცნიერო მუშაობა თვით ალ. ცაგარელმა შესწყვიტა და იმ დროიდან მოყოლებული მეტი ამ დარგში აღარაფერი დაუწერია“ (გვ. 8).

„15 წლის განმავლობაში, — კვლავ განაგრძობს აკად. ჯავახიშვილი. — ამ საკითხზე აღარც ერთი ნაშრომი არ გამოქვეყნებულა და შეწყვეტილი მუშაობა მხოლოდ 1895 წელს განახლდა პეტრე ჭარაიას (ხაზი ავტორისაა) წყალობით. მან, ალ. ცაგარელის ფონეტიკის პირველი ცდის შემავსებელ-შემასწორებელი საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა, რომელსაც უწოდა „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“ (ხაზი ავტორისაა, იქვე გვ. 8.).

კიდევ უფრო ქვევით, სახელოვანი მეცნიერი დასახელებულ გამოკვლევაში მოახდენს რა „ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვას“, პეტრე ჭარაიას ზემომოყვანილ ატესტაციას იმასაც კი უმატებს, რომ პეტრე ჭარაიას შრომები, რომელიც თავსდებოდა პეტერბურგის საენათმეცნიერო გამოცემებში, დიდ ყურადღებას იმსახურებდა ცნობილ ენათმეცნიერთა შორის და სათანადო ნდობითაც იყო აღჭურვილი, როგორც წყარო აფხაზური ენის დამოკიდებულებებისა ქართველურ ენებთანო.

როგორც ვხედავთ პ. ჭარაიას საკმაოდ შესამჩნევი და საგულისხმო წვლილი შეუტანია ქართულთმცოდნეობისა და კერძოდ საენათმეცნიერო დარგში. ივ. ჯავახიშვილის მიერ აქ დასახელებულ პ. ჭარაიას ნაშრომში არა ერთი და ორი საყურადღებო აზრია გამოთქმული, რომელთაც თანამედროვე ვითარებაშიც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. აღნიშნული ნაშრომის პირველ კარში ავტორი ერთგვარ თეორიულ დასაბუთებას იძლევა მეგრული დიალექტის, (ასე უწოდებს ის მეგრულ ენას) ქართულთან ურთიერ-

თობის შესახებ, სადაც ის იშველიებს ამ სფეროში და ამ საგნის მკოდნე მეცნიერებისაც (გიულდენმეტერი, კლაპროთი, როზენი, უსლარი, ცაგარელი და სხვა). ზოგი მათგანის მოსაზრებას იგი, ცხადია, იზიარებს, მაგრამ ზოგსაც საკმაო დასაბუთებითაც აკრიტიკებს. მეორე ნაწილში კი მეტისმეტად ჭარბად მოყავს მეგრული ენის მდიდარი ლექსიკა, რომელიც ქართულ ენაშიც იმავე ფორმითა და ფონეტიკით არის დაცული ყოველდღიურ ხმარებაში (მაგალითად: ახალი, ასალი, ავშარა, ბორკილი, ბალიში, დეიდა და სხვა). რომელთა რიცხვი უთვალავია, მაგრამ მას მხოლოდ ნიმუშისათვის თითოეულ აღფაბეტზე რამდენიმე ათეული ამგვარი სიტყვა აქვს აკინძული. ამას მოსდევს გროვა ხმოვანგადანაცვლებული სიტყვებისა (ატამი—ატამა, წიწილი—წიწილა, მეფე—მაფა და სხვა) და შემდეგ მსგავსი, ან რამდენიმე ზედმეტად ასოჩართული სიტყვები (იმედი—იმენდი, ჩითი—ჩიხთი და ა. შ.)

შრომის მესამე კარში ავტორი ცდილობს მკითხველებს გააცნოს მეგრული ენის გრამატიკა და მისი მსგავსება და ახლონათესაური კავშირი ქართულ ენასთან. ამ მიზანს იგი ნაწილობრივ აღწევს.

ამგვარი მდიდარი მასალის დაგროვებისა და მისი მოხდენილი ილუსტრაციის შემდეგ ავტორი უფლებას აძლევს თავისთავს თქვას: „დღეს ქართულისაგან განსხვავებულის მეგრული სიტყვის თანაბარი პრაიზვიათად აღმოჩნდება ხოლმე ძველ ქართულში. ეს ასეც უნდა იყოს. ქართული ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ერთ წერტილზე არ შეჩერებულა... იგი დროთა განმავლობაში, განაგრძობს კვლავ ვტორი, — „სხვადასხვა, ახალ სიტყვებს ითვისებდა, ვითარდებოდა და როგორც ლიტერატურული ენა ბატონდებოდა, ხოლო პროვინციალური დიალექტები უფრო ინახავდნენ იმ ძველ სიტყვებს, რომლებიც ახლა იქ გვხვდებიან და ვითონ ქართულს არ გვანან, მაგრამ ნამდვილად კი ქართული სიტყვები არიანო. (მაგალითები მოყავს: ლარლონჯი—ბატი, ძვ. ქართ. ლერლეტი, ბულბული—მაფშალია, ფშალა—სვია (მცენ.). აფხაზურში: აყარმაწ-ს, რაც პირდაპირი თარგმანია მაფშალიასი, ან იაღონისა—ს. ც.).“

3. ჭარბიანს მოსაზრებით, მეგრული კილო ხშირად ნათელს ჰქვენს ბევრი სიტყვის ეტიმოლოგიას, ან კიდევ გვიხსნის ბევრ ბუნდოვან ადგილებსა და სიტყვებს ძველ ქართულ საერო თუ სასულიერო ძეგლებში. ამის მაგალითებიც ბლომად მოჰყავს ავტორს შრომის ამ ნაწილში. (მაგ. თთვე, თვე, თუთა) ის არ ეთანხმება აგრეთვე ცნობილ ქართველ ლექსიკოგრაფებს (სულხან-საბა ორბელიანი, დ. ჩუბინაშვილი) ზოგიერთ სიტყვათა განმარტებაში, რაც მეგრული ენის უეცილობით გამოწვეული ჰგონია და თვითნებურად განმარტავს.

ამ მხრივ საინტერესოა მისგან წარმოდგენილი განმარტება რუსთაველის მიერ ხმარებული სიტყვისა „მანგი“. ეს სიტყვა პ. ჭარბიას აზრით, არც მთავრეს ნიშნავს და არც მოელვარე მარგა-

ლიტს უდრის, როგორც ამას დღემდე განმარტავენ „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ლექსიკონის შემდგენელნი. არამედ იგი მეგრული სიტყვაა.

ავტორი მოიყვანს რა, „ვეფხისტყაოსნის“ იმ ადგილს, სადაც  
ეს სიტყვაა ნახმარი, განმარტავს, რომ შეიძლება ზოგიერთმა  
თქვას, რომ ამ შემთხვევაში პოეტიკა — ლიცენციასთან  
(poetica licentia) გვაქვს საქმე — ლექსის გამართვისა და რითმის  
სიღრულისათვის მოტახილ სიტყვასთახო... მაგრამ საქმეც ის არის,  
— აღნიშნავს ავტორი, — რომ რუსთაველი ლექსისათვის სინამ-  
დვილეს თავის დღეში არ უმბტყუნებს, მას შეიძლება სხვა რამე და-  
ეწუნოს — სიტყვებისა და რითმის შემოღლებას კი ვერ დაწვამებთ...  
ამიტომ, განაგრძობს იგი, „სულ უბრალოდ ამიხსნია, ჩემის აზრით“.  
„ვეფხისტყაოსნის“ მოხსენებელი ლექსი, თუ სიტყვა „მანგი“, რო-  
მელიც მეგრულ იმავე ფორმის მქონე სიტყვის სინონიმად ვალია-  
რეთ. მეგრული „მანგი“ პირდაპირ ნიშნავს: სწორი, თანასწორი,  
მოყვანილი, სიმეტრიული და სხვა. ამ მოსაზრებით გამოდის: ტანი  
ალეასავით, პირსახეც სწორე, ერთგვარი, მოყვანილი (წინააღმდეგ  
დაღმეჭილ, დაღრეჭილ მახინჯისა).. ამგვარი ახსნით ეს აზრები  
ერთმანეთსაც და შემდეგი შედარებასაც უკეთ ებმიან და სიტყვა  
„მანგი“ ადვილი ასახსნელი ხდება“.

ამ გადახვევის შემდეგ ავტორი კვლავ უბრუნდება თავის სა-  
განს,—მეგრული გრამატიკისა და შედარებითი ლექსიკონის ზოგად  
მიმოხილვას და საკმაო არგუმენტაციის შემდეგ დაასკვნის: „რაც  
ენის ლექსიკონისათვის ვთქვით, იგივე ითქმის გრამატიკულ კატე-  
გორიათა შესახებ, ქართულსა და მეგრულის გრამატიკულ მოვლე-  
ნათა შედარებიდან ჩანს ან მათი სრული იგივეობა, ან მცირედი  
განსხვავება“ (მოამბე, 1896, II).

1901 წელს პეტრე ჭარაიამ თავის ერთ სტატიაში („ქართული  
ენის შედარებითი ლექსიკონი“), კიდევ უფრო ახლებურად და  
მკვეთრად დასვა საკითხი ქართული ენის რომელიმე ჯგუფზე მი-  
კუთვნების შესახებ. იგი წერდა: „ქართული ენა ჯერ არ არის მეც-  
ნიერულად შესწავლილი და გამოკვლეული, ჯერაც ვერ დამტკიცე-  
ბულა თუ ენათა რომელ ჯგუფს ეკუთვნის იგი... ქართული ენა  
ზოგს მიაჩნდა ინდოგერმანული ნათესაობის ენად (ბოპი), ზოგსაც  
თურანული ოჯახის მონათესავე დაშორებულ ენად (მაქს მიულერი),  
ზოგსაც კიდევ მიაჩნია ქართული ენა და საზოგადოდ, კავკასიური  
ენები განცალკევებული მოდგმის ენად. რომელსაც არა აქვს არავი-  
თარი ნათესაური კავშირი არც ურალ-ალტაიურ და არც ინდო-  
გერმანულთან (უაგარელი); ზოგიც მიაწერს სემიტურ ენათა მოდგ-  
მას, ე. ი. იმ ენათა, რომელსაც ეკუთვნიან: სირიული, ქალდეური,  
ურული, არაბული, ეგვიპტური, (ეთიოპური)“... ამას დასძენს იმა-  
საც, თუ რა მოსაზრებისა ყოფილა მაშინ ნიკო მარის, რო-  
მელსაც პ. ჭარაიასთვის მიუწერია: „ჩემი შრომა დიდხანს დაი-  
ჯვინებს, მაგრამ იმედი მაქვს ბოლოს მაინც სემიტობას და სემი-  
ტურობას ქართული ენისას გაემარჯვებო“ („კვლეა“, 1901 წ. №28).

ნ. მარის ამ სიტყვებისათვის ჟურნალის რედაქციას ამგვარი საგულისხმო შენიშვნა გაუკეთებია: „ბ-ნი ნ. მარი საზოგადოდ ბაქია „მეცნიერია“. მან წინდაწინ იცის, რა დასკვნამდე მიიყვანს მას ჯერ კიდევ არ დაწყებული შრომა, 80-ან წლებშიც რიხით გვპირდებოდა ბრიტანეთის მუზეუმიდან ჩამოიტანდა „ვეფხისტყაოსნის“ იმ სპარსულ ორიგინალს, რომლიდანაც შოთა რუსთაველს უთარგმნია პოემო, მაგრამ ეს ჯერაც დაპირებულ რჩება, ვაი თუ ასეთი გამარჯვება მოელის ქართული ენის სემიტობასო“...

ეს შენიშვნა სავსებით გამართლდა. ქართული ენა არ გამოდგა სემიტურ ენათა ჯგუფის მონათესავე. იგი კავკასური ენების ოჯახს მიეკუთვნება. ეს ოჯახი კი პროფ. არნ. ჩიქობავას დაზუსტებით ოთხ ძირითად ჯგუფისაგან შედგება. ესენია: 1. ქართველური, 2. აფხაზურ-ადიღეური, 3. ქისტურ-ბაცბური და 4. დაღესტნური. ქართველურ ენებად კი მიჩნეულია: ქართული, ზანური (მეგრულ-ლაზური) და სვანური. მათ შორის სამწერლო ენა უძველეს დროიდანვე ნხოლოდ ქართულია (არნ. ჩიქობავა, „ზოგადი ენათმეცნიერება“, (გვ. 217, 1946 წ.).

რასაკვირველია პ. ჭარაიას ლინგვისტურ ძიებას ამ სიმალღემდე ვერ მიუღწევია, მაგრამ მისი ალლო მაინც საგულისხმოა იმ მხრივ, რომ ის თითქმის მიუახლოვდა იმ ჭეშმარიტებას, რომელიც უკანასკნელ ხანებში აკად. ივ. ჯავახიშვილმა და პროფ. არნ. ჩიქობავამ ჩამოაყალიბეს. პ. ჭარაიას ღვაწლი იმ მხრივაც არის აღსანიშნავი, რომ მან დიდძალი მასალა შესძინა ქართულ ენათმეცნიერებას, რისთვისაც მას პატივისცემით იხსენიებენ ცნობილი მეცნიერები. მაგალითად პროფ. ვ. თოფურია სვანური ენის განსაზღვრის დროს აღნიშნავს: „სვანურად ენა რომ ნარევი ტიპის ენა იყო და მასში ზანური და აფხაზურ-ადიღეური ელემენტებზე მოიპოვებოდა. ეს აღნიშნული ჰქონდა პ. ჭარაიასა და სხვებსო“. (კრებული „ს. ჯანაშია“ გვ. 97.).

უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა ქართველი ლინგვისტი ნიკ. ჭორჯიკია თავის შრომაში კავკასური ენების შესახებ, ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს პ. ჭარაიას ნაშრომს „Об отношении афхазского языка к яфетическим, რომელიც 1912 წ. პეტერ-ბურგში იყო გამოცემული. („განათლება“, № 7, 1913 წ.).

ასევე პატივისცემით იხსენიებს პ. ჭარაიას კრებულის—„მეგრულ-ივრული ენის“ ავტორი შ. ბერიძე თავისი ნაშრომის შესავალში რამდენიმე ადგილას. ყველაფერი ეს იმის მლალადებელია, თუ რამდენად შესამჩნევი წვლილი შეუტანია პ. ჭარაიას, სოფლის ამ უბრალო მასწავლებელს, ქართული კულტურის საგანძურში, როგორც ენის მკვლევარსა და ლექსიკოლოგს.

მართლაც, მარტო ამგვარი სტატიებითა და გამოკვლევებითაც არ ამოწურულა პ. ჭარაიას სურვილი და ენერგიული შრომა მისი კალმის ასპარეზობის ამ უბანზე. მან საჭიროდ მიიჩნია მეგრულ-ქართულისა და ქართულ-მეგრული ვრცელი ლექსიკონების შედგე-



ნა. საქმესაც თვითონვე შეუდგა და მთელი ათეული წლების განმავლობაში აგროვებდა მისთვის საჭირო მასალას მთელ სამურზაყანო-სამეგრელოში სხვადასხვა მეგობარ-მასწავლებელთა და ამ საქმეში დაინტერესებულ პირთა ჩაბმითა და დახმარებით.

ჯერ ისევ შავების სახით დამუშავებული ლექსიკონი პეტრემ წარუდგინა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას, რომ ამ უკანასკნელს წარმოდგენა ჰქონოდა მის ღირსება-ნაკლოვანებაზე და მის საჭიროებაზედაც სათანადოდ ემსჯელა.

თუ როგორი შთაბეჭდილება მიიღო მისგან და რა შეხედულებასაც იყო მასზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ანის შესახებ გაზეთ „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის № 254-ში გვითხვლობთ: „ამას წინათ ვწერდით, რომ უგანათლებულეს თავად გრიგოლ დადიანის\* პრემიის (400 მან.) მისაღებად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას ბ-ნმა პეტრე ქარაიამ თავისი თხზულება „ქართულ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი“ წარუდგინა. იმ კითხვის გადასაწყვეტად, მიეცეს თუ არა ეს პრემია ბ-ნს ქარაიას, 10 მარტს კრება ჰქონდა საგანგებო საპრემიო კომიტეტს ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. კომიტეტის წევრთაგან კრებას დაესწრნენ: მოსე ჯანაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ს. გორგაძე, ალ. ყიფშიძე და დავით კარიჭაშვილი, კომიტეტმა პირველად მოისმინა წ-კითხვის მთავარ გამგეობასთან შემდგარ ფილოლოგიური კომისიის წერილობითი აზრი ამ თხზულების შესახებ და შემდეგ წერილობითი აზრი შემდეგი პირებისა: ექვ. თაყაიშვილის, ი. აბულაძის, მ. ჯანაშვილისა და ი. ვართაგავასი. კომიტეტმა თათბირისა და კამათის შემდეგ დაადგინა: მიეცეს პეტრე ქარაიას გრიგოლ დადიანის სახელობის პრემია 400 მანეთი. ამასთანავე გამოსთქვა სურვილი, რომ პეტრე ქარაიამ თავისი თხზულება დაამთავროს“.

ამგვარმა წარმატებამ პეტრეს კიდევ უფრო გაუდიდა პასუხისმგებლობის გრძნობა და გაუორკეცა ხალისი საყვარელი საქმისადმი. 1911 წლის 12 აპრილს ის თავის მეგობარს მასწავლებელ არსენ ხვინგიას ამის შესახებ სწერდა:

„მართალია, როგორც თქვენც მილოცაეთ. პრემია კი დამენიშნა ჩემს მიერ დაწყებულ და ჯერ დაუბოლოვებულ შრომისათვის, მაგრამ ბევრად არ გამხარებია, რადგან მთელი წელიწადი ერთი ასო, მანი გავიარე, მხოლოდ დღეს 5 დავიწყე. ჯერ გაზეთის ცნობის გარდა არაფერი შემიტყვია... ეს ერთი კი უნდა მოგახსენო ამ თავითვე: თუ სიღარიბემ არ გამგუდა ფულის აღებას სულაც არ ვფიქრობ, სანამ შავად მაინც არ გათავდება შრომა. საჭირო

\* ამ პრემიის გაცემის წესდება იხ. გაზეთ „ივერიის“ 1908 წ. № 72-ში დამატებითი გვერდის საბით.

წიგნების გამოწერას კი ვფიქრობ ამ თავიდან. ჩემი შრომის ნაყოფიანება სხვებზე უკეთ მე შესმის და იგარც იყო ღირსი პრემიისა მაგრამ, ჯერ ერთი, უკეთესი სულ არ არის და რუსული. ანდაზის არ იყოს, — უთევზობაში კიბოც კი თევზიაო; მეორე, ჩემს წინანდელს სახელსა და მდგომარეობასაც მიხედეს და ამიტომ დამინიშნეს. ალბად; ასეთ ნდობა (იმედი აქვთ, რომ მაგ შრომას დავამთავრებ) და პატივწერა-კითხვის საზოგადოებისა მე, რასაკვირველია, ბოროტად არ უნდა მოვიხმარო. ვეცდები თქვენის დახმარებით საქმე წინ წაიყვანო. ჩემთვის ამ შრომის გასაგრძელებლად მეტად მოსახერხებელი აღგილი იყო „ჩეგვალა“, რადგან იქ, როგორც ამბობენ, საუკეთესო მეგრელობა იყრის თავს ზაფხულობით... ამაებზე შემდეგ მოვილაპარაკებთ ან სიტყვით, ან წერილით. ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ“... (საქ. სახ. განათლ. მუზეუმი № 2598).

შემდეგ წელს ისინი, მართლაც გაემგზავრენ „ჩეგვალაში“ (თეთრი მთა), სადაც ორი თვე დაჰყვეს და ნაყოფიერი მუშაობაც ჩაატარეს ლექსიკონის შევსება—დამთავრებისათვის (იქვე). ეს უზარმაზარი 4-ტომიანი შრომა ჯერ შავად დაწერილ-დამუშავებული, შემდეგ გადათეთრებულ იქნა ლამაზი, სუფთა და გარკვეულ ხელით. ამ დამუშავება-გადაწერაში ბოლომდე ეხმარებოდა, უკვე დაავადმყოფებულ და საკმაოდ დასუსტებულ პეტრე ჭარაიას, მისგან ამ საქმისათვის საიმედოდ შერჩეული არსენ ხვინგია, რომელსაც, მართლაც, არ უღალატნია გულისხმიერი მეგობრისათვის.

პეტრეს მალე დამბლამ წაართვა მარჯვენა ხელი და ფეხი. ასე რომ ესეც საპატრონო და მოსავლელი გაუხდა მის მეგობარს, რომელიც თბილისშიც კი ახლდა ნევროპათოლოგ მ. გედევანიშვილის საავადმყოფოში მწოლიარე პეტრეს. ხოლო უკვე დამთავრებულ-გადათეთრებულ ტექსტი აღნიშნული ლექსიკონისა იმ ხანებში გადაუციათ წერა-კითხვის საზოგადოებისათვის. როგორც ა. ხვინგია გადმოგვცემს, ის პირადად შიო არაგვისპირელს ჩაუბარებია; ხოლო მისი შავები, დიდი ხნის შემდეგ ავტორის გარდაცვალებისა, გადაუციათ ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის.

სამწუხაროდ, ამ მეტად საჭირო და მრავალმხრივ მნიშვნელოვან ლექსიკონს, იმ პერიოდში წამოჭრილ სხვადასხვა მიზეზთა გამო, გამოცემა არ ჰღირსებია. ამ მხრივ არც ზუგდიდის მუზეუმსა და არც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, სადაც დაცულია ამჟამად სრული შეესებული და თეთრი ეგზემპლარები ამ ლექსიკონისა, არავითარი ნაბიჯი არც შემდგომ გადაუდგამთ და მგონი, არც კი შეუსწავლიათ და გაუცენიათ იგი. ამგვარი ბედი ეწია პეტრე ჭარაიას შრომას, რომლის ღირსება და მნიშვნელობა, ვფიქრობ, არც დღევანდელ ეტაპზე იქნება საგრძნობლად შემცი-რებული.

პეტრე ჭარაია — მთარგმნელიც უმთავრესად საენათმეცნიე-

რო დარგის მუშაკია. როგორც გერმანული ენის მცოდნემ მან პირველად 1889 წელს გადმოთარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა ავგუსტ შლაიხერის „დარვინის თეორია და ენათმეცნიერება“, რომელიც წარმოადგენს იენის უნივერსიტეტის ზოოლოგიის პროფესორისა და ზოოლოგიური მუზეუმის დირექტორის ერნს ჰეკელისადმი მიწერილ ლია წერილს.

მანვე თარგმნა აგრეთვე გერმანულიდან და 1896 წლის ეურნალ „კვალის“ (34, 35, 36 და 37) ფურცლებზე დაბეჭდა გ. ს. ზეემანის შრომა „ენის წარმოდგომაზე“ (Über den Ursprung der Sprachen), რომელსაც არც კი შეეტყობა რომ ის ნათარგმნია და არა ორიგინალი, იმდენად კარგი და მოქნილი ქართული ენით არის გამართული. რასაკვირველია, ნაშრომს თავის დროზე მნიშვნელობაც ექნებოდა. და შესაფერი როლიც დაკისრებული. სულ სხვაა, თუ რამდენად მისაღებია ენათმეცნიერების თანამედროვე ეტაპზე ზეემანის მოსაზრებანი, ან იქ მოყვანილი ფაქტები ღირსია თუ არა ნდობისა. თუ რომელ ენაზე ლაპარაკობდა პირველი ადამიანი, ამის გამოსარკვევად ვფიქრობთ არ კმარა მართო ის, რომ ახალდაბადებული ყრმა ტყეში უკაცოდ და უპატრონოდ დავტოვოთ. ვინმე ხეპრე მწყემსის ამარა, რომელსაც დავალებული ექნება ბავშვთან არავითარ შემთხვევაში არ დაილაპარაკოს, მას მხოლოდ თხის ძუძუ აწოვოს და მუდამ პირუტყვეებში იყოს, ვიდრე თავისთავად ენას არ ამოიდგამდეს და მართლაც ბავშვმა, რომელსაც ყველა ეს პირობა შეუსრულეს თურმე, ორი წლის შემდეგ დაბადებისა და ტყეში უკაცურად ყოფნისა, პირველად მწყემსთან შეხვედრის დროს წამოიძახა Bekos, რაც თურმე პურს ნიშნავდა ფრიგიულ ენაზე.

ცხადია. ზეემანი ჰსამეტიხის ამ ცდებს არ იზიარებს და არც მის მთარგმნელს გაუზიარებდა იგი. მთარგმნელის ინტერესი უფრო ის იყო, რომ მას ქართველი საზოგადოებისათვის გაეცნო იმდროინდელი მოწინავე აზრები ენის წარმოშობის, განვითარებისა და მისი შესწავლის სფეროდან, ამას კი ის შედარებით მაინც აღწევდა, როგორც ეს ზემოთაც დავინახეთ.

თანამედროვე ეტაპზე ფილოლოგიის მწვერვალებიდან გადახედვა, შესაძლებელია, პეტრე ჭარაიას მიერ ამ უბანზე გულდაგულ გაწეულ შრომას. როგორც ზემოთაც აღვნიშნავთ. დაბლობად კი არა, კიდევ უფრო დაბინდულ ჰალაკად მოგვაჩვენებს, მაგრამ ამით ეს შრომა უსარგებლო, ან უმნიშვნელო როდია; ალბათ ამგვარ შემთხვევისა გამო მიუძმართავს გენიალური ინტუიციის პოეტს თავისი „თაეჩაჩქნიანი“ მთისათვის:

საფუძვლად, მთაო, ბარი გვაქვს.  
იცოდე ტალახიანი.

## V

### პ. ჭარაია—ლიტერატურის კრიტიკოსი, გაზეთების კორესპონდენტი. მისი ლიტერატურული შეხედულებანი. საზრუნავი საკითხები. ლიტერატურული მემკვიდრეობა. დასკვნა

იონა მეუნარგია მისგან შედგენილ გრიგოლ დადიანის (მწერლობაში კოლხიდელი) ცხოვრების აღწერაში (ჯერ დაუბეჭდავი—დაცულია ზუგდიდის მუზეუმში) წერდა: „ის (კოლხიდელი) არ არის, არც დიდი მწერალი, არც დიდი ისტორიული პირი, რომლის ბიოგრაფიას საზოგადოება წიგნთ-საცავებში კითხულობდეს, რომლის თავგადასავალი საჯარო მოთხოვნებსა შეადგენდეს, როგორც ჩვენი დროებისათვის, ისე მომავლისათვის. ამ ტანის კაცებზე საზოგადოება ნამსახურებით სიას კითხულობს, სანამ ცოცხალია და ნეკროლოგს, რა რომ მოკვდება. ბიოგრაფია ეკუთვნის მხოლოდ განსხვავებულ პირთ, რომელთაც განსაკუთრებული სამსახური გაუწიეს მამულს, მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას“...

ეს სიტყვები აქ იმიტომ მომაგონდა, რომ შეიძლება ვინმემ იკადროს და სთქვას (ამგვარი უარყოფელიც მოიპოვებია), რომ პეტრე ჭარაიას, სოფლის ერთ უბრალო მასწავლებელს, აბა იმდენი ჯა შეუტანია ქართული კულტურის საგანძურში, იმდენი რა გაუკეთებია საზოგადოებრივ და სამწერლო სარბიელზე, რომ მასზე მონოგრაფია დაიწეროს და მისი ცხოვრების აღწერა დაგვიკვირდესო. მათს უმართებულო განსჯას კვლავ მეუნარგიასებურად უნდა ვუპასუხოთ: „თქვე კურთხეულის შვილებო“, თქვენც იმდენი და იმგვარი მნიშვნელობისა და ღირებულების რამ შექქმენით და მიეცით თქვენს დროს, რამდენიც ჭარაიამ თავის დროს გადაუხადა და მაშინ იგრძნობთ, თუ როგორი მოგონების ღირსი ყოფილა ეს სოფლის მასწავლებელი.

სოფლის მასწავლებლის ხსენებაზე, თქვენ, ალბათ, თვალწინ წარმოგიდგებათ დიდი ლენინის სიტყვები, სადაც ის აღნიშნავდა: „სახალხო მასწავლებლები შიმშილობენ და იყინებიან ქოხებში, რომლებიც არ თბება და თითქმის საცხოვრებელი არც კია. სახალხო მასწავლებლები ცხოვრობენ საქონელთან ერთად, რომელთაც გლეხები ზამთრობით ქოხებში ერეკებიან. სახალხო მასწავლებელს სდევნის ყოველი იასაული, სოფლის ყოველი შავრაზმელი, ანდა მოხალისე ოხრანიკი ან ჯაშუში, რომ არაფერი ეთქვათ

მთავრობის მხრით დევნასა და შევიწროებაზე“ (ვ. ლენინი, სახალხო განათლების შესახებ, 1936 წ. გვ. 100).

ექვი არ არის, მეფის რუსეთის სინამდვილედან აღებული ეს ფაქტი ნაწილობრივ, და შეიძლება ზოგჯერ უფრო მწვავედაც, საქართველოს სოფლებშიაც პოულობდა თავშესაფარს სწორედ პ. ჯარაიას მოღვაწეობის პერიოდში, მაგრამ, როგორც დავინახეთ, პ. ჯარაია არასოდეს არ მდგარა მასწავლებელთა იმ რიგებში, რომელნიც მონური მორჩილებით ასრულებდნენ ყოველ ზემოხსენებულ ნიხელეთა ბრძანებას და მეფის სურათის ყოველ შეხედვაზე პირჯვარს იწერდნენ; იგი არ მდგარა არც იმ „წინ წამოწეულ“ მასწავლებელთა რიგებში, რომელთა უპირველესი და თავმოსაწონი საქმიანობა მხოლოდ სასწავლო ოლქის ყოველგვარი ცირკულარებისა და „უქაზების“ გულმოდგინედ შესრულება იყო. არა, პ. ჯარაია თავისი პრაქტიკული საქმიანობით, მქბრძოლბა ხასიათით, ნიჭიერი და თხიან კალმის მომარჯვებით თავიდანვე ჩადგა ქართველ მოღვაწეთა და პუბლიცისტ-მწერალთა იმ რიგებში, რომელთა გადავიწყება ჩვენი კულტურისა და აზროვნების ისტორიას არ შეუძლია და, მასასადამე, არც პ. ჯარაიას დავიწყება შეიძლება. ამ მხრივ მრავალი საბუთი მოგვეპოება.

ერთ საბუთად ისიც კმარა, რომ მას, დღიდან საპედაგოგო ასპარეზზე გამოსვლისა, არც ერთხელ მოუხრია ქედი იასაულ ოხრანებისა და სხვა ჯურის შავრაზმელთა წინაშე.

პეტრე ჯარაიას ცხოვრების ერთ-ერთი კარგად მცნობის ზოგონების მიხედვით. მას მეფის ჩინოვნიკები საშინლად სძულდა. კოდორის უბნის უფროსს ვინმე ლისოვსკის, რომელიც განთქმული იყო თავისი მხეცური სისასტიკით, უზრდელობითა და შეუბრალებლობით, პეტრემ გზაზე შეხვედრისას სალამი არ მისცა. «Спросите! Откуда едут? — миаყვირა მან თავის მხლებელთა. — С Гупы, едем в Зугдиды. — მიაძახა უკან დარჩენილ მოხელეს პეტრემ და თავის წაბლა ცხენს მათრახი აუქნია. (საქ. სახ. გან. მუხ. 2598).

ასეთივე მოურიდებელი იყო მისი კალამიც. პრესაში დავიკვესებდა მისი ხმა, თუ რომელიმე უმაღლეს ორგანოთა კანცელარიებში. ერთხელ მან ეპარქიის სასწავლო საბჭოს რაღაც საქმიანი ქაღალდი გაუგზავნა სახალხო განათლების საკითხებზე. იქ, ალბათ, მხილებული იყო მეტად არასასიამოვნო აქტები, რის შესახებ თურმე ნათქვამი ჰქონდა მოხსენებაში: „Прекрасно известно было училищному совету“ და სხვა... ამის გამო საბჭომ უსაყვედურა და ახსნა-განმარტებაც მოსთხოვა თუ რისთვის დასწერა ეს прекрасно известно, პეტრემ კი სულ მოკლედ განუმარტა: *Это случилось от неосторожности пера.* (იქვე).

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ პეტრეს კალამს არც სიფრთხილე აკლდა დროსთან შესაფერი და არც აზრის სიმახვილე და მიხვედრილობა. ამავე დროს ის ხშირად ყოველდღიურ საქიზბოროტო საკითხების მამხილებელ წერილებსაც სცილდებოდა და

სწავლეულობის სფეროშიც იჭრებოდა. ამის ნიშნები IV თავში საკმაოდ მოიპოვება. მაგრამ პეტრე არც ამ სფეროთი შემოფარგლულა. მას იმდენი ძალა აღმოაჩნდა, რომ ლიტერატურაშიც შეეტანათავისი წვლილი, თავისი ცოდნისა და მომზადების შესაძლებლობის მიხედვით აქაც გაეგლო შესამჩნევი კვალი.

პეტრე ჭარაიას თავიდანვე აინტერესებდა მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება, პოეზია და მხატვრობა. როგორც ზემოდაც: აღვნიშნეთ, ის ყოველთვის ბევრს კითხულობდა და იძულებულს-ჰყოფდა სხვებსაც ეკითხათ, ესწავლათ და დაუფლებოდნენ მშობლიურ ენასა და მწერლობას. მას ერთგვარი აზრა ჰქონდა შემუშავებული ხელოვნებაზე, პოეზიაზე. ეს მოსაზრება, ცხადია, არც იმდენად ორიგინალურია, ის საერთოდ მიღებულია, კულტურული კაცობრიობის მოწინავე აზროვნებიდან გამომდინარე, მაგრამ საქმე ისაა, რომ პეტრეს ამ დებულებიან თავისებური დაცვა და პოპულარიზაცია დასჭირდა. იყო ამგვარი შემთხვევა და ჩვენც აქედან გვსურს ამ განყოფილების დაწყება, რომ უფრო თანმიმდევრული გამოვიდეს ამ მხრივაც პ. ჭარაიას გაცნობა.

1897 წ. მ. ი. სალარაძემ ქ. ქუთაისში გამოსცა თავისი საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი „ჩვენი ახალი თაობა“, რომელიც ერთგვარი კრიტიკული მიმოხილვა იყო ახალი ქართული მწერლობისა. ამავე ავტორს უფრო ადრეც (1896 წ.) ჰქონდა გამოცემული ნარკვევი სათაურით „უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა“. სადაც ავტორი ლიტერატურის კრიტიკოსის ერთგვარ პრეტენზიებსაც კი აცხადებდა და საკუთარ თეორიულ დებულებათა ჩამოყალიბებასაც ცდილობდა.

პეტრე ჭარაიამ ორივე ეს ნაშრომი და განსაკუთრებით, პირველად აქ დასახელებული, საფუძვლიანად გაარჩია ჟურნალ „მომავალში“ (1897 წ. XII). მისი გამოცემა 1897 წ. დაბეჭდილ ქართულ წიგნებს შორის მნიშვნელოვან პოვლენად მიიჩნია და წიგნის მრავალ დადებით მხარეზეც მიუთითა, თუმცა მთელ რიგ მოსაზრებებში ავტორს ვერ დაეთანხმა.

დასახელებული შრომის ავტორის დებულება, რომ ხელოვნებას „მდაბალი ხარისხის ადგილი უჭირავს აზრის საზოგადო მიმდინარეობაში“ პ. ჭარაიამ საკმაოდ დამაჭერებელი ფაქტებისა და ავტორიტეტების დამოწმებით, არ გაიზიარა. პირიქით, ის აღნიშნავდა, რომ „სანამ აღამიანის სულს შერჩება დღევანდელი თვისება, პოეზია—ხელოვნება არასოდეს არ დაჰკარგავს თავის დიდს ძალასა და მნიშვნელობას კაცობრიობისათვის... კემმარტი ხელოვნება, — განაგრძობდა ჭარაია, — აღამალლებს გონებას, ასპეტაკებს გრძნობას, უნერგავს აღამიანს ლტოლვილებს კეთილისადმი და ზიზლსა და სიძულვილს ბოროტებისადმი, ხელოვნება გამხეცებულ ბუნებას აღამიანისას აკეთილშობილებს... ამიტომ მთლად მნიშვნელობას მოკლებული არ არის ბერძნული მითი ორფეოსი, რომელიც თავისი სიმღერით მხეცებს აწყყნარებდა... საამო და გამშვენებული სიტყვის ძლიერებას, ჩვენ ქართული ანდაზაც გვაგონებს: „გველსა ხერელით

ამოიყვანს ენა ტკბილი მოუბარი“. რუთაველის აზრით, „შირობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი“... („მოამბე“, 1897 წ. XII).

როგორც ვხედავთ ეს მოსაზრება ნაცნობია, ყველასათვის გასაგები და მისაღები, თუმცა იყვებნ და, ალბათ, ახლაც არიან მომზრენი „წმინდა ხელოვნებისა“, მომხრენი ლოზუნგისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, მაგრამ ჩვენი ავტორი, რომელიც აღზრდილი იყო ქართულ მწერლობაში უკვე საბოლოოდ განმტკიცებულ ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილ ლიტერატურულ ტრადიციებზე, უარყოფს ამ ყალბ შეხედულებას — ხელოვნება თავისთავადობას, მაგრამ არ უარყოფს ფორმას, გარეგან სიმშვენიერესა და მიმზიდველობას. „ხელოვნურ ნაწარმოებს, — წერს ის, — მხოლოდ მაშინ აქვს განმაკეთილშობილებელი მნიშვნელობა, როცა იგი შეიცავს ქემპარიტებას და ემსახურება მაღალ საქმეს“...

ამ მოსაზრების სისწორეში ის აჯერებს მკითხველს მრავალი მონდენილი ფაქტისა და ლ. ობოლენსკის სიტყვების დამოწმებით, შექსპირის დრამების მაგალითებით და ლერმონტოვის სახელგანთქმული ლექსის „წინასწარმეტყველის“ გარჩევით; აქვეა დასახელებული გრიგოლ ორბელიანის ლექსი „კავკასიონის მთები“, როგორც ნიმუში ხელოვნების უკვდავებისა. ამგვარი სალი მსჯელობისა და საკითხების მკაფიოდ გაშუქების შემდეგ, წინააღმდეგ სარეცენზიო შრომაში გავრცობილი დებულებისა, იგი დაასკვნის: „რამდენად ხელოვნურ ნაწარმოებში მეტი სიმშვენიერება, მეტი მხატვრული სიმართლე, მეტი სულის სიძალე... იმდენად მეტი მნიშვნელობაც ექნება მას. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრზე, — აღნიშნავს ავტორი — ვითომ ხელოვნებამ განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მიექციოს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას“.

ცოტა უფრო ადრე პეტრე ჭარაია, თავის ერთ-ერთ ლიტერატურულ ეტიუდში წერდა, რომ: „პოეტი ზეცით მოვლენილი არსება არ არის, არამედ ზორცმესხული ძეა მიწისა. ამიტომ ის, რაც უნდა იყოს ვერ მოწყდება ამ ჩვენს სიავ-კარგით სავსე ქვეყანას, ვერ შესძლებს არ განდეს ზიარი ადამიანთა ყოველდღიური ჭირ-ვარამისა. ასე რომ არ იყოს პოეზიას მნიშვნელობა დაეკარგებოდა, მაშინ პოეზია ცუდ კაცთა და უქმ ადამიანთა შესაქცევარი იქნებოდა“ („ივერია“, 1892 წ. № 240).

განმარტავს რა მხატვრული ნაწარმოების ღირსებებს, მნიშვნელობასა და გავლენას ადამიანებზე, ავტორი იქვე დაასკვნის, რომ „ყოველ პოეტურ ნაწარმოებს, გარდა ხელოვნური (ე. ი. მხატვრული — ს. ც.) სიკეთისა, უნდა მოეძებნებოდეს კეთილგონიერი შინაარსი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ მოთხოვნილებას ერისას, მის ისტორიულ მდგომარეობას“.

ბ. ჭარაია კატეგორიულად უარყოფს აგრეთვე იმ დებულებასაც, ვითომ, ოდესმე მეცნიერება მიადრწევს იმ წარმატებას, განვითარების იმ სიმაღლესა და გავრცელებულობას, რომ ხელოვნებას სავსებით განდევნის ადამიანთა შეგნებიდან. პირიქით, ის დამაჯერებე-

ლი მასალითა და ისტორიული ფაქტებით ასაბუთებს, რომ მეცნიერება ნაც უფრო განვითარდება, წინ წავა და დიდ სიმაღლეებს დაიპყრობს, იმდენად უფრო მეტი სარბიელი მიეცემა ხელოვნებასო.

ჩვენ აქ მეტად არ გავაგრძელებთ პ. ჭარაიას მოსაზრებათა ილუსტრაციას ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ. მით უფრო, ის ახალს არას ამბობს გარდა იმისა, რაც კულტურული კაცობრიობის ჭანსად ნაწილს შეუმუქავებია, მაგრამ „ჩვენ მათიკა გვიამების“, რაკი ჩვენი ავტორი ამ ჭანსად და სწორ ნიადაგზე დვას, როგორც გუშაგი და ერთგული დამცველი ხელოვნების მნიშვნელობისა ხალხისათვის. განა ამის ნათელი და ქეშმარიტი დადასტურება არ არის ლენინის სიტყვები: „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულში უნდა მიდიოდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის, იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას და ალაგზნებდეს მათ“... („ლენინი ლიტერატურის შესახებ“, გვ. 223).

დასახელებული კრიტიკული სტატიის დასასრულს, პ. ჭარაია მართებულად არ ეთანხმება სარეკენზიო შრომის ავტორს დუტუ მეგრელის შეფასებაში, რომ ეს მწერალი ვითომ არ ყოფილიყოს დაჯილდოებული პოეტური და ბელეტრისტული ნიჭით. პ. ჭარაიას უკვირს აგრეთვე თუ რატომ არ სცნო ყურადღების ღირსად მ. სალარაძემ ისეთი ნიჭიერი მხატვარი, როგორც შიო არაგვისპირელი იყო. „თუ კი სალარაძე, — აღნიშნავს ჭარაია. — გარეგნულ ფორმას ეგზომ დიდ მნიშვნელობას აძლევს, არაგვისპირელი ხომ აქ ძლიერი იყოო“...

პ. ჭარაიას ამ მოსაზრების ცოცხალი ილუსტრაცია თვით მისივე კრიტიკული ნარკვევებია. 1891 წლის გაზეთ „ივერიის“ (№ 259 — 262) ფურცლებზე მან პირველად და საკმაოდ საფუძვლიანად გააჩნია, გიორგი წერეთლის ახალი რომანი „პირველი ნაბიჯი“. კრიტიკოსი ამ მნიშვნელოვანი თხზულების როგორც პირველი შემფასებელი, დაწვერულებით ეხება რომანის ავკარგიანობას, რომელსაც ის დიდ ხელოვნურ ნაწარმოებად თვლის. მისი აზრით „პირველი ნაბიჯი“ „არსებული დროის რეალისტურად ამსახველი დიდი ტილოა“; მაგრამ ამავე დროს ის მთელ რიგ ნაკლოვანებებსაც უჩვენებს მასში: პირველ რიგში მხატვრულ სისუსტეს, ენობრივ დაუხვეწაობას, სიუჟეტის დაუზუსტებლობასა და ზოგიერთი გამირის დახასიათების არასისრულით გამოკვეთას.

„...ამ ჩვენს დროს, — დასძენს ავტორი, — როდესაც „ამორღია — გამშორღიობის“ ხმა ყოველი მხრით გაისმის, მცირე და უბრალო რაიმეც საქმარისია, რომ ჩვენმა, ვითომ მოკეთებმა, ხელზე დაიხვიონ ესა და რწყილს აქლემი ამოზინონ. ამიტომ ურიგო არ იქნება, დაასკვნის იგი, ჩვენი მწერლობით და მწერლობაში არავის არაფერ საბაბს არ მივცემდეთ და ყოველი ჩვენი „ნაბიჯი“, პირველია ის თუ უკანასკნელი, მეტად გამაზნავარიშებული იყოსო“...



აქ პ. ჭარია მეტად დიხვ, ფრთხილ და დაკვირვებულ პუბლიცისტად გვევლინება. აღნიშნულ ნაკლთა გამოკლებით. ამ რეზუმანის დაბეჭდვა „თქმა არ უნდა, დიდი განძია და შესამჩნევი შემატება ჩვენი ლიტერატურისათვის“. (იქვე).

1892 წლის გაზეთ „ივერიაში“ (240, 243, 245, 246) პ. ჭარიამ აგრეთვე საკმაო ვრცლად, გაარჩია ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილი მელახიას (ნ. ნათიძის) მოთხრობა „ბნელო“. ეს მოთხრობა კრიტიკოსმა შეადარა ეგნ. ნინოშვილის გაცილებით უფრო მაღალმზრტვული ღირსებებით შემკულ მოთხრობა „სიმონას“, რომელიც „ბნელოზე“ უფრო გვიან დაიწერა და გამოქვეყნდა. მათ შორის პარალელების გავლებისა და მსგავსი ხაზების გამოვლინების შემდეგ კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ ამგვარი მსგავსებანი ამ „მოთხრობებს შორის იმიტომ კი არ გვიპოვნია, რომ რომელიმე მათგანი ავამაღლოთ ან დავამციროთო. არა, მართალია, „სიმონა“, „ბნელოზე“ უფრო გვიან დაიწერა, მაგრამ ის, უეჭველად დამოუკიდებლად არის შექმნილი და არა „ბნელოს“ წაბადვით („ივერია“, 1892 წ. № 240).

ამგვარი შესავლისა და მოთხრობის ფაბულის მიმოხილვის შემდეგ ის მოთხველს აცნობს ამ მოთხრობის შინაარსს. მისი დაწერის ეპოქას — თავად-აზნაურთა და გლეხთა ურთიერთობას და განსაკუთრებით ხაზს უსვამს ჩვენი ქვეყნის გლეხების სოციალურ და ეკონომიურ პირობებს იმ პერიოდში და დამარწმუნებელი ფაქტების მოყვანის შემდეგ ასკვნის: ... შინაარსი მოთხრობისა არა თუ ქვეშარიტი და დროს შესაფერია, არამედ ნამდვილი ასლია დღევანდელი სოფლისა. ... ეგ შინაარსი საკმაოდ ცხოველი და ზედმიწევნით დახატული სურათია დღევანდელი გლეხკაცის ჭირვარამისა. ამ მხრით მოთხრობას კილი არა აქვსო“. — დასძენს კრიტიკოსი და მართალიც არის. „უსინდისო მოხელე — ერია ის თუ მღვდელი, გზადანეული ნაბატონარი და „სათოკე ჩარჩ-ვაჭარი“ — თითოეული ცალცალკე, ანუ ყველანი ერთად—აი, რა აწუხებს და ჰლუპავს პატროსან ოფლის მღვრელ დღევანდელ გლეხს“, რომელსაც ამ მოთხრობაში მთავარი ადგილი აქვს დათმობილი და, რომლის მხარეზეც არის ავტორის მთელი სიმპათია. როგორც ამას ხაზს უსვამს ჩვენი კრიტიკოსი.

პ. ჭარია ამ მოთხრობის გარჩევის დროს დიდად შთაგონებულია და გულწრფელად კეთილის მსურველი. როგორც გლეხთა მიმართ, აგრეთვე თავად-აზნაურთათვისაც. მისმა პუბლიცისტურმა შეცდომამაც სწორედ აქვე იჩინა თავი მით, რომ მას შესაძლებლად მიიჩნია: „ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, თავად-აზნაურობას, რომ მეტი ჰკუა და შორსმჭვრეტელობა გამოეჩინა, გარჯა და შრომა კეთილშობილების ღირსების დაქამცირებელ ხელობად არ მიუჩნია და დროსტარება ცოტათი მაინც დაეშალა... დიდმაძულიანებს მცარეოდენა ნაწილი გლეხებისათვის მიეყიდნენ ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდევინებით და სხვ.—მაშინ იმათი საქმე უკეთ წავიდოდაო“.

აქ ჩვენს პუბლიცისტს ავიწყდება, რომ ამგვარი ჰუმანიურობა

და შორსმკვრეტელობა იმ კლასისა, საუკუნეების მანძილზე შექმნილ გაბატონებულ ბუნებიდან არ გამომდინარეობდა, ხოლო განათლებისა და მეცნიერული თვითშემეცნების ნიადაგიდან ნაადრევად აფრენილი თითო-ოროლა მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა.

მაგრამ ის, როგორც კრიტიკოსი მხატვრული თხზულებისა, დავკირვების საკმაო უნარს, ანალიზის შესაძლებლობასა და გემოვნების დახვეწილობას ამჟღავნებს.

„იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს მოთხრობას, — წერს იგი „ბნელოს“ შესახებ, — ნამდვილი და მეტად სიმპათიურია, მაგრამ საქმე მოთხრობის მართო დედაზრი და სიუჟეტი როდია, არამედ მისი კოლორიტიც, საქმე მართო ჩონჩხი კი არ არის მოთხრობისა, არამედ მისი გახსნა-გაშლა, ხორც-შესხმა და გასულდგმულებაა, ხელოვნების სულის შთაბერვით. ამ მხრით მოთხრობა „ბნელო“: — განაგრძობს კრიტიკოსი, — თითქოს ცოტას მოიკოკლებს“ (იქვე, 245).

პ. ჭარაია სამართლიანად უწუნებს „ბნელოს“ ავტორს სიუჟეტურად მტკიცედ შეუკვრელობას. ზოგჯერ სქემატიზმამდე დასულ მსჯელობას, რომელიც მკითხველზე ვერ ახდენს იმ ზემოქმედებას, რაც მას თითქოს უნდა მოეხდინა მისი დასაწყისის მიხედვით. მოკლედ რომ ვთქვათ, მოთხრობას აკლია, ე. წ. „პოეზიის მარლი“ და ჭარაიას გამოთქმა რომ ვინმაროთ, აქვს „პროტოკოლური“ ხასიათიც.

მთელი ამ ვრცელი კრიტიკული ეტიუდის დასასრულ ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ მოთხრობას შეგვიძლია დავარქვათ უფრო *СИМПАТИЧНАЯ ПОВЕСТЬ*. მხოლოდ ამ მხრით არის შესანიშნავი „ბნელო“, რამდენადაც ხასიათების დასრულებულ დასურათბებითა და ფსიქოლოგიური ანალიზით „სიმონა“ მალლა დგას „ბნელოზე“, იმდენად „ბნელო“ როგორც ყოფა-ცხოვრების ამწერი მოთხრობა მალლა დგას პირველზე“ (იქვე, 246)\*.

ეურნალი „კვალის“ 1893 წლის ნომერში (46, 47, 48, 50) პ. ჭარაიამ (პ. გ—ძე) მოათავსა ვრცელი კრიტიკული შენიშვნები ეგნ. ნინოშვილისა და დუტუ მეგრელის შემოქმედებაზე. კრიტიკული შენიშვნების ავტორის სამართლიანი მოსაზრებით ორივე ეს მწერალი თავიანთ შემოქმედებაში უმთავრესად ასახავდა ქართული გლეხის ყოფა-ცხოვრებას, „მის ჰირსა და ვარამს, ტანჯვასა და გაჭირვებას, მის აუტანელ შრომა-გარჯასა და ჭაპანწყვეტას, მაგრამ ყველა ამასთან მის უკიდურესად სიღარიბეს“.

პ. ჭარაია თავის სტატიაში პირველ რიგში მმოიხილავს ეგნ. ნინოშვილის ახალ გამოცემულ მოთხრობათა კრებულს, კრიტიკოსი მალალ შეფასებას აძლევს „პალიასტომის ტბას“, როგორც მხატვრულად მალალხარისხოვანსა და იდეოლოგიურად გამართულ ნაწარმოებს. მისთვის „პალიასტომის ტბა“ არის, მართალია „უმშვე-

\* აღანიშნავია, რომ მელანიას ეს მოთხრობა „ბნელო“ გარჩია აგრეთვე ცნობილმა კრიტიკოსმა ზომლომა (დანიცხავამ), რომელმაც დაახლოებით ამგვარივე შეფასება მისცა მას („კვალი“, 1894 წ. № 10—16).

ნიერესი ქმნილება“, მაგრამ „გულსაკლავი სურათებით“ აღსაყეს. მიმომხილველი თავის ყურადღებას ამახვილებს მწერლის შემოქმედების ხერხების იმ ადგილებზე, სადაც მამა და შვილი ერთ ღამეს საუბრობენ თავის სოფელში მომხდარ უბედურ შემთხვევათა შესახებ და მოჰყავს მოთხრობის ის ადგილებიც, სადაც ივანე წამოიძახებს მწარედ: „ჰმ. ასეა უბედური მუშაკაცის საქმე: მუშაობს, ფაცურობს, აი იქით, აი აქეთ, გეიხედავ და ჩაკვდება საცხა...“ დიდხანს ილაპარაკეს იმ ღამეს მამა და შვილმა. გაიხსენეს ყველა ვინც კი იმ წელს მათ სოფელში და ან სხვა ახლომახლო, ფათერაკად მომკვდარიყო: ვიღაც გოგიეი, რომელიც ხეს სჭრიდა, ვერ გაეგო ხის წაქცევა და ხემ გაჰყლიტა; თედორიკა, რომელსაც სიმიინდის ტუნის დროს საყვებ ნალიის ქვეშ დაეძინა, ნალია წაქცეულიყო დცილიან-შვილიანად გაესრისა; პავლია, რომელიც წიგნის ჩამორეცის დროს ხიდან ჩამოვარდა, თავი კვერცხებით გაეთქვიფა; პეტრიელას 6 წლის ქალი. რომელიც მშობლებმა სახლის მკველად დატოვეს, უცბად ცეცხლი წაეკიდა ტანსაცმელზე და დაიწვა: მასცეულია, ოცი წლის ბიჭი, რომელიც ერთ მღვდელთან მოჩამაგირედ იყო, წყალდიდობას სხვაგან გაეგზავნათ და დაიხრჩო; ვიღაც გოგიელაი, რომელმაც ოჯახის რჩენა ვერ შესძლო და თავი მოიკლა; სპი ბავშვი, რომლებიც იმ დროს როცა მათი მშობლები ყანაში იყვნენ, ცოფიანმა დაჰკლიჯა; ერთი ძუძუს ბავშვი, რომელსაც იმ დროს. როცა დედამისმა სადილი წაიღო ყანაში და ის აკვანში ჩაკრული დატოვა, გველი მოეხვია ყელზე. დაკბინა და გამოუთქველ ტანჯვაში დალია სული“... და სხვა... ამის შემდეგ კრიტიკოსი დაასკვნის, რომ „ორივე ეს ავტორი (ნინოშვილი და ლუბოვსკი) — ს. (კ.) დიდი თანაგრძნობით არიან გამსჭვალულნი ჩაგრულთაღმი. მისი აზრით ამ მწერლების შემოქმედების უმთავრეს საგანს შეადგენს ქონებრივად დაქვეითებულთა და უფლებასმოკლებულ ადამიანთა ცხოვრების დახატვა.

ამავე სტატიამი პ. ქარაიას გარჩეული აქვს ეგნატე ნინოშვილის სხვა მოთხრობებიც — „უცნაური სენი“, „არშიყნი“, „სიმონა“ და ყველგან მნიშვნელოვანი და საგულისხმო დასკვნები აქვს გამოყვანილი. ის განსაკუთრებით ჩერდება „სიმონას“ გარშეშო, სთვლის რა მას ეგნ. ნინოშვილის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებთაგანად. თუმცა მისი აზრით „მოთხრობის ნასკვი ცოტა ხელოვნურად იკვანძება და არა უბრალოდ და ბუნებრივად, ხოლო მთავარი გმირი მოთხრობისა. სიმონა, ნამდვილად ცოცხლად არის დახატული და ბოლომდე სწორად გაყვანილი“-ო.

საბოლოოდ, შენიშვნის ავტორი დაასკვნის, რომ „ჯერჯერობით ხელნიან არისტოკრატისა ხალხის ყვლეფაში დიდად შევლის მთამომავლობითი არისტოკრატიაც“.

მიმომხილველი შემდეგ გადადის დუბუ მეგრელის მოთხრობათა კრებულის გარჩევაზე. კრებულს ერქვა „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“, რომელშიც მოთავსებული იყო „საცოდავნი“, „გოგია და ქანა“, „სვიმონ მღვდელი“, „ქინაქინი“, „პირველი ტალ-

ლები“ და სხვა... ყველა ამ მოთხრობასა და განსაკუთრებით პ:ტარა ესკიზს „ჭინაჭინას“ მაღალ შეფასებას აძლევს კრიტიკოსი. მისი აზრით მწერალი თავის მოთხრობებში მიგვითითებს ერთ-ერთ: იმ უმთავრესს საშუალებათაგანზე, რომელსაც ცოტად თუ ბევრად შეეძლო ტანჯულთა ჩსნა. „ეს საშუალება სწავლა-განათლება განლაგვსო,—მენიშნავს კრიტიკოსი და თან დასძენს:“—ეინ არ იცის, მართლაც, რომ სწავლა-განათლება ერთი უძლიერესი ფაქტორა-განია ერთა წარმატებისა და პროგრესისათვის, მაგრამ განათლებაც არის და განათლებაც, რომელი და რაგვარი განათლება მოსწონს ავტორს, რაგვარი სისტემა სწავლა-განათლებისა მიაჩნია იმას დროის შესაფერად, ამის გამოცნობა მეტად საჭირო და სასარგებლოცაა, რის პასუხს იძლევა დუტუ მეგრელის მოთხრობა „პირველი ტალღები“... და შემდეგ საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება რა ამ მოთხრობაზე საბოლოოდ დაასკვნის: „ეს ორი ჩვენი ახალი ბელეტრისტი, ნინოშვილი და დუტუ მეგრელი, მიგვითითებენ ამ დროის ხალხის მდგომარეობაზე, აგვიწიერენ მის სოციალურსა და ეკონომიურს იარებსა და ავადმყოფობასო“...

პ. ჭარაიას ეს დასკვნა სავსებით მართალი გამოდგა. უდროოდ დაკარგული ნიჭიერი ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი თავისი უკვდავი მოთხრობებით აღრევე ჩადგა მე-19 საუკუნის გამოჩენილ კლასიკოსთა რიგებში, ხოლო ჩვენს გულსევიდან ნახ პოეტსა და ბელეტრისტს დუტუ მეგრელს ერთხელაც არ უღალატნია მისთვის არჩეული გზისათვის. მან თავისი უმწიკვლო სამწერლო ალაში დად საბჭოთა მწერლობას შეუერთა.

პეტრე ჭარაიამ 1896 წლის „კვალში“ (№ 18) გაარჩია აგრეთვე ჩვენს ლიტერატურაში ნაკლებად ცნობილი მწერლის რ. ფავლენიშვილის პატარა მოთხრობა „ევა“, რომლის ავტორს დაუწუნა ცხოვრების ცოდნა, დაკვირვება და თანამედროვე ადამიანთა ხასიათებისა და ყოფაცხოვრების მხატვრულად ასახვა. თუმცა მოთხრობის შიგა და შიგ კრიტიკოსი მაინც ხედავს ბელეტრისტულ ნიჭსა და ფსიქოლოგიური მოვლენების მოხდენილად ასახვას. კრიტიკოსი იმდენად ობიექტურია, რომ ის ამ მოთხრობის მთელ რიგ დადებით მხარეებსაც არ ჩქმალავს და ახალგაზრდა ავტორს ზრდასა და წარმატებას უსურვებს.

„პატივეცემულ ახალგაზრდა ავტორს, — წერს კრიტიკოსი,— უნდოდა დაეხატა მოღვაწე ქალის ტიპი ჩვენში. მაგრამ რადგან ასეთები დღეს ჩვენში თითზე ჩამოსათვლელია, წარმოგვიდგინა იმნაირი ქალის სახე, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ. ასეთი ქალები თუ არ ვცდები, დასრიალებენ (ან დაცურავენ) სცილასა და ქარიბდას შორის, ცდილობენ არც მწვადი დასწვან და არც შამფურით. მაგრამ რადგანაც კაცი ან ღმერთს უნდა ემსახურებოდეს, ან მამონს და ორი კურდღლის დაქერა ერთსა და იმავე დროს მოუხერხებელია, ისინი ხშირად სულ უბრალო შემთხვევისა გამო ხელიდან აგდებენ ხალხის სამსახურის დროშას“.

ქარაიას აზრით ამ მოთხრობის ავტორს სურდა მოეცა საზოგადოებრივი მომუშავე ქალის ტიპი, ახალგამოდგენილი და ასპარეზზე ახლადგამოსული მოღვაწე ქალის დახატვა, მაგრამ მისი სრულყოფა, ყველა ხასიათისა და ქცევის ასახვა მან ვერ შეძლო, ან უკეთ ვთქვათ, ვერ დაძლია მის ხელთ არსებული მასალა და სურათიც სქემატური გამოუვიდა. „ჩვენ ამითაც კმაყოფილი უნდა ვიყუნეთ ავტორისაო“, — წერს პ. ჭარაია, — რადგან მას აღმოაჩნდა ამის სურვილი, ცდაც და ნაწილობრივ მხატვრულად გააზრების ძალაც; კმაყოფილი უნდა ვიყვნეთ აგრეთვე მისგან დახატული ტიპის მაგვარ ქალებითაც, რადგან „დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ისეთია, რომ ე. წ. „ორისდამკერი“ ქალები ჩვენ არ გამოგვადგება“... თავის დროინდელი საზოგადოების ქალებით უკმაყოფილო, კრიტიკული ეტიუდის ავტორი დაასკვნის, რომ „დღეს ჩვენთვის საჭიროა არაიან ნაძღვლილი ქეთევანისებური გმირი ქალები. ევა კი უბრალო შემთხვევამ იმსხვერპლა. ნუ ვვნაღვლით, გულს ნუ გავიცეხთ ამაზე; სჯობს ასეთ არსებას მივაძახოთ: „Грѣхъ ей и догорта“.

უმართებულო იქნებოდა პეტრე ჭარაიას ლიტერატურული კრიტიკიდან გამოგვეტოვებინა მისი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და მისთვის დამახასიათებელი კრიტიკული ეტიუდი. ის წამძღვარებული აქვს უდროოდ დაკარგულ, უთუოდ ნიჟიერი ჭაბუკის. მაქსიმე ჭანტურიას (1863—1888) ლექსების კრებულს (1910 წ. თბილისი, გვ. 32). ამ ნარკვევში, მართალია, მოცემულია ლექსთა კრებულის ავტორის ცხოვრების მოკლე აღწერა, მისი ტრაგიკული „ვნებათა ღელვანი“ და პოეზიის დახასიათება. მაგრამ ზოგიერთი შტრიხებით თვითონ კრიტიკოსის განწყობილებასაც ხომ იძლევა, მის შეხედულებებს იმდროინდელს ქართველ საზოგადოებაზე. ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე და მის ამსახველ მხატვრულ ლიტერატურაზე.

ამიტომ, ჩვენ, ამ ეტიუდიდან მხოლოდ ერთ ამონაწერს მოვიყვანთ, რომელიც კიდევ მეტ შუქს შეიტანს პ. ჭარაიას პიროვნებისა და მისი სულიერი განწყობის არეში. „ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადო მოღვაწეობის უახლოეს ისტორიას თვალი რომ გადაავლოთ, — წერს ამ ნარკვევში პ. ჭარაია, — მეტად სამწუხარო და გულსაკლავი სურათი წარმოგვიდგება თვალწინ. ჭერ ერთი. ასეთი მოღვაწეობისათვის მოწოდებულნი ჩვენშიაც, როგორც ყველგან და ყოველთვის სხვაგან, რიცხვით ძლიერ ცოტანი არიან ხოლმე. ზოგიერთები კი ამ მალალ დაწინაურებისათვის ზეგარდმო ნიჭით ცხებულნი არსებობისათვის გამწვავებულ ბრძოლას ისე დაუშვან, დაუმორჩილებია, რომ იძულებულნი გამხდარან უნებურად გულშივე ჩაიკლან თავიანთი მალალი მოწოდება. სხვანი კიდევ ამავე კატეგორიის პირთაგანნი, კეშმარტი ნიჭით დაჭილდობულნი და მასთან ისეთები, რომელთაც ამკარად ეტყობათ ახალგაზრდობაშივე, რომ ისინი თავის დროზედ შეიქმნებოდნენ შესანიშნავი საზოგადო მოღვაწენი, ჭერ კიდევ კოკრებად. გაუშლელად და გაუ-

ფურჩქნელად სწყდებიან ჩვენი ცხოვრების ხესა. და ასეთი უდროო სიკვდილით, თითქოს, თავისთავზე ამართლებენ პოეტის სიტყვებს: *He pascevel и отцвел.* (გვ. 23).

წუთისოფელს ამგვარად უდროოდ მოშორებულ რჩეულთა შორის ათავსებს ის ნიკოლოზ ბარათაშვილს, დ. ჰონქაძეს, ევსტ. მკედლიძეს, ალ. ყაზბეგს, ეგნ. ნინოშვილს და სხვათა, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ „უწმინდესი და უდიდესი იდეალებით აღკურვილი და განვითარებული გონება“ სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის მიეძღვნათ. მათი დაკარგვით, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს: „ობლდებოდა არა დედ-მამა, არამედ—ერი“.

3. ჰარაია ამგვარ რჩეულთა წრეს აკუთვნებს, 25 წლის ასაკში გარდაცვლილ (1888), ოდესის. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს, მაქსიმე ჰანტურისას. რომელიც ჰარაიას განმარტებით იყო არა ვინმე მომავალი გენიოსი, მაგრამ „უკეთეს გარემოებასა და შემთხვევაში (ხაზი ჩემია—ს. ც.) შუათანა ნიქისა და ენერგიის, უმაღლესი განათლებით აღკურვილი საზოგადო მოღვაწე“. ამგვარი მოღვაწეები კი იმ დროის ჩვენს ქვეყანას იმდენად წყუროდ და ესაჭიროებოდა, რომ არ შეიძლებოდა ეს მცირე დანაკლისი არ ეგრძნო და არ აღენიშნა. და მართლაც. თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი სახელის ხსენება ქართულ მწერლობის მატრიანეში თუ სადმე იქნება, ეს სიკეთე მხოლოდ პეტრე ჰარაიას მიეწერება. მან გამოიძია მისი ცხოვრება, მან შეკრიბა მისგან დარჩენილი რამდენიმე ლექსი, შეადგინა მათი კრებული, გახსნა მისი ავტორის ფსევდონიმები (მ. ეგრისელი, მ. ნ. მაქს, ნიკოლოზის-ძე) და გამოაცემინა შთამომავლობის მოსაგონარად იმ დუხჭირ დროთა და გარემოებათა.

1896 წ. პეტრე ჰარაიამ მიმოიხილა ქართული მწერლობის 1895 წლის პროდუქცია („კვალი“, № 3). ეს სტატია რედაქციამ მეთაური წერილის ღირსად სცნო და ჟურნალის პირველ გვერდზე მოათავსა. ამ წერილში ავტორი 1895 წელს უწოდებს საქართველოში ეკონომიურ კითხვათა შესახებ კამათის წელიწადს. ის დადებით მოკვლევანად სთვლის საქართველოში მარქსისტული მოძღვრების დანერგვასა და ქართულ აზროვნებაში მარქსიზმის გავრცელებას, რასაც ფართოდ შეუწყო ხელი ჟურნალმა „კვალმა“. ჟურნალმა ამით, ცხადია,—აღნიშნავს 3. ჰარაიას,—ახალი, გამაცოცხლებელი წყარო შემოიტანა ჩვენს მწერლობაში, ახალი შუქი შემოანათა ჩვენს ცხოვრებაში“. ის აქვე ასახელებს იმ მარქსისტ ავტორებს, რომელთა წიგნებისა და წერილების დაბეჭდვამ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

ავტორი ხაზს უსვამს აგრეთვე „აკაკის მადლით მოსილი კალმის“ იმ წლის პროდუქციას და იმასაც, რომ ამ დიდებულმა მგოსანმა წინა წელს დაიწყო თავისი „კრებულის“ გამოცემისათვის „მზადება და შეგროვება ხალხური სიტყვიერების ნიმუშებისა“. აქ 3. ჰარაია, როგორც ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი, მხურვალედ

ამჟღავნებს თავისი გულის ზრახვებს და მოუწოდებს ყველა კულტურულ ქართველს ამ დიდ საქმეში მონაწილეობისათვის. ამავე სტატიამი აღნუსხულია აგრეთვე დასახელებულ წელს ჩატარებული ორი დიდი სახალხო დღესასწაული—კრწანისის ტრაგედიის 100 წლისთავისა (11 სექტ.) და „სამშობლო ხევისურისას“ მსოფიანი ავტორის — რაფიელ ერისთავის იუბილე (22 ოქტომბერს). „ამ ორმა თარიღმა, — წერს ავტორი, — ლიტერატურაში გამოიწვია ბევრი შესაფერისი ისტორიული და პატრიოტული ნაწარმოების შექმნა“. შემდეგ ახლენს ქართული პერიოდიკის („ივერია“, „კვალი“, „მოამბე“) ერთგვარ მოკლე მიმოხილვასაც ერთი წლის მანძილზე მათ მიერ გამოქვეყნებული პროდუქციის მიხედვით.

დასახელებული მეთაური წერილის მიხედვით პ. ჭარაია მართლ ლიტერატურის კრიტიკოსი ან მიმოხილველი როდია, ან ერთგვარი ბიბლიოგრაფი, მწერლობის სხვადასხვა ჟანრის სფეროდან მასალებისა და გამოქვეყნებული ნიმუშების აღმრიცხველი, არამედ საკმაოდ გამოცდილი, ფხიანი კალმის მქონე ჟურნალისტი და პუბლიცისტიც.

ჩვენ შევეცდებით გაგაცნოთ მისი პუბლიცისტური კალმის ზოგიერთი ნიმუში და თვით უმთავრესი საგანიც მისი პუბლიცისტისა. შეიძლება ზოგიერთმა იფიქროს, რომ იმ დროს, როცა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა გრგვინავდა და მისი პოლემიკური წერილების სუსხი ბეტრსა ჰზარავდა, პეტრე ჭარაიას პუბლიცისტური ნაკალმარი რა სახსენებელიაო. ამგვარ მკითხველს ავიწყდება, რომ უჯარო გენერალი იგივე ერთი უმწეო ჯარისკაცია ბრძოლის ველზე, სადაც უბრალო მებრძოლადაც ვერ გამოდგება; ავიწყდება, რომ იმ აუცილებელსა და პატარა საქმეს პატარა კალამი გააკეთებს, იმისათვის დიდი კალამი ხშირად ვერ იცლის იმით დაიმედებული, რომ მას თავისი შესაძლებლობის მებრძოლი შესარულებს, საერთო მდინარებაში კი, ამით დროის მოთხოვნილებას ყველა დეტალი შესრულებული იქნება.

პ. ჭარაიას ამ საერთო საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდა. ის ცხადია, ვერ აკეთებს იმას, რასაც ბუმბერაზნი აკეთებდნენ. მაგრამ ეს უკანასკნელნიც ვერ აკეთებდნენ იმას, რასაც პატარა ყალიბის მადღაწეუ პ. ჭარაია აკეთებდა. ამგვარია კანონი ბუნებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობისა. ამ კანონს დიდიც მორჩილობს და პატარაც. ვისაც კი შეუგნია მოვალეობა კაცისა, ყველას შეაქვს შესაძლებლობის მაქსიმუმი იმ დიდს და საერთო საქმეში, რომელსაც „დიდებული მერმისი“ ჰქვიან.

პ. ჭარაიას სუსტი, მაგრამ დროულობის გამო შესაფერი დირებულების შემცველი პუბლიცისტური კალამიც ამ დიდი მერმისის სამსახურში იყო და ჩვენც იმიტომ დაგვიჭირდა მისი მოგონება.

ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, თვითმპყრობელობის მიერ აფხაზეთში წარმოებული კოლონიზაციისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის ზოგიერთი მომენტები. პ. ჭარაია ამ პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ მოწინავე ქართველთა შორის ერთი შესამჩნევი

ფეგურა იყო, როგორც პრაქტიკულად, ისე კალმით. 1897 წელს ჟურნალ „კვალში“ (№ 11, 12, 13, 14) მოთავსებული ვრცელი ფელეტონები „მიწათმფლობელობა აფხაზეთში“, ცარიზმის აგენტების ამგვარი პოლიტიკანობის მხილებაჲ იყო და სასტიკი შეპრძობებაჲ ადგილობრივ მკვიდრთა უფლებებისა და აგრარული ინტერესების დასაცავად. დასახელებულ წერილში აკროს მიმოხილული აქვს ცარიზმის დამყარების შემდეგ მეფის მოხელეებისაგან ჩატარებული ის მკაცრი ღონისძიებანი, რომლითაც მშობლიური ნიადაგი. მასაზრდოებელი მიწა-წყალი ხელიდან უნდა გამოსცლოდა ადგილობრივ მოსახლეობას და კოლონიზატორთა ხელში გადასულიყო.

პ. ჰარაიას შეგნებული ჰქონდა „როცა ქართველობა დაჰკარგავდა ისედაც მცირე მამა-პაპეულ ტერიტორიის დიდ ნაწილს, როცა მას ოდნავადაც გამოეცლებოდა ფეხქვეშოდან საქართველოს მიწა-წყალი და ნიადაგი. მაშინ მისი, როგორც ეროვნების, არსებობა შეუძლებელი იყო“ („მოამბე“. 1897, XII).

„განა ასეთმა შიშმა არ შეაერთა პოლონელებიო,—წერდა ჰარაია. — როცა ბისმარკმა მოიწადინა პოლონეთის მსხვილ მემამულეთა მიწების სახელმწიფო ხარჯზედ ყიდვა და მანდ გერმანელების დასახლება პოლონელთა გასაგერმანელებლად. განა ასეთმა გარემოებამ არ გამოიწვია „პოლონეთი პოლონელებისთვის?“ მაშასადამე, როცა ქართველობაო ვამბობთ, უნდა ვგულისხმობდეთ საქართველოს მიწა-წყალს ქართველების ხელში“ (იქვე).

აი. ალფა და ომეგა პ. ჰარაიას პუბლიცისტური წერილების, სტატიებისა და კორესპონდენციების, რომელთა რიცხვი უხვად არის გაბნეული იმ ხანების პერიოდულ გამოცემებში\* და რომელთა სრული აღრიცხვა-დასახელება ჩვენს საგანს არ შეადგენს. თუმცა ისეთს კი ვერ გამოვტოვებთ, რომელიც პ. ჰარაიას ღვაწლის შესწავლაში საგრძნობი შეუქის შემტანი იქნება.

დასახელებულ ფელეტონებში კი პ. ჰარაიამ გამოააშკარავა პოლიტიკანების ყველა სიყალბე და წინააღმდეგ კავკასიის სოფლის მეურნეობის სასოფადობებაში წარდგენილ რიბინსკის მოხსენებისა — „Сухумский Округ (Абхазия) в сельскохозяйственном и бытовом отношении“ — დაამტკიცა სუხუმის ოლქში აფხაზეთისა და მეგრელების უპირატესობა და მოითხოვა ე. წ. „ობშჩინები“ მიწათმფლობელობისა მათს ხელში და უმთავრესად გლეხების—მიწის მუშების ხელში გადასულიყო.

პ. ჰარაიას აღწერილი აქვს კოლონისტების უხეში დამოკიდებულება ადგილობრივი მეურნეობისადმი, მრავალი მაგალითების მოყვანით. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ახლადმოვლენილმა მიწათმფლობელებმა აფხაზეთის მაღალ, ცამდე აწვილ

\* ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილია პეტრე ჰარაიას შემდეგი ფსევდონიმები: პ. გიორგიძე, პ. გ-ე, პ. კ-ია, პ. კ-ა.



ხეებზე ასულ ვაზზე მოსხმული გიშრისფერი ყურძენი ვერ დაკრი-  
ფეს, ხეებს ძირშივე მოკრა დაუწყეს და ამით, ცხადია, ვენახსაც  
გაჩანაგება ელოდა.

რიბინსკი კი თურმე შურით შესცქეროდა იმ ფაქტს, რომ მე-  
გრელები ამ მალალ ხეებზე ციყვივით დასრიალებდნენ, ყურძენსაც  
თავისუფლად ჰკრეფდნენ და ღვინის კარგ მოსავლასაც იღებდნენ.  
ამავე დროს აფხაზთა თავად-აზნაურთაგან სყიდვით მამულებსაც  
ბლომად იძენდნენ. ამიტომ რიბინსკი მეგრელებს ვაჭარ და გაიძე-  
რა ხალხს ეძახდა და ამით მას ვითომ სურდა აფხაზეთის დაცვა  
მათი შემოსევებისაგან. რიბინსკის აზვარ ფანდებზე მიგვითითებდა  
პ. ჰარაია, როცა წერდა: რიბინსკი გოღების და მოსთქვამს, დროა  
აფხაზეთი დაეიცვათ მეგრელების შემოსევებისაგანო („კვალი“, 1897,  
№ 14).

ამ საჭირობოროტო საკითხს მიუძღვნა გამოჩენილმა ქართველ-  
მა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა თავისი ვრცელი სტატია „ვინ  
უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“—ჭერ კიდევ 1877 წელს  
ვახუტ „ტიფლისკი ვესტნიკში“ (№ 209, 210, 243, 244, 245, 246,  
248, 249) გამოქვეყნებული. ამ წერილში ი. გოგებაშვილმა მკვეთ-  
რად დააყენა დიდი ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობის საკით-  
ხი აფხაზეთის თავისუფალი ტერიტორიის ქართველ ტომთაგან  
ათვისების შესახებ და სასტიკად გაილაშქრა ცარიზმის რუსიფიკა-  
ტორულ-კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. 90-ან წლებ-  
ში რიბინსკის მიერ ხელახლა განახლებულ ამ პოლიტიკანობას შე-  
ებროდა „კვალის“ ფურცლებიდან პ. ჰარაიას.

რიბინსკისა და ძმთა მათა ამგვარი ფანდები და შურის მთე-  
სავი ხრიკები იმ დროისათვის შეგნებულ აფხაზებსაც ესმოდათ  
და მეგრელებსაც. ამიტომ იყო, რომ პეტრე ჰარაიასა და მის მსგავს  
ქართველ მოღვაწეთა უბრალო სიტყვა, უფრო მეტს ძალას იჩენდა  
ყოველ საბედისწერო მომენტზე, ვიდრე თვითმპყრობელობის ბიუ-  
როკრატიული ხელისუფლების ძლიერებითა და უფლებამოსილე-  
ბით აღკუთრული მოხელეების დაბეზლებითა და ინტრიგებით საე-  
სეში მოხსენებანი, რომელთაც საჭირო მანევრებისა და დიპლო-  
მატური მეთოდების მიხედვით ხანდახან უყურადღებოდაც კი ტო-  
ვებდნენ თვით უმაღლესი ხელისუფალნი. ამის დადასტურება რი-  
ბინსკის ხსენებული მოხსენება. რომლის შესახებ აღუქსანდრე ყი-  
ფშიძე (ფრანკელი) სწერდა მაშინ სუხუმში მცხოვრებ თედო სახო-  
კიას: „როგორც მითხრეს, პოლიტიკური მხარე საქმისა თითქმის  
უყურადღებოდ დაუტოვებიათ აქა და რიბინსკის ნაჩხაპნისათვის  
(ხაზი ჩემია—ს. ც.) უყურადღება არც კი მიუქცევიათო“ (წერ. 1896 წ.  
26 ნომბ. დაცულია საქ. ლიტ. მუზეუმში).

პ. ჰარაიას საგაზეთო, პუბლიცისტური ხასიათის წერილების  
სერიიდან. თავის საქმიანობითა და საკითხების დასმის სიმკვეთრით  
დასახელების ღირსია აგრეთვე: — „საყურადღებო ამბები“ (კვალი,  
1895 წ. № 5), „სად არის სამშობლო ვაზისა“. (იქვე, 1896 წ. № 52),  
რომელიც მეტად საინტერესო მასალებს წარმოგვიდგენს ვაზის წარ-

მოშობისა და მისი პირველი სამშობლოს შესახებ. აქვეა წარმოდგენილი სიტყვა „ღვინოს“ ეტიმოლოგია და მისი ევროპულ ენებში გავრცელებულობა. წერილში, „ხმა პროვინციიდან“ („კვალი“ 1901 წ. № 50). ავტორი თვითკრიტიკის წესით იხილავს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“—უკანასკნელი წლების მოქმედებას და მის მუშაობაში ზოგიერთ ხაკლოვანებასაც ამხელს, განსაკუთრებით სასკოლო-საგანმანათლებლო დარგში და ისიც აფხაზეთის ტერიტორიაზე.

პ. კარაიას აზრით, წ/კითხვის საზოგადოებას, რომ კიდევ უფრო მეტი აქტივობა და მეტრძოლური ხასიათი გამოეჩინა, აფხაზეთში შეიძლებოდა ქართული ენის სწავლების დაცვა. თუ სხვაგან არა, სამრევლო სკოლებში მაინც. დღეს კი მისი სწავლება ყველგან, ყველა ტიპის სკოლაში აღკვეთილია, რაც უეჭველად ცუდი შედეგების მომასწავებელია, თუ დროზე არ ეშველა რაიმე და სხე.

აღსანიშნავია აგრეთვე „სახალხო გაზეთში“ (1914 წ. № 1182—1183) მოთავსებული მისი „მგზავრის წერილი“, სადაც ბევრი საკვირბოროტო და მომენტისათვის აქტუალური საკითხებია დასმული. მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმოა მისი ვრცელი შინაური მიმოხილვა—„ქართული ენა სუხუმის ოლქის სკოლებში“ („განათლება“, 1914 წ. № 1).

როგორც ყოველთვის, პ. კარაიამ ამ წერილშიც გაბედულად ამხილა სუხუმის ოლქში (ე. ი. აფხაზეთში) მიმდინარე უკუღმართობანი სწავლა-განათლების დარგში, მიმოხილვის ავტორი სათანადო დასაბუთების შემდეგ კატეგორიულად მოითხოვს აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღებას, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის სკოლაც არ უნდა იყოს იგი.

პ. კარაია უღმობლად ამხილებს სამინისტროსა და საეკლესიო სკოლების უფროსთა საქციელს ქართული ენის საწინააღმდეგოდ, რომ ისინი ყოველ ნაბიჯზე, სხვადასხვა საშუალებით სდევნიან ქართულ ენას და თან კიდევ, თავიანთი პროვოკაციული მეთოდებით, შუღლსა და მტრობას აღვივებენ ქართველთა წინააღმდეგ, რომ ისინი დაყვავებითა და ვითომ მოამაგის ტონით ეუბნებიან აფხაზებს: „თქვენი მშობლიური ენა აფხაზურია, ქართულს აქ რა უნდა“, ხოლო მეგრელებს აგონებენ: თქვენ მეგრელები ხართ და არა ქართველები, თქვენი მშობლიური ენა მეგრულია და არა ქართული“. ამავ დროს აფხაზურიც არსად არ ისწავლებოდა და სხვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამ პროვოკაციაზე, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, მოსახლეობა არ წამოგებულა.

ოლქის ინსპექტორ ზაუსტოვს დროის დაკარგვად მიუჩნევია სოფელ გუფის სკოლაში, შემთხვევით აღმოჩენილი, ქართულისა და აფხაზური ენის სწავლება, რის შედეგად ძველი მასწავლებელი მოუხსნიათ და ახალი (ეროვნებით რუსი) დაუნიშნავთ, რომ I განყოფი-

ფილებიდანვე ესწავლებინა ქართველი და აფხაზი ბავშვებისათვის რუსული ენა, ე. წ. მუხჭური მეთოდით.

ამგვარსავე მაგალითს აღნიშნავს მიმოხილვის ავტორი სამურ-ზაყანოში, ინგურის პირად მდებარე სოფ. საბერიოს სკოლაში.

პ. ჯარაია დაუნდობლად კიცხავს სუხუმის ეპისკოპოსის თვალთმაქიციურ საქციელს, რომელმაც ბედიის ახალი ტაძრის კურთხევის დღეს, სამურზაყანოელებს აღუთქვა სკოლებში ქართული ენის სწავლების აღდგენა, მაგრამ დანაპირი შემდეგ არ შეასრულა. იგი ამასთანავე კიცხავს და დაურიდებლად ამხელს ი. კვარაცხელიას (გალის სკოლის მასწავლებელი) პ. მანჯგალაძეს (საბერიოს სკ. მასწავლებელი) და მის მსგავს კარიერისტ და ჩინოვნიკ მასწავლებლებს, რომელნიც უფროსების გულის მოსაგებად ქართულ ენას დევნიდნენ სკოლიდან და თან გაიძახოდნენ: „ამ საგნის სწავლება დროის დაკარგვაა, ვერ ხედავთ, რევიზორები არც კი კითხულობენ ამ საგანს ასწავლით თუ არა, ან როგორ ასწავლითო?“ ამგვარ მასწავლებლებსა და რევიზორ-ინსპექტორებს პეტრეს მათრახი არ მოჰკლებია, ვიდრე მას მისი მარჯვედ მოქნივა შეეძლო.

1913 წელს პ. ჯარაიას, სპეციალურად ამ საკითხების გამოსარკვევად. თავისივე ხალისით შემოუვლია და შეუმოწმებია აფხაზეთის სკოლები. ამ შემოვლის შედეგი იყო დასახელებული წერილიც, სადაც მან კატეგორიულად მოითხოვა სუხუმის ოლქის ერთ-ერთი სასკოლო რევიზორი მაინც ყოფილიყო ქართველი. რომ ამით ხელი შეწყობოდა ქართული ენის სწავლებასა და მის შემოწმებას.

აფხაზეთის ცხოვრებიდან აქვე უნდა მოვიგონოთ ერთი საგულისხმო ეპიზოდიც, რომელშიც პ. ჯარაიასა და მის მსგავს მოღვაწეთა როლი არ არის გამორიცხული. 1916 წელს ობლისში მეფის ნაცვალს წარუდგა მისთვის საგანგებოდ შერჩეულ იმ დროის მოთხოვნილების მიხედვით, წარჩინებულ პირთაგან შემდგარი (მ. და ა. შარვაშიძეები, მ. ემუხვარი, პ. ანჩაბაძე, ბ. ეხუბაია, ან. ჩუკბარი და სხვ.) აფხაზების დელეგაცია შემდეგი მოთხოვნილებებით: 1. რაც შეიძლება მეტი სკოლები, და ისიც პრაქტიკული ხასიათისა, გაიხსნას სუხუმის ოლქში, 2. სწავლა სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქართულზე და აფხაზურზე), 3. გაყვანილ იქნას ახალი გზები და ძველი შესწორებული, 4. სუხუმის ოლქი გამოყოფილ იქნას ცალკე გუბერნიად და არას გზით არ იქნას შეერთებული, ან მიწერილი სხვა უცხო გუბერნიასთან (მაგ. შავი ზღვის), 5. თუ შეუძლებელი იქნება მისი ცალკე გუბერნიად გარდაქმნა და იგი როპელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, ამ შემთხვევაში სუხუმის ოლქი შეერთებულ იქნას ქუთაისის გუბერნიასთან, 6. სუხუმის ეპარქია, რადგან ის მთელი თავისი წარსულით და აწმყოთი შესისხლბორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იქნეს გამოყოფილი საქართველოს საეგზარქოსოდან და „შეერთებული და ცხოვრება“, № 23, 1916 წ.).

დემუტაციას, როგორც ეს ბიუროკრატიულ ხელისუფლებას

ჩვეოდა, აღუთქვეს ყველა მოთხოვნილების შესრულება, თუმცა მათი პრაქტიკაში განმხორციელებელი არავინ გამოჩენილა, არავის შეუწყუხებია თავი ამ საკითხების შესწავლით. ან რისთვის უნდა შეეწყუხებინათ თავი, როცა დეპუტაციის მოთხოვნილების არც ერთი მუხლი არ იყო ცარიზმისათვის მისაღები? აქ საგულისხმო ის იყო, თუ რას თხოულობდა აფხაზი ხალხი, რა სურდა მას და როგორი იყო მისი მოწინავე ნაწილის განწყობილება და ეროვნული შეგნება. ამ შეგნებათა და განწყობილებათა უმთავრესი და დაუღალავი მთესველი იმ დროინდელს აფხაზეთში სახალხო მასწავლებლები იყვნენ.

პეტრეს აზრით მაშინდელ სუხუმის ოლქში, სამუხაროდ, მკირე იყო ისეთი სიკეთის მთესველ სახალხო მასწავლებელთა რიცხვიც, რომელთაც შეეძლებოდათ სამშობლოსა და საზოგადოების წინაშე „აღმზრდელითი მოვალეობის შესრულება და მისგან გამოწვეული შინაგანი კმაყოფილების მიღება. რაც ყველაზე უფრო მაღალი ჯილდო იქნებოდა მათთვის მშობლიური ხალხისაგან“.

ასეთ მასწავლებლად მთელ ოლქში მას „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სუხუმის სკოლის მასწავლებელი ნიკო ჯანაშია მიაჩნდა. „ამ წელს პირველად ვნახე ეგ სასწავლებელი.— აღნიშნავს ამავე მიმოხილვაში პ. ჭარია.— რომელმაც ბევრი საიმედო აზრები აღმიძრა გულში“.

პეტრე ჭარია ამ „საიმედო აზრების“ განხორციელებისათვის ბრძოლას მოანდომა მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე და მით ჩადგა ქართველ მოღვაწეთა იმ ფალანგაში, რომლის ყოველი წევრის გახსენება და მოგონება მხოლოდ სიამაყის გრძნობის მომგვრელია. ამ ფალანგის ერთ-ერთი მედროშე კერძოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სახალხო განათლების უშიშარი რაინდი იაკობ გოგებაშვილი, ცარიზმის მოხელეთა და პოლიტიკანების მიერ აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობისა გამო თავის დროზე წერდა: „ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს: ერთნი ცდილობენ სრულიად დაამორონ ისინი საქართველოს, მეორენი — დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან.“

„ეს ორი მოწინააღმდეგენი სხვადასხვა ხერხს ხმარობენ თავიანთი წადილის მისაღწევად. პირველნი სწერენ კიდევ და შესაბამ საქმეებსაც აკეთებენ: ქმნიან ფაქტებსა და ამ ფაქტების ძალით იმედი აქვთ ლელო გაიტანონ... ისტორიული ერთობის დამცველთ აფხაზთა და ქართველთა შორის ვერ შეუგნიათ, რომ ძველებური ხერხებით და ტაქტიკით ახლა აღარ ძალუძთ ფონს გავიდნენ. ახალნი გარემოებანი ახალს ტაქტიკას თხოულობენ.“

„რაში უნდა მდგომარეობდეს ეს ტაქტიკა? ამის პასუხად ერთობის მოციქულებს განვუზიარებ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების— ოსების მოქმედებას. ამათ ისარგებლეს ქართული „დედა-ენით“ და მოკლე ხნის განმავლობაში შექმნეს „ოსური დედაენა“... ზედ მიაყოლეს თარგმანი ქართული საყმაწვილო მოთხრობებისა... თუ სუ-

ხუმელები ამ მაგალითს ჩაუკვირდებიან, ადვილად მიხვდებიან თუ რა გზას დაადგნენ პოლიტიკანების გასაცურებლად და თავისი მისწრაფების განსახორციელებლად... სუხუშში მოიპოვებიან როგორც ქართველი, ისე აფხაზი პედაგოგები. ამათ ადვილად შეუძლიათ რამდენიმე თვის განმავლობაში შეადგინონ შეერთებული ძალით აფხაზური დედაენა და დაბეჭდონ იგი, არა მახინჯური ანბანით, რომელიც შეუთითხნიათ პოლიტიკანებს, არამედ ისტორიული აფხაზური ანბანით, რომელიც ქართული ანბანიც არის და რომელსაც გამოჩენილი მეცნიერი უსლარიც აღიარებს — „უსურულეს ანბანად ყველა ანბანთა შორის“. ეს ანბანი ხატავს ყოველ ხმას აფხაზური ენისას და ზედგამოჭრილია მასზე. იგი იხმარებოდა საუკუნეების განმავლობაში აფხაზეთში და შესისხლხორცებულია მასთან. ყველა ამისგანამო ის მეტად გაუადვილებს აფხაზებს წერა-კითხვის შესწავლას, განათლების მიღებას და იხსნის მათ იმ მავნებელი განმარტოებისაგან. რომელსაც მათ უმზადებენ პოლიტიკანები მახინჯური ანბანით. აფხაზმა პედაგოგებმა ქართველების დასმარებით, უნდა გადათარგმნონ საუკეთესო ქართული საყმაწვილო და სახალხო მოთხრობები და გამოსცენ. აგრეთვე უნდა შეჭკრიბონ აფხაზური ხალხური ლექსები. არაკები, ზღაპრები. გამოცანები და დაბეჭდონ“... („წყარო“ 1907. № 26).

იაკობ გოგებაშვილის მიერ დასახულ ამ გონივრულ, მეცნიერულად და ისტორიულად სწორ, დაკვირვებულ და სასარგებლო ღონისძიებას მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში ხვდა განხორციელება. ეს კი შედეგია ლენინის—სტალინის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა და აღმავლობისა.

პეტრე ქარაია, მისგან აქვე გულთბილად ნახსენებ, ნიკო ჯანაშიასა და სხვა მის თანამედროვე ქართველ და აფხაზ მოღვაწეთა შორის და იაკობ გოგებაშვილის აქ მოცემული ტაქტის მომარჯვებით, ის შესამჩნევი და საკმაოდ მრავალფეროვანი მოღვაწე იყო, რომელსაც ვერც ერთი თბიქტური მემატიანე ვერ გამოთიშავს ამ საყვარელ სახელთა თაიგულიდან. თაიგულიც მაშინ არის ლამაზი და მიმზიდველი, როცა მრავალ სხვადასხვა ყვაელისაგან შეკრული იგი მაინც საერთო სურნელებას გამოსცემს—ჭარმონიულს, საამურსა და დამატებობელს.

პეტრე ქარაია ამ თაიგულის ერთი ის ყვაელია, რომლის შემჩნევა შესაძლებელია და სავალდებულოც. ამას გვიკარნახებს მისგან გავლილი „გზა ცხოვრებისა“, რომელზედაც მან უთუოდ აღბეჭდა „თვისი ნავალი“. ასეთებზე ითქმება:

შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,  
შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი.

|  |      |
|--|------|
| შესავალი . . . . .   | 83-3 |
| I. მშობლები. ოჯახი. გარემო. ბავშვობა. სწავლა. ასპარეზზე გამოსვლა . . . . .   | 5    |
| II. პეტრე ქარაია მასწავლებელი. სახალხო განათლების გავრცელებისათვის მებრძოლი. პატრიოტი და ქართული ენის დამცველი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან კავშირი. ხასიათის სიმტკიცე. გოგებაშვილი და პეტრე ქარაია. დედაენის ლექსიკონი. სხვადასხვა შემთხვევები და ეპიზოდები. პეტრე რევოლუციის დღეებში. პეტრეს გავლენიანობა და ავტორიტეტი. ავადმყოფობა, სიკვდილი და დასაფლავება . . . . . | 12   |
| III. პეტრე ქარაია ეთნოგრაფი და ისტორიკოსი. მისი გამოკვლევები და შრომები. თანამშრომლობა ქართულ და რუსულ პრესაში . . . . .   | 37   |
| IV. პ. ქარაია — ფილოლოგი და ისტორიკოსი. საენათმეცნიერო მასალების შემკრები. გრამატიკოსი. ლინგვისტი. ლექსიკოგრაფი. მთარგმნელი . . . . .  | 49   |
| V. პ. ქარაია — ლიტერატურის კრიტიკოსი, გაზეთების კორესპონდენტი. მისი ლიტერატურული შეხედულებანი. საზრუნავი საკითხები. ლიტერატურული მემკვიდრეობა. დასკვნა . . . . .   | 66   |

რედაქტორი ლიილა დადიანი

კორექტორი ვ. ზითანავა

მხატვარი ნ. მახტიცკაიძე

გი 02331. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XI 53 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 5<sup>1</sup>/<sub>4</sub> საავტორო ფორმათა რაოდენობა 5<sup>1</sup>/<sub>4</sub>. ტირაჟი 2000. შეკვეთა № 2970.

ლენინის სახ. საქპოლიგრაფსამმართველოს სტამბა, ქ. სუხუმი.